საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნატო ყრუაშვილი

ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა თანამშრომლობა მესხეთთან

(XIX-XX საუკუნეთა მიჯნა)

ახალციხე
2021

UDC(უაკ) 94 (479.922)
ჯ – 831

ნაშრომში, მოძიებული მასალების საფუძველზე გაშუქებულია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეთა: ილიას, იაკობის, აკაკის, ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის), ანა ღოღობერიძის, ნიკო შიუკაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე როსტომაშვილის, დიმიტრი ხახუტაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, ილია ალხაზიშვილის, გრიგოლ ბურჭულაძის, სერგი მაკალათიას, გიორგი ბოჭორიძის, ივანე კერესელიძის, ალექსანდრე ხახანაშვილის, მოსე ჯანაშვილისა და ნატო გაბუნიას ურთიერთობა მესხეთთან და მესხ მამულიშვილებთან, მათი დამსახურება ამ კუთხის წინაშე.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ღირსეული ქართველი მამულიშვილების მოღვაწეობითა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, მიაწვდის მნიშვნელოვან და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მასალას.

რედაქტორი: *ციური ლაფაჩი*
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

რეცენზენტები: *როინ ყავრელიშვილი*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ნ. ყრუაშვილი, 2021

ISBN 978-9941-9631-7-9

ავტორი წიგნის გამოცემაში გაწეული
მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის ასპინძის
მუნიციპალიტეტის მერს ბატონ
როსტომ მაგრაქველიძეს.

„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ ალუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“.

ილია ჭავჭავაძე

„მესხეთი არის აკვანი საქართველოს დიდებისა... არ შეიძლება დავიწყებული იქნეს აკვანი საქართველოს დიდებისა... მესხეთი ქართველებისათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“.

მარკ ქანპშუტი

„მესხეთი შოთა რუსთაველის სამშობლოა და რუსთაველის შვიდას ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომ მასზე გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს და ამ კუთხეს ღირსეულად ვაფასებდეთ“.

გიორგი მჭედლოვიანი

რედაქტორისაგან

წინამდებარე ნაშრომი „ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა თანამშრომლობა მესხეთთან“ (XIX-XX საუკუნეთა მიჯნა) ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომელსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნატო ყრუაშვილს.

ნატო ყრუაშვილი კარგად მომზადებული, გამჭრიახი და გონებამახვილი მკვლევარია. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინმდებარე ნაშრომი დიდი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს ავტორის მდიდარი ენა და თხრობის შესანიშნავი ოსტატობა. ამავე დროს, წინამდებარე ნაშრომი ის წყაროა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ვითარების შესახებ მკითხველის ცოდნას თვალნათლივ ადიდებს და აღრმავებს.

ნატო ყრუაშვილს არა ერთგზის მიუღია მონაწილეობა, როგორც მუზეუმში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო კვლევით საქმიანობაში, ისე საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებში. კერძოდ, ჯერ კიდევ 2002 წელს მონაწილეობდა თსუ-ს მესხეთის ფილიალისა და ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო სიმპოზიუმის „ახალციხე-ყარსი“ მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება – „საოჯახო აღზრდის ხალხური ტრადიციები“ (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. ყრუაშვილს სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის სამაგალითოდ დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში, მიხეილ თამარაშვილი, სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე, დეკანოზი სტეფანე (ნადირაძე), დეკანოზი ეასილ კოპტონაშვილი, ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში, განათლებისა და კულტურის კერები

სამცხე-ჯავახეთში (I- II ნაწილი), ასევე რამდენიმე ნაშრომი სტამბოლის ქართული სავანის შესახებ და ა.შ.

ავტორმა ნაშრომში ნათლად წარმოაჩინა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულება მესხეთისა და მისი მოსახლეობისადმი. დაგვანახა მათი უდიდესი დაინტერესება, მზრუნველობა და მხარდგომა საქართველოს უძველესი კუთხისადმი. ამასთანავე, აჩვენა მათი წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში.

წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ გამოკვლევებისა, რომელსაც ნატო ყრუაშვილი ეწევა სამი ათეული წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ ასოცირებული პროფესორი ნატო ყრუაშვილი მომავალშიც ენერგიულად გააგრძელებს მუშაობას საერთოდ და განსაკუთრებით იოანე ჯავახიშვილის სახელობის სამცე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მდიდარ არქივში და მზის სინათლეზე გამოიტანს მკვლევარისათვის ჯერ კიდევ ახალ მასალებს, რომელიც მრავალგზის საინტერესოა ჩვენი კუთხისა და საერთოდ საქართველოს როგორც საგანმანათლებლო, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და სხვადასხვა მიმართულების კვლევისათვის.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

მერმისზე ფიქრი გვავალდებულებს, კიდევ ერთხელ, დაკვირვებით გადავხედოთ ჩვენს ისტორიას. გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ჭკუა-გონებით იღწვოდნენ მამულის დაცვა-გაძლიერებისათვის, დავაფასოთ იმათი ღვაწლი, რომელთაც თავიანთი დაუღალავი შრომითა და ბრძოლით შეგვინარჩუნეს ენა, სარწმუნეობა, ეროვნული ცნობიერება. ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოს მრავალად ჰყავდა ასეთი შვილები...

წიგნში წარმოდგენილი პიროვნებები ის ადამიანები არიან, რომლითაც იამაყებდა და ინატრებდა ნებისმიერი დიდი თუ პატარა ერი. თითოეული მათგანი ქართველი ერის შეუფასებელი განძი და ღირსებაა. ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი ეპოქა შექმნეს საქართველოს მდიდარ და მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ვფიქრობ, ეს წიგნი მრავალგზის მნიშვნელოვანი იქნება მკითხველისათვის. რამდენადაც აქ წარმოდგენილი პიროვნებები ის ადამიანები არიან, რომელთა მაგალითზე საქართველოში იზრდებოდა თაობები. მათი მოღვაწეობა და შემოქმედება იყო ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომლის საფუძველზეც ყალიბდებოდა ქართელი კაცის ხასიათი და მსოფლმხედველობა, ის აუცილებელი თვისებები, რომელიც ყველა ერის შვილს უნდა ჰქონდეს: სამშობლოს სიყვარული, შემწყნარებლობა, ჰუმანიზმი, პატიოსნება, სამართლიანობა და ა.შ.

ჩემთვის, ერთი რიგითი ქართველისათვის, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ თვითოეულმა მათგანმა თავისი კვალი დაამჩნია ჩემს მსოფლმხედველობასა და საქმიანობას. ისე როგორც ყველა ქართველმა მეც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ გავიცანი და შევიყვარე ჩემი სამშობლო... „დედა ენა“ - უპირველესი წიგნია და სახელმძღვანელო ჩვენი ცხოვრებისა. არ მეგულება ქართველი, რომელზეც გავლენა არ მოეხდინოს ილიას – „საქართველოს უგვირგვინო მეფის“ შემოქმედებას, მის მრავალმხრივ ნიჭიერებასა და მოღვაწეობას. საბედნიეროდ წილად მხვდა ბედნიერება და ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მომეცა შესაძლებლობა საფუძვლიანად გავცნობოდი ილიას პიროვნებას.

სადიპლომო ნაშრომმა „ილია ჭავჭავაძე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ სრული წარმოდგენა შემიქმნა მის ღვაწლსა და დამსახურებაზე. ილია არის მაგალითი იმისა თუ რას ნიშნავს იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი.... ვფიქრობ, ყველა მესხმა უნდა იცოდეს როგორც ილიას, ისე ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის მესხეთის შეფასება.

მუშობის პროცესში, მრავალი წლის განმვლობაში, შესაძლებლობა მომეცა გაეცნობოდი ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა მოღვაწეობას. ამასთანავე, აღმოჩნდა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მათი მესხეთთან დამოკიდებულებისა და მის საკეთესო შვილებთან თანამშრომლობის შესახებ. ეს ორმაგად საინტერესო იყო. სწორედ, ამან განაპირობა ის, რომ დროდადრო მომიხდა საგაზეთო სტატიების დაბეჭდვა. მაგალითად როგორიცაა: ილია და მესხეთი, იაკობი და მესხეთი, აკაკი და მესხეთი, ანა ღოღობერიძე მუსხელიშვილი და მესხეთი, ექვთიმე თაყაიშვილი და მესხეთი. ყველა მათგანი, სხვადასხვა დროს, გაზეთ „ლიტერატურულ მესეთში“ დაიბეჭდა. ამდენად, მკითხველისათვის, წიგნში წარმოდგენილი რამდენიმე მამულიშვილის მოღვაწეობა, ნაცნობი იქნება.

მინდა, წარმოდგენილი წიგნით, პატივი მივაგო იმ ღირსეულ მამულიშვილებს, რომლებიც ერის სამსახურში იყვნენ, მათ თვალსაწიერში იყო მესხეთიც და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს მის საკეთილდღეოდ. ასევე მინდა, რომ მომაყალ თაობებს, რომელთაც ღირებულებების გადაფასების ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება, ვუთხრა: სამშობლო ერთადერთია და ჭეშმარიტი მამულიშვილობა უმთავრესი...

და ბოლოს, მინდა მადლიერება გამოვთქვა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის - ბატონ ავთანდილ ბერიძისა და რედაქციის წევრების მიმართ, რომლებმაც ჩმი კანდიდატურა წარადგინეს „საპატიო ასპინძელის“ წოდებაზე. 2021 წლის 20 აპრილს – ასპინძის ბრძოლის ორას ორმოცდამეთერთმეტე წლისთავზე, „ასპინძობის“ დღესასწაულზე „საპატიო ასპინძელის“ წოდება მომენიჭა. ასპინძის მუნიციპალიტეტის მხრიდან ეს იყო ჩემდამი უდიდესი პატივისცემის, ნდობისა და სიყვარულის გამოცხადება. ჩემთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა... მინდა, მადლიერების ნიშნად, წინამდებარე ნაშრომი მივუძღვნა ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეცხრამეტე საუკუნე ურთულესი პერიოდი იყო საქართველოსათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნულობის თვალსაზრისით. უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთი. საქართველოს ეს უძველესი კუთხე, თურქთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ, 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით, კვლავ დაუბრუნდა რუსეთის თვითმპყრობელობის ქვეშ მყოფ დედა-სამშობლოს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ კუთხეში მმართველობის თურქულ-რუსული რეჟიმი იქნა შენარჩუნებული, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა შექმნილ მდგომარეობას. თურქთა ბატონობას გადარჩენული ადგილობრივი მოსახლეობა ახალი რეჟიმის პირობებში კვლავ ეროვნული გადაგვარების საფრხის წინაშე აღმოჩნდა. სიტუაციას ართულებდა ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების შედეგად მოსახლეობა სარწმუნეობრივი თვალსაზრისით სამ ნაწილად იყო დაყოფილი: მართლმადიებელები, ქართველი კათოლიკეები და გამაჰმადიანებული ქართველები. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის ზრუნვის საგანი გახდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულება და მზრუნველობა მესხეთისადმი, მათი თანამშრომლობა ამ კუთხის ინტელიგენციასთან და სასულიერო პირებთან. ამასთანავე, გვეჩვენებინა მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე მათი ერთობლივი უანგარო სამსახური, რაც მამულიშვილობის საუკეთესო მაგალითი იყო. ნაშრომი წარმოადგენს საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ მცდელობას.

ქართველმა ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ მესხეთი საქართველოს სამხრეთ კარიბჭეს წარმოადგენდა და

ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იცნობდნენ მის მდიდარ წარსულს და საქართველოს კულტურის გაცნობა ძველი მესხური კულტურის კერების გარეშე შეუძლებელად მიაჩნდათ. კერძოდ, ის რომ

1. მესხეთმა დიდი წვლილი შეიტანა სალიტერატურო ენის და მწერლობის განვითარებაში. კორნელი კეკელიძის მითითებით ტაო-კლარჯეთში ჩამოყალიბდა საგანგებო სალიტერატურო სკოლა, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. X საუკუნეში ქართული სალიტერატურო, სახელმწიფო და საეკლესიო ენას საფუძვლად სწორედ მესხური დიალექტი დაედო.

2. მესხეთის წვლილი განუზომელი იყო ქართული სამართლის შექმნის საქმეში. XIII-XIV საუკუნეებში მესხეთში შექმნილი ბექა-აღბუღას სამართალი ანუ „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთაევ“ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. იგი დაედო საფუძვლად ვახტანგ VI-ის ღროს შექმნილ სამართალს — დასტურლამალს.

3. მესხეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების განვითარებაში. სახელგანთქმული იყო, ცნობილი ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზარების მიერ დაარსებული ოპიზის მხატვრული სკოლა (XII-XIII სს.) თვითონ კი იყვნენ მსოფლიო დონის ოქრომჭედლები.

4. მესხეთის მნიშვნელოვან კულტურის კერებში შეიქმნა ორიგინალური თხზულებები: „წამება გობრონისი“ (სტეფანე მტბევარი). „ცხოვრება სერაპიონისი“ (ბასილ ზარზმელი), „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ გრიგოლ არქიმანდრიტისი“ (გიორგი მერჩულე) და ა.შ. მოგვიანებით, XVI საუკუნეში შეიქმნა „მესხური მატიანე“ ანუ ქრონიკა, რომელიც მოიცავს სამცხის პოლიტიკურ მდგომარეობას 1561-1587 წლებში. მოგვიანებით გიორგი ბრწყინვალის ეპოქა აღწერა ვარძიის მოძღვარმა. მესხეთმა საქართველოს აღუზარდა ისეთი სახელოვანი მეფე, როგორიც იყო გიორგი ბრწყინვალე.

5. ამ მხარეში უძველესი დროიდან ჩაეყარა საფუძველი ხალხურ თეატრალურ სახალხო სანახაობებს: „ბერიკაობას“, „ბერობანას“, „ყეენობას“. ეს სანახაობები დღემდე შემოინახა მოსახლეობამ, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდება მის დაცვას.

6. მესხეთში კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს ახალციხის აბმედის სახელობის ბიბლიოთეკა წარმოადგენდა. იგი 1752 წელს იტალიელი არქიტექტორის მიერ აგებულ მეჩეთთან – მუსულმანურ საკულტო შენობასთან არსებობდა. იქვე იყო მინარეთი და ორსართულიანი სვეტებიანი შენობა. 1828 წელს რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გაანთავისუფლა ქალაქი ახალციხე. იქ არსებული ბიბლიოთეკა აღწერა გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქტორმა სანკოვსკიმ. აღმოჩნდა ექვსასამდე წიგნი და ხელნაწერი. აქედან სამასი გადაურჩევიათ და პეტერბურგში გაუგზავნიათ. ადგილზე დარჩენილი წიგნები და ხელნაწერები კი გაიბნა და უკვალოდ გაქრა. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში დაცული იყო წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგებისა: ისტორიული, ფილოლოგიური, ასტრონომიული, მათემატიკური, კანონმდებლობის. ეს ბიბლიოთეკა იყო ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა იმ დროისათვის.

7. მესხეთმა საქართველოს მრავალი ღირსეული შვილი აღუზარდა. ადრეფეოდალური ხანის ეპოქის მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია: ტაო-კლარჯეთის განმანათლებელი გრიგოლ ხანძთელი, მისი აღზრდილი ბასილ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ზარზმელები, ეფრემ მცირე. ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი, პოეტები ჩახრუხაძე („თამარიანის ავტორი“), იოანე შავთველი და სარგის თმოგველი. ასევე არსენ საფარელი, გაბრიელ III საფარელი, იოანე IV საფარელი. ცნობილი ფილოსოფოსები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, შოთა რუსთაველი და სახელგანთქმული ოქრომჭედლები: ბეშქენ და ბექა ოპიზარები, ა.შ. მოგვიანებით მათ რიგს მრავალი ღირსეული მამაულიშვილი შეემატა: ანთიმოზ იერიელი (სოფელ უდიდან, ვლახეთში – რუმინეთში მოღვაწე),

პეტრე ხარისჭირაშვილი სტამბოლის ქართველ მამათა სავანის ფუძემდებელი, იოსებ ხუციშვილი – კათოლიკე მღვდელი და „მესხ ჰუტენბერგად“ წოდებული, ივანე გვარამაძე – კათოლიკე მღვდელი და მესხ განამანათლებელთა წინამძღოლი, ცნობილი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, პეტრე მერაბიშვილი და სხვანი.

8. XVII-XVIII საუკუნეებში განვითარებულმა მოვლენებმა გააძლიერა მოსახლეობის მიგრაცია. მესხეთიდან გადახვეწილთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მეფე თეიმურაზის კარზე მოღვაწეობდა დიპლომატი კუმურდოს ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი – ხარიტონი, ჯავახეთიდან გაქცეული თამაზ თომაშვილი იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მრჩეველი იყო. ცნობილნი იყვნენ ნიკოლოზ, იოანე და ევდემოზ დიასამიძეები. XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში მოღვაწეობდნენ მესხიშვილები – მწიგნობრები, კალიგრაფები, მხატვრები. ახალციხელი გრიგოლ ბაგინაშვილი XVIII საუკუნეში უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში არსებული ქართული ენის შემსწავლელი კათედრის ხელმძღვანელი პროფესორის თანამდებობის შემსრულებელი იყო. ის ამ სასწავლებელში ქართულ და სომხურ ენებს ასწავლიდა. თურქეთის ბატონობამ დიდი დაღი დაასვა მესხეთს. დაიწყო ქართული ენის დევნა და სალაპარაკო ენა გახდა თურქული.

VIII–IX საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ სხვადასხვა სამეფო-სამთავროებს შორის დაწინაურდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელმაც ქართველთა სამეფოს სახელი მიიღო, ხოლო მეფეებმა ქართველ მეფეთა ტიტული. ეს სამეფო გაძლიერდა აშოტ I კურაპალატის დროს. მის შემდგომ ამ კუთხეს მისი შვილები განაგებდნენ. მემატიანის ცნობით, მისმა უმცროსმა ვაჟმა გუარამ მამფალმა IX საუკუნეში სამცხეში დაარსა სამი ქალაქი: ოძრხე

(აბასთუმანი), ციხისჯვარი და ლომსია – შემდეგში ახალციხედ წოდებული. სწორედ ქართველთა სამეფო იყო ორგანიზატორი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნისა. ამასთანავე, სამხედრო თვალსაზრისით საქართველოში არსებულ ოთხ სადროშოში შედიოდა და „მეწინავეობა“ ეკისრებოდა. იგი იყოფოდა სასაზღვრო-სანაპირო პროვინციებად: ტაოს, თმოგვის, ჯაყის, ახალციხის, რომელთაც მოხელენი განაგებდნენ და მათ საზღვრის დაცვის გარდა მართველობაც ევალებოდათ.

მესხეთი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ისტორია გმირობის უამრავი მაგალითითაა დატვირთული. იგი, როგორც საქართველოს სამხრეთი კარიბჭე, პირველი ღებულობდა მომხვდურ მტერს და მასვე უხდებოდა მათი „გაცილებაც“.

მესხეთი ისტორიულად იყო საქართველოს კულტურული ცენტრიც და პოლიტიკური დასაყრდენიც. ამიტომაც წერდა მოსე ჯანაშვილი: *„მესხეთმა საქართველოსათვის ისეთივე როლი შეასრულა მეცნიერების, მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების დარგში, რაც საბერძნეთმა კაცობრიობისათვის.“*

ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) კი მესხეთს *„საქართველოს ათინას“* უწოდებდა.

ილია ჭავჭავაძე წერდა: *„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა.“*

ეს არ არის ყველაფერი, რაც მესხეთის დამსახურებას ქვეყნის წინაშე სრულად წარმოაჩენს..... სწორედ ამიტომ, საზოგადო მოღვაწეთა მზრუნველობა მრავალმხრივი იყო. კერძოდ, ინტელიგენციის წარმომადგენელთა, წლების განმავლობაში, ამ კუთხეში მოღვაწეობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირი სტუმრობა, საქველმოქმედო საზოგადოებების საქმიანობა, ადგილობრივ ინტელიგენციასთან თანამშრომლობა, სხვადასხვა სახის ექსპედიციების მოწყობა, ინტერესთა თანხვედრა, ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების

გავრცელება, პედაგოგიური საქმიანობა და ა.შ. მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ მათ დიდი სიყვარული ჰქონდათ საქართველოს ძირძველი კუთხის მიმართ. პატივისცემად მიაჩნდათ მესხ განმანათლებლებთან თანამშრომლობა. ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები ცდილობდნენ ეთანამშრომლათ მათთან და წარმოეჩინათ კუთხის ისტორია, წეს-ჩვეულებები, პრობლემები და ა.შ. დიდი ხნის განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილი ეს კუთხე გაეცნოთ ქართველი მოსახლეობისათვის. აღნიშნულს ასაბუთებს ივანე გვარამაძის არქივში დაცული მრავალი წერილი. ივანე კერესელიძე სწერდა: „შემიტყვია თქვენი ქართული ენის სიყვარული და გთხოვთ დაეხმაროთ მწერლობით და გაამშვენიერებდეთ თქვენის კალმით ჩვენს გაზეთს“. ასეთივე თხოვნით მიმართავდნენ მას 1906 წელს გაზეთ „ავტონომიური საქართველოს“ გამომცემელი კნეინა ელისაბედ ირაკლის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი და რედაქტორი გიორგი გვაზავა.[1] ივანე და კონსტანტინე გვარამაძეები, და საერთოდ მესხი განმანათლებლები, წლების განმავლობაში სისტემატურად თანამშრომლობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და შეუფერხებლად იბეჭდებოდა მათი მრავალფეროვანი სტატიები. თანამშრომლობა და პატივისცემა ცალმხრივი არ ყოფილა. ივანე გვარამაძემ ლექსად თქმული „წამება მიხეილ გობრონისა ასოცდაათ სამმეტ მოყვასთა მისთა მეციხოვან მესხ აზნაურთა“ უძღვნა დროების რედაქტორს სერგეი მესხს.[2] თავისი ერთ-ერთი ისტორიული ნაშრომი – ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, ე.წ. „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება“ მიუძღვნა აკაკის საიუბილეოდ, 1908 წელს. 1982 წელს შედგენილი „ლექსიკონი ბუნებითი მეცნიერებისა“ კი რაფიელ ერისთავს.

ივანე გვარამაძე ხშირად მასპინძლობდა სამცხე-ჯავახეთში ჩამოსულ ქართველ მოღვაწეთ. სხვადასხვა დროს მისი სტუმრები იყვნენ: ზაქარია ჭიჭინაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე როსტომა-

შვილი, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ილია ალხაზიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ა.შ.[3] 1880 წელს 5 ღვინობისთვეს სოფელ ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიაში ივანე გვარამაძის მიერ გადახდილ იქნა მარი ბროსეს სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.[4]

ქართველი ინტელიგენცია მაღალ შეფასებას აძლევდა მესხ განმანათლებელთა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ქართული კულტურის დიდი მეცნიერი ვასილ გამრეკელი ივანე გვარამაძის შრომას „ციკლოპურს“ უწოდებდა.[5] ხოლო მას გულწრფელად სწერდა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კიდევ არიან თითო-ოროლა თქვენისთანა პირნი, რომელნიც ხმამაღლა ღაღადებენ სიმართლეს ან ღვთის მოყვარეობას... ამ დროს მარტო თქვენ გვყავხართ თითით საჩვენებელნი როგორც სამაგალითო სამღვდელო პირი“.[6]

ივანე გვარამაძე თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერებთან. თავისი ნამუშევრებისა და შეხედულებების გაცნობა-გადამოწმებას მათთან ახდენდა. მის არქივში მივაკვლიეთ ე.წ. „ქართული ლექსიკონის დამატებით ლექსებს“.[7] ღასახელებული ლექსიკონი, როგორც ირკვევა, ავტორს შეუდგენია „სახელმძღვანელოდ მცხოვრებთა მესხთა, ქართველთა, იმერთა და კახელთა“. მოიცავს 13 000 სიტყვას, რომელიც არ იყო შეტანილი არც სულხან-საბა ორბელიანის და არც ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით, ავტორს მოხსენიებული ლექსიკონი შესამოწმებლად და გამოსაცემად გაუგზავნია ნიკო მარისათვის. რამდენადაც არც მაშინ და არც შემდგომ, კერძოდ, 1938 წლისათვის ლექსიკონი არ ყოფილა დაბეჭდილი, კონსტანტინე გვარამაძე მიუთითებდა, რომ მისი მონახაზი შესაძლებელი იქნებოდა ნიკო მარის სახელობის ინსტიტუტში.[8] (აღნიშნული ლექსიკონი მოგვიანებით 90-იან წლებში მოძიებულ და გამოქვეყნებულ იქნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის მიერ). აგრეთვე საყურადღებოა ივანე გვარამაძის ფონდში დაცული პ. ანდრია წინამძღვარის (სიმონათის) წერილი, რომელიც ამ მხრივ მეტად საინტერესო

ცნობას შეიცავს: „ფიქრში მაქვს ის თქვენი ლექსიკონი, რომელიც ჩვენმა პატივცემულმა პეტრე ხარისჩაროვმა დაგვათარგმნინა ის უნდა დავაბეჭდინო პარიჟში ფრანცის მთავრობის სახელით... რუსულიც დავუმატე. ერთი სიტყვით სამენიანი ლექსიკონი უნდა იყოს".[9] ანდრია წინამძღვრის სიტყვებში იგულისხმება ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად", რომელსაც მისი ვაჟი – კონსტანტინე მამის შრომათა შორის ასახელებს.[10]

ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. ივანე გვარამაძის დამოკიდებულება ქართველი ინტელიგენციის მიმართ კარგად ჩანს მის ერთ-ერთ სიტყვაში „XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ". იგი მიუთითებდა, რომ XIX საუკუნემ საქართველოს მოუვლინა მრავალი ნიჭიერი მოღვაწე: ბარათაშვილი (დიდი ნიჭის პატრონი კაცი), გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. მათ შორის უპირატესობას ილიას ანიჭებდა. მიაჩნდა, რომ თითოეულმა მათგანმა თავისი ნიჭიერებითა და მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას, მაგრამ „ილია ჭავჭავაძისაებრ თავიანთ სულისა და გულის ნადები ვერ მოიყვანეს სისრულეში ვერც ერთმან".[11] სამართლიანად მიაჩნდა ერის მამად და მოუწოდებდა ეცლოთ მის გზაზე. ილიას გზაზე მავალი ერთ-ერთი პირველი თვითონ იყო. მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობა, მას „მესხეთის ილია" ეუწოდე.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია მდიდარი მასალა, რომელიც ასახავს კონსტანტინე გვარამაძის დამოკიდებულებას, ურთიერთობა-თანამშრომლობას ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ლუარსაბ ბოცვაძესთან, ნიკო შიუკაშვილთან და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მან შემოგვინახა საინტერესო

მოგონებები მამის ივანე გვარამაძისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების ურთიერთობის შესახებ.

სამცხე-ჯავახეთში წლების განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა არაერთი საზოგადო მოღვაწე. მათ შორის მოიაზრება სერგი დანელია. იგი ასწავლიდა ახალციხეში პროგიმნაზიაში. 1917 წელს, როდესაც პროგიმნასია გიმნაზიად გადაკეთდა, პროგრესული ძალების მოთხოვნით იგი ახალციხის გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა – რუსული, ლათინური ენებისა და ისტორიის მასწავლებელი, შემდეგში ცნობილი პროფესორი.[12]

სამცხე-ჯავახეთში დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ფარმაცევტულ, საგანმანათლებლო, ჟურნალისტურ საქმიანობას ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი. მასზე მდიდარი მოგონებები დაგვიტოვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მისმა თანამედროვემ – ვასილ კოპტონაშვილმა. ხოლო 2007 წელს ვრცელი მონოგრაფია მოამზადა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის თანამშრომელმა მელანო გოგოლაძემ.[13]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მესხეთის საკითხით დაინტერესდა მრავალი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე. მათი თაოსნობით მოეწყო არაერთი არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული ექსპედიცია. კერძოდ, მხედველობაში გვყავს: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ბოჭორიძე, დიმიტრი ბაქრაძე და სხვა. მათ მიერ შეკრებილ-მოძიებული მდიდარი მასალა გახდა მნიშვნელოვანი წყარო ამ მხარის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, იქვე არსებულ ილია მაისურაძის არქივსა და ქართულ პერიოდიკაში დაცული არის მდიდარი მასლა, რომელიც ნათელ სურათს ქმნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა მესხეთთან დამოკიდებულებისა და მესხებთან თანამშრომლობის საკითხს. კერძოდ, მოძიებულმა წყარო-მასალებმა საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა: ილია ჭავჭავაძის,

იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის), ანა ღოღობერიძის, ნიკო შიუკაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე როსტომაშვილის, დიმიტრი ხახუტაშვილის, დიმიტრი ბაქარაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, გრიგოლ ბურჭულაძის, ილია ალხაზიშვილის, სერგი მაკალათიასი, გიორგი ბოჭორიძის, ივანე კერესელიძის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და მოსე ჯანაშვილის თანამშრომლობა ამ კუთხესთან. უნდა ითქვას ისიც, რომ მათ თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით უდიდესი სამსახური გაუწიეს ამ კუთხეს და მის მოსახლეობას. მათი თანადგომით გადაიჭრა ეპოქის უპირველესი პრობლემა: ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებაში და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის განათლებასა და კულტურულ დაწინაურებაში. ისინი იყვნენ ქართველი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით შექმნეს ეპოქის ისტორია, კვალი დაამჩნიეს ქართულ კულტურას, მეცნიერებას, ეროვნულ ცნობიერებას. ამასთანავე, იყვნენ ის ადამიანები, რომელთა მაგალითით იზრდებოდა საქართველოში თაობები.



ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. XIX საუკუნემ განსაკუთრებული ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში, რაც იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით იყო განპირობებული. ეს იყო ქართველი ერის გამოღვიძებისა და გამთლიანების ეპოქა. როდესაც ერს ჰყავდა ძლიერი წინამძღოლი, რომელსაც სრულიად სამართლიანად, სიცოცხლეშივე უწოდეს საქართველოს „უგვირგვინო მეფე“.

ილიას კარგად მოეხსენებოდა მესხეთის წარსული, აწმყო, მისი როლი ქართველი ერის ისტორიაში. შემთხვევითი არ იყო მესხეთის ისტორიის ილიასეული შეფასება: „ჩვენი

ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“.[1]

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ამ კუთხესთან და მის ღირსეულ შვილებთან. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, ქართულ პერიოდიკაში დაცულია მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს აღნიშნულ საკითხს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გაზეთი „ივერია“ თავის დროზე ფართოდ გამოეხმაურა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს. ომის დაწყებისთანავე თვითონ ილიამ ფართოდ გააშუქა ეს ფაქტი: მიუძღვნა სპეციალური საპოლემიკო მიმოხილვა: „აღმოსავლეთის საქმე“. რასაც მოჰყვა მისივე დაკვეთით პეტრე უმიკაშვილის საგანგებო წერილების სერიალი – „ოსმალოს საქართველო“.[2]

აღნიშნული წერილებით ილიამ მიზნად დაისახა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ნაწილის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა: მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ადათი-ჩვეულება... ილიამ ამ გზით ქართველ ხალხს არა მარტო შეახსენა, არამედ ერთგვარად შეამზადა კიდეც ისინი საუკუნეობით მოწყვეტილ მესხებთან შესახვედრად.

უნდა აღინიშნოს, რომ თანადროული იყო ილიას და მესხ განმანათლებელთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ილიას ესმოდა რა სამშობლოსთან ახლად შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის პრობლემები აქტიურად თანამშრომლობდა მესხ განმანათლებლებთან. უფრო მეტიც, მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი ინტელოგენცია და თვითონ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ამ კუთხეში. იმდენად, რომ სწორედ მათგან წამოვიდა ტერმინები: „მესხური განმა-

ნათლებლობა“ და მის შესაბამისად „მესხი განმანათლებელი“, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმდროინდელი საქართველოსათვის.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ილიას გარდა პიროვნული სიმპატიებისა, ფართო საზოგადოებრივი თანამშრომლობა აკავშირებდა მესხ განმანათლებელთა წინამძღოლთან, კათოლიკე მღვდელთან ივანე გვარამაძესთან. კერძოდ, ივანე გვარამაძის ფონდში ინახება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი მიმართვა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ივანე გვარამაძემ ჯავახეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელში — ხიზაბავრაში სახალხო სკოლის დაარსებისას დახმარებისათვის თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს, როგორც ამ საზოგადოების მდივანს. ილია 1881 წლის 9 ოქტომბერს ატყობინებდა საზოგადოების გადაწყვეტილებას ანუ ნებართვას სკოლის გახსნაზე, აძლევდა საჭირო მითითებებს.[3] ილიას უშუალო დახმარებით სოფელ ხიზაბავრაში 1881 წლის 21 ნოემბერს დაარსდა ერთკლასიანი სახალხო სკოლა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელშეწყობით სამცხე-ჯავახეთში XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა. მათ შორის ათობით სკოლა: ხერთვისში, ჭობარეთში, უდეში, არალში და ა.შ. ასევე ათობით ბიბლიოთეკა: ახალციხეში, უდეში, ხიზაბავრაში, ახალქალაქში და ა.შ.

ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ ივანე გვარამაძე იყო გაზეთ „ივერიის“ მუდმივი კორესპოდენტი. ივერიის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები და მასალები. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საგაზეთო სტატიებით გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით მოღვაწე მესხი განმანათლებელი.

ივანე გვარამაძეს, როგორც კორესპოდენტს, ხშირად უწევდა მიმოწერა ილიასთან. აღნიშნულს ასაბუთებს მის არქივში დაცული ერთ-ერთი წერილი. ივანე გვარამაძე წერდა: „პატივცემულო რედაქტორო – თავადო ილია ჭავჭავაძევ მომილოცავს ქრისტეს აღდგომის წმინდა დღესასწაული, ვსთხოვ მოწყალე ღმერთსა თქვენს ძვირფას დღეკეთილობასა და თქვენს ჯანმრთელობასა ჩვენს და ჩვენთა შთამომავალთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მე დღეს ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავსა, რომ ივერიის სახელის ხსენებას ვღირსებივარ ჩემს თანამემამულეთ მამა – ძმებთან ერთად... გაცნობებთ საქართველოს ცხოვრების წყაროებს... და თუ შეიძლებოდეს დაბეჭდეთ თქვენს პატივცემულს ივერიაში ანუ ცალკე როგორც გნებავთ... მინდა ჩვენი ისტორიის ნაწილები სრულ გამოვკრიბო“. აღნიშნული წერილი თარიღდება 1878 წლის 6 აპრილით. ე.ი. როცა ივანე გვარამაძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრება“.[4]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მიერ ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლა. ილიას გაზეთი „ივერია“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავისი პოზიცია – უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ბარონ დე როპპის გადაწყვეტილებაზე: სომეხ კათოლიკეთათვის „ცალკე მიტროსანის დანიშვნის შესახებ“. ივერიელების აზრით, ამიერ კავკასიაში კათოლიკეთა შორის განხეთქილებას ბოლოს მოუღებდა საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა: „ტირასპოლის ეპისკოპოსის სამწყსო გაიყოს ამიერ კავკასიაში იმდენ ჯგუფად, რამდენიც ერია (ე.ი. ქართველის, ქალდეველთა და სომხისად) და თითო მათგანს დაენიშნოს საკუთარი კეთილი მოწესე წინამძღვარი, მისივე შთამომავლობისა და ექვემდებარებოდეს ტირასპოლის ეპისკოპოსს“.[5]

მესხეთისათვის ილიას ასეთი დამოკიდებულებისა და საერთოდ, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო, ივანე გვა-

რამაძე XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შორის უპირატესობას ილიას ანიჭებდა: „ყველამ თავიანთ მოღვაწეობით შეძლებისაებრ მოუტანეს სიკეთე ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ილია ჭავჭავაძისაებრ თავიანთი სულისა და გულის ნადები ვერ მოიყვანეს სისრულეში ვერც ერთმან".[6]

ილიას მკვლელობა ქვეყნისათვის უდიდეს ტრაგედიად აღიქვა ივანე გვარამაძემ. იგი ერთ-ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელებმაც გადაწყვიტეს თავიანთი სტატიებით პატივი მიეგოთ ილიასათვის, ამასთანავე ქართველი ერისათვის დაენახვებინათ მისი დამსახურება. ერთ-ერთი ხელნაწერიდან ჩანს, რომ ივანე გვარამაძეს განუზრახავს ილიას ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა და საჭირო მასალების მიწოდების თხოვნით მიუმართავს ვასილ გამრეკელისათვის.[7]

როგორც ლუარსაბ ბოცვაძისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომელიც 1908 წლის 27 იანვრით თარიღდება, სთხოვდა მას, როგორც რედაქტორს რომ ადგილი მიუჩინოს თავის გაზეთში მის მიერ დაწერილ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას: „მიახლებია განსვენებული თავად ილია ჭავჭავაძის ცხოვრება მოკლედ. თუ შეიძლებეოდეს ადგილი მიეცით თქვენს ახალ განათლების ჟურნალში".[8]

ივანე გვარამაძე მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ გაჰყოლოდნენ ილიას გზას. უპირველესად კი ივანე გვარამაძე თვითონ იყო ილიას კვალზე მავალი მოღვაწე. უფრო მეტიც, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის საფუძვლიანი შესწავლა უფლებას გვაძლევს, რომ მას „მესხეთის ილია" ვუწოდოთ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალა ნათელს ჰფენს ილიასთან კიდევ ერთი მესხი განმანათლებლის – კონსტანტინე გვარამაძის დამოკიდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ კ. გვარამაძე სწორედ ილიას უმადლოდა თავის სამწერლო მოღვაწეობას. ერთ-ერთ წერილში იგი გულწრფელად წერდა: „პირველი კორესპოდენცია დავბეჭდე ილია ჭავჭავაძის გაზეთში თექვსმეტი წლისამ, მოწაფეობის დროს, რამაც ერთობ წამახალისა და წამათამამა ვითომ და სამწერლო ასპარეზზე მუშაობაზე".[9]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტანტინე გვარამაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაშრომს: „სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა“. სტეფანე მესხელის გადმოცემით კონსტანტინე გვარამაძეს ილიას მკვლელობის საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები მოუწყვია ქალაქ ახალციხეში. ამას არ დასჯერდა და იმავე წელს – 1907 წელს ილიას მიუძღვნა დასახელებული მონოგრაფია.

კონსტანტინე გვარამაძეს სწამდა, რომ ილიას ცხოვრების გაცნობით მკითხველი დიდ სარგებლობას შეიძენდა „როგორც ზნეობრივათ, ისე გონებრივათაც და თვით დიდებული ავტორის სახელსაც ღირსეულად დაიხატჯვარებენ გუნდრუკის საკმეველათა ქვეყნის დასასრულამდე“.[10]

მონოგრაფიაში კ. გვარამაძე შეეცადა გადმოეცა თავისი დამოკიდებულება და შეფასებაც ილიას მიმართ, მისი დახასიათება, მისი მოღვაწეობისა და ქართველი ხალხისათვის გაწეული ამაგის გაცნობა-გაცნობიერება. კ. გვარამაძე სამართლიანად დაასკვნიდა: „ილია გენიოსი იყო, არა იმიტომ რომ ის ილია იყო, არამედ იმიტომ რომ მას მოსდგამდა მაღალ-აზროვნული ბუნება, მეცნიერების ნიჭი, რაიცა ნებას აძლევდა მას ეწერა და ებჭო უმაღლეს თემებზე და შექმნილიყო, გენიოსი... ილია მამა იყო საქართველოსი... აღარა გვყავს ჩვენი სახელოვანი მწერალი, მაგრამ გვეყოლება კი მუდამ სახსენებელი მისი დიდებული სახელი, რომელიც ძეგლათ დაგვიტოვა იმისმა სიკვდილმა თავისი დიდებული ძვირფასი ღვაწლისათვის ქართველებისათვის“.[11] ეს იყო ილიას ღვაწლის მიუკერძოებელი შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით კუკური თორდია სამართლიანად მიუთითებდა რომ კ. გვარამაძემ დიდ ქართველს ოცდაათი წლის წინ მისცა ის შეფასება, რაც 1937 წელს ილიას იუბილეზე ითქვა.[12]

ამდენად, ილია ჭავჭავაძისა და მესხ მოღვაწეთა ურთიერთობა მხოლოდ პიროვნულ სიმპათიებზე არ იყო დაფუძნებული. ეს იყო საქმიანი თანამშრომლობა – მიმართული

ერთიანი მთავარი მიზნისაკენ: არ დაეშვათ არცერთი ქართველის ეროვნული გადაგვარება, რისი რეალური საფრთხე ყველაზე მწვავედ სწორედ სამცხე-ჯავახეთში არსებობდა. ილიას ესმოდა რა ეს იმთავითვე მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ჯერ ტერმინში – მესხური განმანათლებლობა აისახა, შემდეგ კი მის მრავალმხრივ საქმიანობაში. ასევე უდაოდ დიდია ილია ჭავჭავაძის როლი სამცხე-ჯავახეთში საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებაში, რითაც მართლაც შესაძლებელი გახდა ამ კუთხეში სარწმუნეობრივად გათიშულ ქართველ ერში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება.

ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მიხეილ თამარაშვილისადმი. მას კარგად ესმოდა მიხეილის შრომა რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო ქართველი ერისათვის. ამიტომ, ყოველთვის თვალს ადევნებდა მის სამეცნიერო მოღვაწეობას. უცხო ქვეყანაში თამარაშვილის ტიტანური შრომა მის პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. მისი დავალებით გაზეთი „იველრია“ უფასოდ იგზავნებოდა რომში. რა თქმა უნდა, იქ მყოფი მიხეილისათვის და ქართველი სტუდენტებისათვის. უნდა ითქვას ისიც, რომ მიხეილი „ივერიის“ მხოლოდ რიგითი მკითხველი არ იყო. ხშირად აქვეყნებდა თავის წერილებს. თავისი პირველი საგაზეთო სტატიაც 1897 წელს – გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა, რითაც განსაკუთრებული ყურადღება და დაინტერესება დაიმსახურა. სწორე იმ სტატიით გაიცნო იგი ქართველმა საზოგადოებამ. 1904 წელს იგი ივანე გვარამაძეს ატყობინებდა: „გუშინ გაეგზავნე „ივერიაში“ დასაბეჭდათ უმანკოდ ჩასახების იუბილის შესახებ“.[13] ისე როგორც ყველა ქართველისათვის მიხეილისთვისაც ილია უაღრესად საპატივსაცემო და საყვარელი მამაულიშვილი იყო. ეს კარგად ჩანს მისი მიმოწერიდან. იგი აღფრთოვანებული ყოფილა მისი „ქვათა ღაღადით“. იმდენად, რომ როდესაც თავის მესამე ნაშრომს – პასუხად სომხის მწერლებს“ სწერდა ილას ეს

პუბლიცისტური წერილი „სახარებასავით მქონდა გადაშლილი. თვალს რომ ვავლებდი ძალა მემატებოდაო“.

მიხეილისათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა ილიას მკვლელობა. მან გაზეთ „ისრის“ საშუალებით გამოუცხადა სამძიმარი თავის მშობელ ხალხს და თავისი გულისტკივილიც გამოხატა: „ამ მეტად საუბედურო და მოულოდნელმა ამბავმა გული ნაღვლით ამივსო და თვალები ცხარის ცრემლით. საქართველოს დაობლებულ აღურაცხველ და მრავალნაირ უბედურებამ ბევრ გზის დიდად დამაღონეს, მაგრამ ამ წარმოუდგენელ მოვლენამ კი ღრმად დამაწყლულა, რადგან საქართველომ დაჰკარგა იმისთანა შვილი, რომელმაც აღურაცხელი მიაგო თავის სამშობლოს, და რომელმაც თვით ევროპაშიც დაიმსახურა ღრმა პატივისცემა. ამისთვის ვერ ვჰპოვებ შესაფერის სიტყვას, რომ საკმაოდ დავგმო ეგოდენი უღვთობის მომქმედი ბარბაროსი, რომელმაც საქართველო ასე დააობლა და მას გამოჰგლიჯა თავისი დიდების ბრწყინვალე გვირგვინი“.[14] მიხეილი აღშფოთებული იყო ილიას მკვლელობით. კარგად ესმოდა, რომ ეს იყო უდიდესი დანაკლისი ქართველი ერისათვის, რამდენადაც მისი სახით დაჰკარგა უპირველესი პატრონი და ქომაგი, რომელიც წინ უძღვოდა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლის გზაზე მდგარ ქართველ ერს.



იაკობ გოგებაშვილი

სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენებით აისახა XIX საუკუნე. კერძოდ, ეს კუთხე განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან, დაუბრუნდა დედასამშობლოს და, იმავდროულად, აღმოჩნდა მეორე დამპყრობლის ხელში.

სამხრეთ საქართველოს ოსმალეთისაგან გათავისუფლებით და სქართველოსთან შეერთებით, შესაძლებელი გახდა საქრთველოს ტერიტორიული გამთლიანება და ქართველი ერის კონსოლიდაცია. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მეფის რუსეთი, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა დაპყრობილი ხალხების მი-

მართ, აქაც – სამცხე-ჯავახეთშიც ხელს უწყობდა მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიურ გათიშვა-დაქსაქსულობას. „აქაურ მკვიდრს (გამაჰმადიანებულ ქართველს) მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ“, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა, „ქართველი კათოლიკენი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადეს“.[1]

მეფის ხელისუფლება ახორციელებდა ე.წ. რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რითაც მიზნად ისახავდა ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ გადაგვარებას, სხვა არარუსი ხალხების მსგავსად მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაბეჩავებას. იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ქართველი მოსახლეობისათვის დაეკისრებინა მშობლიური ენა, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები. რუსეთის წარმომადგენლები თავიანთ დამოკიდებულებას არც კი მალავდნენ. ბერი ეოსტორგოვი დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ ქართველების არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება, არც ქრისტიანობის აღდგენა. მათ შორის სკოლებს თუ ვაარსებთ, მხოლოდ ერთი მიზნით – ყველანი გავარუსოთ“.[2] ე.ი. რუსი მოხელეები ყოველგვარი შენიღბვის გარეშე აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი ქართველი ერის ეროვნული გადაგვარება იყო.

აღნიშნულ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში შექმნილმა შიდაპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ე.წ. მესხური განმანათლებლობის აღმოცენება. იგი დაეფუძნა იქ არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს. კერძოდ, იმას რომ ეს კუთხე, რომელიც თურქთა საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ქართული იერ-სახე, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად მისი რეალური დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სამ ნაწილად გათიშული ქართველი მოსახლეობა ეროვნული გადაგვარების გზაზე დააყენეს, რაც სამცხე-ჯავახეთის დაკარგვის ტოლფასი იყო. შიდაპოლიტიკური ვითარება საქართველოს არცერთ კუთხეში არ ყოფილა ასე გართულებული.

სწორედ ამან განაპირობა საგანმანათლებლო საქმიანობის დიდი აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ იმთავითვე სწორად გათვალა ის, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის ეროვნული გადარჩენის საშუალებად განმანათლებლობა მიიჩნია და აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალა აუცილებელი მხარდაჭერა ადგილობრივი ეროვნული ძალებისადმი – მათთვის ყოველგვარი მხარდაჭერის გაწევა მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის. ქართველ ინტელიგენციას სწორად ჰქონდა გააზრებული ეპოქის მოთხოვნა – ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გაძლიერება და ცდილობდნენ, არ დაეშვათ ეროვნული მთლიანობის დარღვევა. სარწმუნოებრივი გათიშულობის მიუხედავად, ამ კუთხის სპეციფიკიდან და განვითერბული მოვლენებიდან გამომდინარე, გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობა ამ კუთხის მოსახლეობასთან, ინტელიგენციასთან, სასულიერო წრეებთან თანამშრომლობასა და ურთიერთობაში აისახებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება სამცხე-ჯავახეთისადმი, რომლის ამსახველი მასალები მრავლად მოიპოვება სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერებში, ქართულ პერიოდიკაში.

როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, იაკობ გოგებაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მესხ განმანათლებლებთან, რის გამოც მესხეთის თემამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა მის მდიდარ მემკვიდრეობაში. კერძოდ, იაკობმა განსაკუთრებული ყურადღება ამ კუთხისადმი პირველად გამოხატა თავის სახელმძღვანელოში – „ბუნების კარი“. როგორც ცნობილია, „საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი“ პირველად 1868 წელს გამოიცა. მესამე განყოფილება – „გეოგრაფიული“ ეძღვნება სამშობლოს შესწავლას, მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას. ავტორი ცალ-ცალკე

განიხილავს საქართველოს თითოეულ კუთხეს. ამდენად, ცალკე თავად გამოყოფილია „სამხრეთი საქართველო, ანუ ძველი მესხეთი“. ყურადღებას იპყრობს იაკობის დამოკიდებულება მესხეთის ცნებისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში და თვით საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორად იხმარებოდა ტერმინი „მესხეთი“, მასში მოიაზრებოდა სამცხე და იხმარებოდა ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“. იგი „ბუნების კარში“ მთელ სამხრეთ საქართველოს უწოდებს ძველ მესხეთს და მის საზღვრებში აერთიანებს: ახალციხის მხარეს (სამცხეს), ჯავახეთს, აჭარას, შავშეთსა და ერუშეთს, ჭანეთს, ქობულეთს. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული „მესხეთის“ ასეთი აღქმა და შესაბამისად, ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“ შეიცვალა სამცხე-ჯავახეთით. ე.ი. იაკობი ისტორიკოსი არ იყო, მაგრამ მას ჰქონდა შესაბამისი ისტორიული ცოდნაც და ალღოც, რომ სწორი დასკვნები ჰქონოდა.

იაკობ გოგებაშვილი მესხეთის ისტორიას ორ ნაწილად ჰყოფს: პირველი, როცა ის საქართველოს შემადგენლობაში იყო და მეორე – ოსმალეთის მფლობელობაში. პირველ პერიოდს შემდეგნაირად ახასიათებს: „შუა საუკუნეებში, როცა ჰყვაოდა საქართველოს სამეფო, მესხეთიც დაწინაურებული იყო განათლებით, ხელოვნების ცოდნით მესხნი ბევრად სჯობდნენ სხვა ქართველებს. აქ არის აგებული შესანიშნავი ტაძრები და მონასტრები, აქაურნი იყვნენ სახელგანთქმული მეომარნი. მესხებს უპირველესი ადგილი ეჭირათ ბრძოლაში. სახელოვანი მწერლებიც მესხეთის შვილნი იყვნენ: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, სარგის თმოგველი, შოთა რუსთაველი“.[3]

იაკობ გოგებაშვილი მესხეთის დახასიათებისას მხოლოდ ქართულ წყაროებს არ ეყრდნობა, იგი იყენებს, როგორც თვითონვე მიუთითებს, ერთი უცხო მოგზაურის ჩანაწერს: „ძველს დროში მთელი ეს მხარე აყვავებული იყო. ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა. თუმცა მდებარეობა მთაკლდოვანია, მესხის შრომამა და ხელოვნებამ ყველაფერს

სული შთაბერა. აქ ისე უხვად მოდიოდა მოსავალი, რომ როდესაც საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდებოდა, აქაური პური ჰკვებავდა ქვეყანას".[4] შეიძლება ითქვას, რომ იაკობი სრულად წარმოაჩენს ამ კუთხის ისტორიას, მის მიღწევებს, ღირსშესანიშნაობებს. იგი სამართლიანად მიუთითებს იმაზეც, რომ „მესხეთი იყო სწორედ ის კუთხე, სადაც ადრეფეოდალურ ხანაში წარმოიშვა საქართველოს ერთიანობის იდეა და განხორციელდა კიდეც. შემდგომ კი, საუკუნეების განმავლობაში, ოსმალთა ბატონობის მიუხედავად, მის მოსახლეობას არ დაუკარგავს არც ენა, არც ხასიათი და სნეჩეულება და ტრადიციები უცვლელად შეინარჩუნეს".[5]

ახალციხის მხარის მიმოხილვისას იგი იძლევა ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ჰავის დახასიათებას, შემდეგ ეხება ახალციხის მხარის ოსმალეთის მიერ მის დაპყრობას, შედეგებს და, ბოლოს, 1829 წელს რუსეთის დახმარებით საქართველოსთან შემოერთებას. ამ სახელმძღვანელოში საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოგვცა მესხეთის ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული აღწერა-დახასიათება იმდენად დეტალურად, რომ არ აქვს გამოტოვებული არცერთი მისი ღირსება, მიუთითებს მის ძირითად მახასიათებლებზე. კერძოდ, სამცხისათვის მიაჩნია ეკლესია-მონასტრების სიმრავლე, ჯავახეთისათვის – ტბებისა: „ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებით, ჯავახეთი ერთადერთი კუთხეა საქართველოსი, სადაც ტბები ბლომად არის".

იაკობ გოგებაშვილი ვრცლად გადმოგვცემს სამცხე-ჯავახეთის მთავარი ქალაქების – ახალციხისა და ახალქალაქის ისტორიას. მათი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ იძლევა ქალაქის მცხოვრებთა ეროვნების, სალაპარაკო ენისა და სხვა ნიშნების მიხედვით დახასიათებას.

ამ კუთხის დასახლებული პუნქტების განხილვისას იგი წერს: „ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: რუსთავი, სადაც დაიბადა უწარჩინებულესი პოეტი მთელის საქართველოსი – შოთა რუსთაველი, ურაველი – შესანიშნავი რკინის წყლითა, აწყური – თავისი შესანიშნავი ძველი

ციხითა. ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა და სხვანი. ასევე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა – ვარძია და საფარა“. ამრიგად, იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში“ წარმოადგინა მესხეთის გეოგრაფია, ისტორია, მისი ეთნოგრაფიული აღწერა სხვა კუთხეებთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახით აღწერას ადგილი არ ჰქონია ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ. ამ ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელოთი ქართველ ბავშვებს შესაძლებლობა მიეცათ საფუძვლიანად შეესწავლათ თაყიანთი სამშობლო, რათა ქართველებად დარჩენილიყვნენ, რაც ეპოქის უპირველესი ამოცანა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბუნების კარი“, როგორც სახელმძღვანელო, გამოიყენებოდა ახალციხის ქალთა სკოლაშიც. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება. ვახტანგ გურგენიძე სამართლიანად შენიშნავდა: „იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ გეოგრაფიული განყოფილება დღეს გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებელთათვის საუკეთესო საილუსტრაციო ფაქტიურ მასალას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ახალი ყოფის ძველთან შესადარებლად“.[6]

იაკობ გოგებაშვილმა მესხეთის ისტორიის შესწავლაში თავისი წვლილი იმითაც შეიტანა, რომ დაწერა ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“, რომელსაც თან დაურთო „ახალციხის მხარის ქარტია“ (ე.ი. რუკა) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაკობმა დაამკვიდრა ისტორიული მოთხრობის ჟანრი, ის იყო მრავალი ისტორიული მოთხრობის ავტორი. მისი მოთხრობებით სწავლობდა ქართველი ხალხი თავისი ქვეყნის ისტორიას.

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილს 1874 წელს, ავადმყოფობის გამო, შესაძლებლობა მიეცა სწვეოდა სამცხე-ჯავახეთს. მან სეზონზე მეტი დრო დაჰყო აბასთუმანში. როგორც ჩანს, ეს პერიოდი იმ მხრივაც გამოიყენა, რომ საფუძვლიანად შეესწავლა ამ კუთხის პრობლემები, მოინახულა მისთვის უკვე კარგად ნაცნობი მესხი განმანათლებელი – ივანე გვარამაძე, რომელიც თავის დროზე წარუდგინა აკაკი

წერეთელმა. თავისი შთაბეჭდილებები იაკობმა ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში – „აბასთუმანი“ განათავსა. იაკობი სწორედ ამ პერიოდში ეწვია ქალთა სკოლას. მან რაბათის (ახალციხის ძველი ნაწილი) ქალთა უფასო სკოლის დაარსება „ცისკრის ამოსვლას“ შეადარა და სანიმუშოდ მიაჩნდა. იგი წერდა: „საკმარისია სულ ცოტახნით დაჰყოთ ახალციხის ქალთა სკოლაში, რომ ნათლად შეიგრძნოთ თუ რა ნათელ გავლენას ახდენს ბავშვზე სკოლაში ყოფნა და სწავლა... ბავშვები ყოველგვარი დარცხვენის გარეშე გიმღერებენ თქვენ ქართულ და რუსულ სიმღერებს“. იგი ასკვნიდა, რომ „გოგონების გონებრივი ძალები გაღვიძებულია სწორი და პედაგოგიური განათლებით, სწავლებით“. მიუთითებდა, რომ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ივნისის გამოცდებმა და აჩვენა მოსწავლეთა წარმატებანი თითოეულ საგანში. მათ შორის, რუსული ენა გონივრულად და შეგნებულად აუთვისებიათ“.[7] იგივეს მიუთითებდა გაზეთ „დროების“ კორესპოდენტი მ. მამაცაშვილი: „რუსული ენაც კარგად მოუსწრიათ. ქალები, რომელთაც რუსული ენა თითქმის არც კი გაუგონიათ, კარგათ კითხულობენ, წერენ და წაკითხულს ძალიან აზრიანად ხსნიან რუსულ ენაზე“. იგი მიუთითებდა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში იყენებდნენ იაკობის „ბუნების კარს“ და „Русское слово“ – ს.[8]

იაკობმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ აღნიშნული სასწავლებელი პროფესიული გახლდათ და აქედან გამომდინარე, გოგონების გონებრივ განვითარებასთან ერთად კარგად იყო დაყენებული ხელსაქმის სწავლების საკითხი: „ხელსაქმის ნიმუშები ეჭვს არ ტოვებენ, რომ ცხოვრებაში პრაქტიკულად საჭირო და უშუალოდ სასარგებლო საქმეს გულმოდგინედ ეკიდებიან სკოლაში“. იაკობმა ახალციხის ქალთა სკოლას უმაღლესი შეფასება მისცა. ამასთანავე, იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს სხვა სამაზრო ქალაქებიც მიბაძავდნენ და ასეთივე სასწავლებლებს დააფუძნებდნენ: „იმედი ვიქონიოთ, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლა ჰპოვებს მიმბაძველებს ჩვენი ქვეყნის

სხვა სამაზრო ქალაქებში და იქნება ნიმუში ქალთა უფასო სკოლების დაარსებისა და ორგანიზაციისა, რომელთა საჭიროება ყველგან ასე ძლიერ იგრძნობა".[9]

იაკობ გოგებაშვილმა თავისი კორესპონდენციით დიდი სამსახური გაგვიწია, რამდენადაც აღნიშნული სასწავლებლის შესახებ დეტალური და ამომწურავი მასალა მოათავსა. ამასთანავე, როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, მას შემდგომ პერიოდშიც არ შეუწყვეტია ამ სკოლისადმი მზრუნველობა. აღნიშნულს ასაბუთებს 1902 წელს ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) მიერ მისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ამცნობს, რომ ის არჩეულია სასწავლებლის ხაზინადრად და გამგებლად: „ახლა, ჩემო იაკობ, იმედი მაქვს, რომ ჩემ ახალ მოვალეობაზედ ხელს შემიწყობ და არ დამტოვებთ მარტოს, არ დაიზარებთ დარიგების და რჩევის მოცემას".[10]

როგორც ჩანს იაკობ გოგებაშვილის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) თხოვნა. იგი იმავე წლის ერთ-ერთ კორესპოდენციაში რაბათის ქალთა სკოლის კეთილმოსურნეღ სწორედ იაკობს ასახელებდა: „ეს გულწრფელი და ხმალამოღებული მამულიშვილი მარტო ზნეობრივად არ ეხმარებოდა სკოლას, ნივთიერადაც არ ივიწყებს მას. შარშან ხუთი თუმნის წიგნები და რვეულები მოგვაშველა, წრეულს თითქმის სამი თუმნისა".[11]

დასახელებული სასწავლებლისადმი იაკობი მზრუნველობას იმითაც გამოხატავდა, რომ ცდილობდა მოეძებნა მეცენატები, რომლებიც ეკონომიურ დახმარებას გაუწევდნენ ამ კერძო სკოლას. იგი აღფრთოვანებული იყო ანა ღოღობერიძის საქმიანობით. სერგო სანიკიძე სამართლიანდ მიუთითებდა, რომ იაკობ გოგებაშვილი სკოლის არსებობას მიაწერდა ანა ღოღობერიძის მზრუნველობას, გონებრივ ინიციატივას და საქმიან ხელმძღვანელობას.[12]

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის იჩენდა მზრუნველობასა და ყურადღებას სამცხე-ჯავახეთისადმი. მან „ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისთანავე გამგეობის სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ საზოგადოებას მიეღი ექვსი ახალი წევრი. ერთ-ერთ წევრად დაასახელა წარმომადგენელი ახალციხის მხრიდან. მან 1880 წელს გაზეთ „დროების“ საშუალებით მიმართა ქართველ საზოგადოებას: „რამდენადაც ასპარეზი საზოგადოების მოქმედებისა არ.ის მთელი საქართველო, ამიტომ ექვსი ახალი წევრი იმ [illegible]ახით უნდა იქმნას ამორჩეული, რომ ყოველ კუთხეს საქართველოსას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი მმართველობაში. ეხლანდელი მისი წევრები სულ ქართლ-კახეთელები არიან. იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ახალციხის მხარე და თუშ-ფშავ-ხევსურეთი მოკლებულნი არიან წარმომადგენლებს“.[13] მისი განცხადების საფუძველზე მოხდა ივანე გვარამაძის სამცხე-ჯავახეთიდან საზოგადოების წევრად არჩევა.

იაკობ გოგებაშვილს სამცხელებთან ურთიერთობა მოუწია თავისი სახელმძღვანელოს „დედა ენის“ გამოც. კერძოდ, საქმე იმაში გახლდათ, რომ გაზეთ ივერიაში დაიბეჭდა ახალციხელი მასწავლებლის გიორგი ბურჭულაძის წერილი – „ზოგიერთი შენიშვნები „დედა ენის“ შესახებ[14]“. იაკობმა საპასუხო სტატია „შენიშვნები შენიშვნებზე“ იმავე წელს დაბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ (№9). მან ახალციხელი კრიტიკოსის წერილი, თავისი საქმიანი ხასიათის გამო, დადებითად შეაფასა. იგი წერდა: „წერილმა ჩვენი ყურადღება მიიქცია თავისი ობიექტური, საგნობრივი, მიუდგომელი კილოთი, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში ძლიერ იშვიათია სამწუხაროდ...“[15]

იაკობის ყურადღება მიიპყრო წერილის ავტორის გულწრფელმა განზრახვამ: „დედა ენა“ მე საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიმაჩნია და ამიტომაც დიდი სურვილი მაქვს, რომ იგი კიდევ უკეთესი შეიქმნას. თუ ყურადღების ღირსი არის რამ და ჭკუაში დასაჯდომი, რასაკვირველია, მიღებული იქნება“. როგორც სტატიიდან ირკვევა, მთლად უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო გიორგი ბურჭულაძის შენიშვნები: „თუ

მკითხველი ამ პასუხის წაკითხვის შემდეგ ახალციხელი ავტორის წერილს სრულიად უნაყოფოს ჩასთვლის, უსამართლოდ მოიქცევა. ყველაფერი როდი გამოდგა უსაფუძვლო და შეუწყნარებელი. თუ გავიხსენებთ, რომ რაც კი წერილები დაიბეჭდა „დედა ენის“ წინააღმდეგ ამ ოცი წლის განმავლობაში, სულ ბზისა და ბუჩოსაგან შესდგებოდა. ჩვენ მადლობელი დავრჩებით ახალციხელის ავტორისა, რომელმაც რამდენიმე საღი პურის მარცვალი შეგვმატა“ – წერდა იაკობი. მან ახალციხელი მასწავლებლის შენიშვნები არათუ იწყინა, არამედ გაითვალისწინა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი დიდბუნებოვნობა.

„დედა ენის“ თაობაზე პოლემიკა ასევე გაიმართა იაკობ გოგებაშვილსა და მესხ მოღვაწეს – კონსტანტინე გვარამაძეს შორის. როგორც კ. გვარამაძის არქივში მოძიებული მასალებიდან ირკვევა, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მის მიმართ, რაც გამომდინარეობდა იაკობის განცხადებიდან: „ჩემს „დედა ენაში“ მოთავსებული ხალხური ლექსებით არავის შეეძლოს სარგებლობა, ჩემდა დაუკითხავად სხვა სახელმძღვანელოში შეტანა“. იგი საყვედურს გამოსთქვამდა იმის გამოც, რომ მოძიებულ მასალას ხალხური ხასიათი დაუკარგაო“.[16]

კონსტანტინე გვარამაძემ უკმაყოფილება გამოხატა 1897 წელს, ჟურნალ „კვალში“! დაბეჭდილ წერილში – „მცირე შენიშვნა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიმართ“. წერილში, აგრეთვე განიხილავდა „დედა ენის“ წინასიტყვაობაში ივანე გვარამაძის მოხსენიების საკითხსაც.


იაკობ გოგებაშვილს უპასუხოდ არ დაუტოვებია დასახელებული წერილი. პასუხი – „ერთი პრეტენზიის გამო“ დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“[17] იგი მიუთითებდა, რომ ივანე გვარამაძის რეჟულში ვერ მონახა მისთვის გამოსადეგი ვერცერთი ლექსი „გარდა სამიოდე ორსტრიქონიან ლექსისა, რომელიც ჩემ კრებულშიც ერია. მიუხედავად ამისა, ამ მღვდლის საპატივსაცემოდ, აგრეთვე სხვა შემკრებთა წასა-

ქეზებლად წინასიტყვაობაში მაინც მოვიხსენიე ვინმე ფრანგის მღვდლის სახელით. წერდა, რომ თუ ივანე გვარამაძის რომელიმე ლექსის ამოცნობას შეძლებდნენ მის დედა ენაში, მაშინ მის საკუთრებად გამოაცხადებდა შემდეგ გამოცემებში.[18] ვფიქრობთ, იაკობ გოგებაშვილს, როგორც სახელმძღვანელოს შემდგენელს და გამომცემელს, კანონიერი უფლება ჰქონდა ზემოთმოხსენიებული განცხადების გაკეთებისა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ სახელმძღვანელოს დანიშნულებას და მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, შეიძლება აღნიშნულის საფუძველზე დავასკვნათ, რომ იაკობ გოგებაშვილს მოძიებული მასალის სტილისტურ-აზრობრივი გასწორების სრული უფლება ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთთქმული არ იყო მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი. კონსტანტინე გვარამაძე უმაღლეს შეფასებას აძლევდა იაკობ გოგებაშვილს სწორედ „დედა ენის“ გამო. გაცნობიერებული ჰქონდა დიდი პედაგოგის უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე: „იაკობ გოგებაშვილი იყო ის კაცი, რომელმაც ღედა ენას სული ჩაუდგა. ნამდვილი ქართველი, უშიშარი და მხნე მებრძოლი ქართული სკოლებისათვის“[19] ამიტომაც იყო, რომ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მესხი მოღვაწე: „ჩემთან სწუხან და მწარე ცრემლს აფრქვევენ დედა ენის პატარა მესხი მკითხველები – მოსწავლეები და მოსახლეობა ორმოცდაათი წლის ნაამაგარი და მხცოვანი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ცხედრის წინაშე“.[20] კონსტანტინე გვარამაძეს კარგად ესმოდა, რა დიდი დანაკლისი განიცადა ქართველმა ერმა და ქართულმა ეროვნულმა საქმემ იაკობ გოგებაშვილის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იაკობი, როგორც XIX საუკუნის ქართული საქველმოქმედო საზოგადოებების (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოება, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე თბილისის სათავადაზნაურო საზოგადოება) აქტიური წევრი

უშუალო მონაწილეობას იღებდა სამცხე-ჯავახეთში ახალი ხო სკოლების დაარსების საქმეში. აღნიშნული საზოგადოებების მიერ სკოლები დაფუძნებულ იქნა მრავალ სოფელში: მუსხში, ხიზაბავრაში, უდეში, ხერთვისში, ტოლოშში, ქილდაში, არალში, ადიგენში და ა.შ. გოგებაშვილი სკოლებს თავისივე სახელმძღვანელოებით ამარაგებდა და საერთოდ ეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ იაკობ გოგებაშვილს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მესხ მოღვაწეებთან. კარგად იცნობდა ამ კუთხის მოსახლეობის პრობლემებს. აქედან გამომდინარე, აქტიურად იბრძოდა მისი სარწმუნოებრივად გათიშული ქართული მოსახლეობის კულტურული დაწინაურებისა და განათლების გავრცელებისათვის. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა მათი ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებასა და ამაღლებაში. ამასთანავე, რამდენადაც ადგილი ჰქონდა დათმობილი მის მემკვიდრეობაში ახალციხის მხარეს და, საერთოდ, მესხეთს, შეიძლება იგი ამ კუთხის ისტორიის ერთ-ერთ მკვლევარადაც იქნეს მიჩნეული.



აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელს კარგად მოეხსენებოდა მესხეთის წარსულიც და აწმყოც, მისი როლი ქართველი ერის ისტორიაში. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ამ კუთხესთან და მის ღირსეულ შვილებთან. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, ქართულ პერიოდიკასა და სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა საეანის ფონდარქივში დაცულია მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს აღნიშნულ საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ესმოდა რა სამშობლოსთან ახლად შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის პრობლემები, აქ-

ტიურად თანამშრომლობდა მესხ განმანათლებლებთან. უფრო მეტიც, მოძიებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებთან ილია ჭავჭავაძესთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას ამ კუთხეში. იმდენად, რომ სწორედ მათგან წამოვიდა ტერმინი „მესხური განმანათლებლობა“ და მის შესაბამისად „მესხი განმანათლებელი“, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმდროინდელი საქართველოსთვის. სწორედ აქედან გამომდინარე იყო ისიც, რომ აკაკიმ ჯერ კიდევ 1880 წელს დაუინებით მოითხოვა ახლადდაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობაში ერთ-ერთ წევრად შეეყვანათ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენელი.

აკაკის ახლო ნაცნობობა და თანამშრომლობა აკავშირებდა მესხ განმანათლებელთა წინამძღოლთან, „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ კათოლიკე მღვდელთან – ივანე გვარამაძესთან. მათი ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის თვით ივანე გვარამაძის შვილი – კონსტანტინე. მისი გადმოცემით აკაკი და ივანე გვარამაძე პირადად იცნობდნენ ერთმანეთს. მათი თანმშრომლობა კიდევ უფრო მეტად მას შემდეგ გააქტიურდა, როცა ივანე გვარამაძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი გახდა. ე.ი. 1880 წლიდან და ეს გაგრძელდა მათი სიცოცხლის განმავლობაში. სწორედ აკაკის დამსახურება იყო, რომ ივანე გვარამაძემ დაწერა ავტობიოგრაფიული ნაშრომი – „ვინმე მესხის ცხოვრება“. თბილისში მათი ერთ-ერთი შეხვედრის დროს აკაკის მისთვის უთქვამს: „მამა იოანე, მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს თქვენი ხანგრძლივი სამწერლო მოღვაწეობისათვის მოგიწყოთ ოცდაათი წლის იუბილე. რის შესახებ გთხოვ თქვენს ნებართვას, რომ აღვძრათ ეს საკითხი გაზეთის საშუალებით, რათა ახლავე შევუდგეთ საქმეს“. ივანე გვარამაძეს ჩვეული თავმდაბლობით საფუძვლიანი უარი განუცხადებია: „ჩვენს

დღევანდელ კულტურულად დაცემულს ხანაში, რასაც ქართველი ხალხი განიცდის, ის საზეიმოდ დასახარჯი თანხები უკეთესი იქნება სწავლა-განათლების საქმეს მოხმარდეს, ვიდრე ერთი პიროვნებისათვის მოწყობილს იუბილეზე იხარჯებოდეს.“ ასეთი პასუხის მიღების შემდეგ აკაკის მისთვის თხოვნით მიუმართავს: „რახან თქვენ მაგნაირი თვალსაზრისით უყურებთ იუბილეს გამართვას, მაშ, შესწუხდით და დასწერეთ თქვენი ვრცელი ბიოგრაფია, თქვენი ცხოვრებისა, რაც თქვენს სიკვდილის შემდეგ მომავალ თაობას გააცნობს თქვენს სამწერლო მოღვაწეობას და უკედავი დარჩება თქვენი სახელი სამუდამოთ ქართველთა ხსოვნაში“.[1] აკაკის წინადადება მისაღები აღმოჩნდა მესხი მოღვაწისათვის. მართლაც, მან 1891 წელს, სამოცი წლის ასაკში, დაწერა თავისი ვრცელი ბიოგრაფია, რაც არა მარტო მისი ცხოვრება-მოღვაწეობის, არამედ იმ პერიოდის შესწავლის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა და ილია მაისურაძის ფონდებში ინახება ივანე გვარამაძისადმი აკაკის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე პირადი წერილი, ასევე მის მიერ აკაკისადმი გაგზავნილი წერილების ასლები, რომელებიც მათ თანამშრომლობაზე და მეგობრულ ურთიერთობაზე მეტყველებს. მათი მიმოწერიდან ირკვევა, რომ აკაკი ივანე გვარამაძის ნაშრომების პირველი კრიტიკოსი იყო. ივანე გვარამაძე მასალის გაგზავნისას ყოველთვის სთხოვდა, რომ მკაცრად შეეფასებინა იგი: „გთხოვთ უმორჩილესად ნუ დამზოგავთ. ისე განსაჯეთ, როგორც მტრისა და ცხრა მთას იქეთელ უცნობის სინდისით, რომ საზოგადოების სასარგებლოდ იყოს“.[2] ასევე ირკვევა, რომ აკაკის თხოვნით დაიწყო ივანე გვარამაძემ ლექსიკონზე მუშაობა. „თქვენ რომ შემომიკვეთეთ ქართული ლექსიკონის დაწერა, ხელი ვახლე, – აცნობებდა ერთ-ერთ წერილში“. ამასთანავე, ივანე გვარამაძე აქტიურად თანამშრომლობდა აკაკის ჟურნალში „აკაკის კრებული“. საყურადღებოა ისიც, რომ მან თავი მოუყარა

მოძიებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომელთაც „სამეს-ხეთოს ძველი სიტყვიერება“ უწოდა და დიდი პატივისცემის ნიშნად, 1908 წელს, უძღვნა იუბილარ მგოსანს – აკაკი წერეთელს. კრებულს წაუმძღვარა ლექსი – „აკაკი“:

„მაგით ხარ ქართველთ დიდება,
რაც თქვით უკვდავად იდება,
იცოცხლეთ, რაც რომ გინდება,
ხმა შენი არ მოგვწყინდება“.[3]

გარდა ამისა, ივანე გვარამაძემ ვრცელი წერილით მიუ-ლოცა იუბილე აკაკის, სადაც დეტალურად წარმოაჩინა აკა-კის დამსახურება ერის წინაშე. გამოხატა თავისი დამოკიდე-ბულება მისადმი: „გილოცამთ დიდის სიყვარულით სიხარუ-ლით თქვენის ოცდაათი წლის იუბილესა. თქვენის ერთა-დერთის კეთილშობილური ლირიკული მგოსნობისა და მწერ-ლობით მოღვაწეობისათვის და გიკოცნი ენა პირსა, რომ-ლითაც საკმაოდ განშვენიერებით გაცხოველდა და დაწი-ნაურდა ეს ჩვენი ქართული ენის სული-გული... მრავალ წელს გაცოცხლოს უფალმან ღმერთმან ჩვენს დიდებულ მამად-მთავრად, დიდ ნუგეშად და იმედათ“.[4]

მათი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ ორი მოღვაწის ურთიერთობა სცილდებოდა ოფიციალურ თანამშრომლობას, ისინი იყვნენ მეგობრებიც. იმდენად, რომ ხშირად უზიარებ-დნენ ერთმანეთს პირად საკითხებს, თავიანთ პრობლემებსა და გულისტკივილს. ერთ-ერთ წერილში აცნობებდა, რომ მისმა შვილმა კონსტანტინემ მის უკითხავად შეირთო ცოლი და ეკონომიკურად დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი. ასევე იმედგაცრუებული სწერდა: „დავბეჭდე „მშობლები და მათი შვილები“ ექვსასი, მცხეთის ეკლესიის სასარგებლოდ გადა-ვეცი, მაგრამ არაფრად ჩამიგდეს. ჩვენს ქვეყანას შურიანობა დაღუპამს, ავის და კარგის გარჩევა არ არის, სიმართლეს გზა არ აქვს“.[5]

აკაკისთან ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე გვა-რამაძის შვილს კონსტანტინესაც. მან 1908 წელს, აკაკის მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად, გამოსცა

მონოგრაფია: „იუბილარი აკაკი წერეთლის ბიოგრაფია.“ 1939 წელს კი აკაკის საპატივსაცემოდ დაწერა „აკაკი წერეთლის შესახებ მოგონებანი მესხი კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძის“.[6] დასახელებული ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „1885-1900 წლამდე გავიცანი პოეტი მამია გურიელი, გრიგოლ ვოლსკი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და სხვა მწერალნი. აკაკი წერეთელი ხომ ყველაზე ადრე გავიცანი და ყველაზე უფრო დაახლოებული ვიყავი მასთან“.[7] საქმე იმაში გახლდათ, რომ 1876 წელს აკაკი აბას-თუმანში ისვენებდა და სწორედ ამ პერიოდში შეძლო მეს-ხეთისა და მესხების ახლოს გაცნობა. კონსტანტინე გვარა-მაძემ სწორედ მაშინ, ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში, ნახა აკაკი ქალაქ ახალციხეში, აფთიაქარ ივანე სიმონის ძე მაი-სურაძის ოჯახში. მან პოეტს, პატივისცემის ნიშნად, დედის გამომცხვარი ერთი სინი შაქარლამა მიართვა.

კონსტანტინე გვარამაძემ პოეტი მეორედ ნახა 1885 წელს (ქუთაისში სწავლის პერიოდში). როგორც ჩანს, იმ დროს ივანე გვარამაძე კარგად დაახლოებული პირი უნდა ყოფი-ლიყო აკაკისთან, რადგან კონსტანტინე გვარამაძე წერდა: „სწავლის ფული რომ ვერ გადავიხადე, აკაკიმ რომ შეიტყო, თვითონ შეიტანა სასწავლებელში ჩემი სწავლის ფული.“ გარდა ახლო ურთიერთობისა, იგი თანამშრომლობდა კიდეც აკაკისთან: „1888 წელს ქუთაისში აკაკის ნაწერებს ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ვკრებდი ცალკე ტომებად გამოსაცე-მად, რისთვისაც თხუთმეტი მანეთი დამინიშნა თვიურად“.[8] უნდა ითქვას, რომ კონსტანტინეს აკაკისთან მუშაობის გამო-ცდილება შემდგომშიც გამოადგა. რაც იმაში გამოიხატა, რომ მან თავის ყველა საგაზეთო სტატიას ერთად მოუყარა თავი. მისი გადმოცემით, იგი სოფელ სხვიტორშიც სწევია აკაკის. სწორედ იქ შესთავაზა აკაკიმ თავისი მამულის მოურავობა: „მე თუმცა ასეთი რჩევა აკაკისა ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ ვერ გადავწყვიტე პასუხი, რადგან საჭირო იყო დიდი მო-ფიქრება ამაზედ.“ თუმცა მალე, ერთმა გარემოებამ – ცხენი-დან ჩამოვარდნამ, განაპირობა ის, რომ ვერ მიიღო აკაკის

წინადადება. აკაკისთან ახლო ურთიერთობით კონსტანტინე გვარამაძემ პოეტზე ბევრი საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, თუ აკაკიმ როგორ დაიწყო ჟურნალ „აკაკის კრებულის“ გამოცემა. მიუთითებდა, რომ დასახელებულ ჟურნალში თანამშრომლობის გამო გადაწყდა მისი მასწავლებლად განწესება სოფელ ხიზაბავრის სკოლაში, სადაც მას, იმავე დროს, უნდა მოეძია ეთნოგრაფიული მასალები ჯავახეთის შესახებ. „აკაკის დავალება ორი კვირის განმავლობაში შევასრულე. აღვწერე ხიზაბავრა, რომლის აღწერილობა ორმოც გვერდს შეიცავდა,“ – წერდა იგი მოგვიანებით. კონსტანტინე გვარამაძის მოგონებიდან ირკვევა ისიც, რომ მას აკაკის წინადადებით დაუწერია პირველი მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან – „თამრო ჰარამხანაში“. აკაკი იყო მისი მოთხრობების პირველი მკითხველიც და კრიტიკოსიც. უნდა აღინიშნოს, რომ კოტე გვარამაძემ თავის მოგონებებში შემოგვინახა საინტერესო ცნობები აკაკის პირადი ცხოვრების შესახებაც. კერძოდ, დაწვრილებით აქვს აღწერილი მისი მეუღლის ნატალია ბაზილევსკაიას სტუმრობა თბილისში – 1907 წელს.

აკაკისთან ურთიერთობამ, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის დეტალურად გაცნობამ კონსტანტინე გვარამაძეს საფუძველი მისცა შემდეგნაირად დაეხასიათებინა იგი: „აკაკი იყო ღვიძლი მამა და მოჭირნახულე პატრონი საქართველოსი, იგივე იყო ერთგული მოძღვარი და მასწავლებელი მოზრდილთა და საუკეთესო მწვრთნელი და აღმზრდელი საქართველოს წვრილფეხი შვილებისა.... ასწავლიდა სამშობლოს სწავლასა, ეროვნულობასა და მის სიყვარულსა: – თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში თავგამოდებით მოსარჩლეობდა და პატრონობდა სამშობლოს ერს სწავლა-განათლების მოფენით“.[9]

აკაკის მესხებთან ურთიერთობის შესახებ ასევე საინტერესო ინფორმაციას მოიცავს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ანა დიდიმამიშვილის მოგონება როზა მეფისაშვილზე. კერძოდ, აღნიშნული ხელნაწერიდან ვგებულობთ, რომ როზა მეფისაშვილს

მონაწილეობა მიუღია 1898 წელს ქუთაისში გამართულ გამოფენაზე: „ქუთაისში გამოფენაზე მოუთავსებიათ როზა მეფისაშვილის მიერ შეკერილი სურათი: თამარ მეფეს როდესაც მიართმევს შოთა რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანს“, იქ მყოფნი ყველა განცვიფრებაში მოსულა, თუ ვინ შეკერა ასეთი რამეო. ჩვენი უკვდავი მწერალი აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავიც ესწრებოდნენ ამ გამოფენას. და, აი, აკაკი წერეთელს მხარზე ხელის დადებით (ერთ მხარეს აკაკი იყო და მეორე მხარეს რაფიელი) წარმოუთქვამს სიტყვა: აი, ქართველი – მესხი ქალი, რომელმაც შეკერა ასეთი ძვირფასი ქმნილება. იმ დროს, როდესაც მან მხატვრობა სრულებით არ იცოდა და თავისი ნიჭით დაგვიხატა ასეთი სურათი“.[10]

როზა მეფისაშვილის, ახალციხის ქალთა სკოლის კურსდამთავრებულის, ხელნაკეთი უნიკალური ნამუშევრებით, იქ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, მოხიბლულა აკაკიც. ამიტომაც იყო, რომ მან საფრანგეთში გამართულ მსოფლიო საერთაშორისო გამოფენაზე, 1909 წელს, როზა მეფისაშვილის სურათებიც წარადგინა. (ამ პერიოდში აკაკი ევროპაში სპეციალურად გაემგზავრა სამკურნალოდ – ნ.ყ.). აღნიშნულ გამოფენაზე სურათებმა ოქროს მედალი დაიმსახურეს და ამასთანავე ევროპის მრავალმა მუზეუმმა და კოლექციონერმა სოლიდურ ფასებში მოინდომა მათი შესყიდვა. აკაკი წერეთელმა ევროპაში არ დატოვა ეს ეროვნული საუნჯე და უენებლად ჩამოიტანა სამშობლოში. ამჟამად როზა მეფისაშვილის უნიკალური სურათები სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზს ამშვენებს.

ცალკე კვლევას იმსახურებს ორი ღირსეული მამულიშვილის: მიხეილ თამარაშვილისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობა და თანამშრომლობა. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდისა და უშუალოდ სტამბოლის მამათა სავანის არქივ-ფონდის მასალიდან, ნათლად ჩანს, რომ მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ და

ღმერთმაც ისე ინება, რომ ვერც შეძლეს ერთმანეთთან შეხვედრა. ისინი წლების განმავლობაში ეწეოდნენ მიმოწერას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რომში მყოფმა მიხეილმა და ქართველმა სტუდენტებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს იუბილარ აკაკისადმი. მათ იტალიელ მხატვარს დაახატვინეს შოთა რუსთაველისა და აკაკის პორტრეტები და საჩუქრად გამოუგზავნეს საქართველოში წარწერით: „აკაკი წერეთლის იუბილეისათვის ძღვენი პატრი თამარაშვილისა და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისაგან". 1909 წელს კი, აკაკის ევროპაში გამგზავრების წინ, შეთანხმდნენ რომ აკაკი რომშიც ჩავიდოდა, გაიცნობდა მიხეილს და მოინახულებდა იქ მყოფ ქართველ სტუდენტებსაც. ამისათვის მიხეილი საგანგებოდ ემზადებოდა. ამ ამბით გახარებული მიხეილი აკაკის სწერდა: „მაუწყეს თქვენი აქ მოსვლის სურვილი. ამ მოულოდნელმა ამბავმა მეტად გამახარა, რადგან თქვენი ნახვა ჩემთვის დიდი სიხარული იქნება. უმორჩილესად გთხოვთ, წერილით წინასწარ მაცნობოთ თქვენი აქ მოსვლის დრო... აგრეთვე მაცნობეთ, როცა იტალიაში შემოხვალთ, თქვენი აქ მოსვლის საათი, რათა მე ტანციაზე დაგიხვდეთ".[11] სამწუხაროდ, მათი შეხვედრა არ შედგა, აკაკიმ ვერ მოახერხა რომში ჩასვლა, რაზეც ორივე მამულიშვილი ძალზედ გულნატკენი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მიხეილ თამარაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართ. იგი დიდ შეფასებას აძლევდა მის შრომებს და მზრუველობას არ აკლებდა, რომ არ შეფერხებულიყო მათი დაბეჭდვა. პარიზიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აკაკი წერდა: „თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით სასწრაფოდ გამომიგზავნეთ, დიდად საჭიროა".[12] მიხეილმა პოეტს თხოვნა შეუსრულა და გაუგზავნა თავისი პირველი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". როგორც მიმოწერიდან ჩანს, ქვეყნის ბედზე მაფიქრალ ორ ადამიანს, აკავშირებდა მჭიდრო მეგობრობა. ეს იმაშიც

გამოიხატებოდა, რომ სხვადასხვა საკითხზე ხშირად უხიარებდნენ აზრს ერთმანეთს და თუ საქმეს სჭირდებოდა კიდეც არ ერიდებოდნენ და სთხოვდნენ დახმარებას. მიხეილი ერთერთ წერილში აკაკის ატყობინებდა, რომ არ ჰქონდა სახსრები თავისი მესამე წიგნის, „ქართული ეკლესიის ისტორიის“, გამოსაცემად. ამიტომ, მან დახმარების თხოვნით მიმართა აკაკი წერეთელს, რომ ეშუამდგომლა ზუბალაშვილებთან, ცნობილ ქართველ მეცენატებთან, ან დაეინტერესებინა ქართველი თავადები, რათა დროულად გამოეცა ქართველთათვის ეგოდენ საჭირო წიგნი“.[13] აკაკიმ თხოვნა შეუსრულა, რაც იმით დამთავრდა, რომ სტეფანე ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა მიხეილ თამარაშვილს აღუდგინეს სუფსიდია და ერთდროულად დაუბრუნეს შეჩერებული თანხა. ამ თანხამ მიხეილს წიგნის დაბეჭდვის საფუძველი გაუჩინა.

აკაკი წერეთელი, სხვა ქართველი მამაულიშვილების მსგავსად, უმაღლეს შეფასებას აძლევდა მიხეილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ მიხეილის სიცოცხლეშივე მოითხოვდა დაწერილიყო ფუნდამენტური მონოგრაფია ქართველი ხალხის ამ უდიდეს მოღვაწეზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა აკავშირებდათ სტამბოლში, ცნობილი მესხი მოღვაწის აბატი პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ, ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში მოღვაწეთ, რომელთა დიდი უმრავლესობა სამცხე-ჯავახეთიდან იყო წასული. მოძიებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლში მოღვაწე მამები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. უფრო მეტიც, ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წარმატების საქმეში. სტამბოლელი ქართველი მამების საქართველოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მათი დამოკიდებულება აკაკი წერეთელთან, რაც სტამბოლში, პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ მონასტერში, აკაკის იუბილის მოწყობით, მისი

სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებითა და სხვა ღონისძიებებით გამოიხატა. გაზეთი „დროება“ 1909 წელს ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სტამბოლში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამასთანავე ამცნობდა მათ გადაწყვეტილებას: „იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დაარსოს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელნი სთხოვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართული გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბოლის ბიბლიოთეკას“.[14] როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, სტამბოლის ქართველი მამების გადაწყვეტილება აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ იყო აკაკის საპატივსაცემოდ განზრახული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მათ სურდათ, რომ აკაკის იუბილის მოწყობამდე დაეფუძნებინათ ბიბლიოთეკა: „ჩვენი სურვილი იყო, იუბილეისათვის მზათა გვქონოდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალწინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველი ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები“.[15]

ვლადიმერ წერეთელი, თავის ერთ-ერთ კორესპოდენციაში, „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი“, დეტალურად აღწერს ბიბლიოთეკის დაარსების სამზადისს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ იქ მცხოვრები ქართველების სურვილი ყოფილა ბიბლიოთეკის დაარსება მონასტერში, რაც ფერიქოის მონასტრის ტერიტორიული მდებარეობითაც იყო განპირობებული და იმითაც, რომ მას გააჩნდა შესაფერისი ფართი. და რაც მთავარია, სხვადასხვა დროს შეძენილი ქართულ-ხუცური ნაბეჭდი ძველი და ახალი უცხოური წიგნები. წერილის ავტორი ბიბლიოთეკის დაარსებაში ხაზს უსვამს

მამა სტეფანე გიორგაძის, მამა მერაბის და სხვა მრავალ ქართველთა ღვაწლს.[16]

როგორც ირკვევა, ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბიბლიოთეკის გახსნა უნდოდათ ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ საქართველოდან წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათების დაგვიანებით მიწოდებამ განაპირობა მისი დაარსება და თვით აკაკის იუბილის მოწყობა 1909 წლის გაზაფხულზე. საქართველოში დიდი მოწონებით შეხვდნენ ბიბლიოთეკის დაარსების საკითხს და შესაბამისად მხარდგომაც აღმოუჩინეს. კერძოდ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უსასყიდლოდ გაუგზავნა ოცდაათი ლირის ღირებულების წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა („დროება“, „ჩვენი საქმე“, „ძალა“, „ფასკუნჯი“) გაუგზავნეს თავიანთი გამოცემების თითო-ოროლა ცალი და ა.შ. დასახელებული ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი სიკეთე ისიც იყო, რომ იმთავითვე მასთან დააფუძნეს გაჭირვებულთა დამხმარე სალარო და მუზეუმი, რაც მთავარია, სტამბოლში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა იმთავითვე იქცა იქ მცხოვრები ქართველების თავშეყრის ადგილად. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იქაურმა ქართველმა ეჯრებმა მიიღეს გადაწყვეტილება და განახორციელეს კიდეც ის, რომ კვირა-უქმე დღეებში დაკეტავდნენ დუქნებს, რათა კვირაში ერთი დღე ჰქონოდათ თავისუფალი, რომ ესარგებლათ ბიბლიოთეკით და ჰქონოდათ ქართული წიგნების კითხვის დრო და საშუალება. ვინც ამას არ შეასრულებდა სამკითხველოს სასარგებლოდ ხუთ ლირას გადაიხდიდა.[17]

მოძიებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველ კათოლოკეთა სავანის მამები მზრუნველობას არ აკლებდნენ ბიბლიოთეკას და ცდილობდნენ მისი წიგნადი ფონდის გაზრდას. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ალიოზ (შიო) ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი: „აქ წიგნების რიცხვი ანგარიშში თითქმის ჩასაგდები არ არის, უფრო დიდი ყურადღება შინაარსს უნდა მიექცეს. ამ

მხრივ ჩვენი ბიბლიოთეკა ვერ დააკმაყოფილებს განათლებულ ადამიანს... ისტორიული დარგი დიდ სიღარიბეშია. იმედია დახმარებას აღმოუჩენთ ნორჩ ბიბლიოთეკას და თქვენს მზრუნველობას არ მოაკლებთ".[18]

შიო ბათმანაშვილს მიაჩნდა, რომ ბიბლიოთეკა დიდ სარგებლობას მოუტონდა არა მარტო იქაურ ქართველობას, არამედ საქართველოდან იძულებით წასულ ქართველებს, რომლებსაც კონსტანტინეპოლში უწევდათ ჩასვლა. ამიტომ, ერთ-ერთ წერილში ბიბლიოთეკის მკითხველთა სახელით, მადლობა გამოუცხადა ამ პირებს, რომლებიც ზრუნავდნენ ბიბლიოთეკაზე. კერძოდ, ვლადიმერ წერეთელს „სახალხო გაზეთისა" და „კოლხიდას" ერთი წლით გამოწერის გამო, უცნობ ქველმოქმედს, რომელმაც გადასცა წიგნი „ერი და კაცობრიობა", ჯორჯიაშვილის „ეროვნულ საკითხთა გარშემო"[19] და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ბიბლიოთეკაში ქართველი მეცნიერების მუშაობა და თანამშრომლობა განახლდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ღასასრულს. კერძოდ, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო მუშაობა ქართველ მამათა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში არსებულ მასალაზე და დღემდე სწორედ იგი ხელმძღვანელობს ამ ბიბლიოთეკის მასალების სისტემატიზაციასა და კატალოგიზაციას, რათა მას სრულყოფილი სახე მიეცეს. წლების განმავლობაში ბიბლიოთეკაში გადარჩენულ და აღწერილ იქნა 90 000 ერთეული ხელნაწერი და წიგნი. დასამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათასი ერთეული.

საყურადღებოა ისიც, რომ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა სიმონ ზაზაძემ ბოლო პერიოდში იზრუნა ფონდის რეაბილიტაციაზეც. პროფესორებმა შუშანა ფუტკარაძემ და როინ მალაყმაძემ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დაიწყეს უნიკალური ქართული ხელნაწერებისა და ლიტერატურის დახარისხება-კატალოგიზაცია. სტამბოლში შუშანა ფუტკარაძის

პირველი მასპინძლები იყვნენ ზაზაძეების ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები პაველ და სიმონი. ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე დაიცვეს და დღემდე პატრონობენ აღნიშნულ ბიბლიოთეკას. ამასთანავე, მათ მიერ მონათხრობი მასალებითაც შეივსო შუშანა ფუტკარაძის ნაშრომი „ჩვენებურების ქართული" – I ტომი (გამოიცა 1993 წელს). სწორედ მაშინ გაეცნო იგი იმ მდიდარ საგანძურს. გასული საუკუნის 90-იან წლებში სტამბოლის მამათა სავანის ქართული ბიბლიოთეკა მოინახულა პროფესორმა გურამ შარაძემ. მან აღნიშნულის შესახებ გარკვეული ინფორმაცია შეიტანა კიდეც ნაშრომის – „უცხოეთის ცის ქვეშ" მესამე წიგნში. ავტორს მითითებული აქვს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების ვრცელი სიაც.

აკაკის საიუბილეო კომიტეტმა (თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი) იუბილეის დღედ 26 აპრილი აირჩია, მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თანამემამულეებს. ფერიქოის მონასტრის ერთ დიდ დარბაზში იყო აკაკის სურათი მორთული ყვავილებითა და წარწერით: „აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი". სტამბოლში აკაკის იუბილეს თვითონ აკაკი არ დასწრებია. საიუბილეო ღონისძიების მონაწილენი იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები თავიანთი ოჯახებით, ირანის შაჰის ბრძანებით გაძევებული რუსული გაზეთების კორესპოდენტი ი. ამირაჯიბი და, რაც მთავარია, სტამბოლში არსებული ქართული მონასტრების კათოლიკე მამები და მოწაფეები. პარაკლისი გადაიხადა ფერიქოის მონასტრის წინამძღვრის მოადგილემ პატრმა სტეფანე გიორგიძემ. (წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე). მანვე წარმოსთქვა პირველი მისასალმებელი სიტყვაც. იასე რაჭველმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია და მისი რამდენიმე ლექსი. სიტყვით გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე – ვლადიმერ წერეთელი, მისი წინადადება იყო აკაკისათვის გაეგზავნათ მილოცვის ბარათი.

უნდა აღინიშნოს, რომ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოსთქვა თბილისიდან შემთხვევით ჩასულმა პატრმა დომინიკე მუღაშაშვილმა (პაწაძე). მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, თუ რაოდენ მძიმე წელი იყო ქართველი ერისათვის 1907 წელი, ილიას დაკარგვა. შემდეგ დეტალურად მოუთხრო 1908 წელს საქართველოში გადახდილ აკაკის იუბილეზე. მან, დაიანახა რა სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა დიდი ერთსულოვნება, შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: „ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა, ისევ ერთ ხეზე ყოფილა დაბნეული და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით“.[20] დომინიკე მუღაშაშვილის სიტყვების დასაბუთება იყო ის ძალისხმევა და შემოწირულობა, რომელიც სამი სარწმუნოების ქართველებმა გაიღეს აკაკის იუბილის ჩასატარებლად და ბიბლიოთეკის დასაარსებლად. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ წერეთელმა თავის სიტყვაში საზოგადოებას მოახსენა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შემოსული იყო სულ 1490 ყურუში და ხარჯი კი შეადგენდა 1439 ყურუშს.

სტამბოლში ჩატარებული აკაკის იუბილის შესახებ საქართველოში საზოგადოებამ შეიტყო გაზეთ „დროებაში“ ვინმე ქართველიშვილის ფსევდონიმის ავტორის მიერ დაწერილი წერილით – „აკაკის იუბილე სტამბოლში“. საყურადღებოა ის, რომ ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამდა სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამების მისამართით: „დიდი მადლობის ღირსია წერეთელი, რომლის თაოსნობითაც მოეწყო იუბილე. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომელნიც არ მისდევენ დამახინჯებულს ბერულს ფორმალისტობას და თავიანთ ნათლის სახით ჩვენი შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი და აკაკის დღეობა ერთი-ორად საგულისხმო გახადეს“.[21]

სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა მიერ გადახდილ აკაკის გრანდიოზულ იუბილეს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა – მას არ ესწრებოდა თვითონ აკაკი. მაგრამ ღმერთის ნებით ეს შეხვედრა ძალზედ მალე შესდგა. როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, შემთხვევით მოხდა აკაკისა და სტამბოლში მცხოვრები ქართველების შეხვედრა. შეხვედრა, რომელიც ნამდვილ ზეიმად იქცა. სტამბოლელმა ქართველებმა ისარგებლეს და გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ევროპაში სამკურნალოდ მიმავალ აკაკის. აკაკის სტამბოლში ჩასვლა მხოლოდ წინადღით გახდა ცნობილი სტამბოლის ქართველთა საზოგადოების თაყვანჯდომარე ვლადიმერ წერეთელისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აკაკის სულ რამდენიმე საათი მოუწია სტამბოლში გაჩერება, მათ შეძლეს ეჩვენებინათ მისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული: „გემი შემოვიდა ნავსადგურში და ბაქანზე გამოჩნდა ჩვენის მხცოვანი მგოსნის ჭაღარით მოსილი თავი. ძნელი სათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ შორეულ უცხოეთში გადმოსულმა ქართველებმა. დიდი, პატარა ყველა მოეშურებოდა თაყის თვალით ენახა სამშობლოს საკეთილდღეო მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი, რომლის თავზე გვრგვინვით გადაიარა ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ნახევარ საუკუნის მწარე დღეებმა“.[22]

სტამბოლში ჩასულმა აკაკიმ უპირველესად ქართველ კათოლიკეთა ფერიქოის მონასტრის ნახვა მოისურვა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. მან კარგად იცოდა ამ სავანის მამების ეროვნული, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ე.წ. საზოგადო სადილის შემდეგ აკაკის დაათვალიერებინეს აია სოფია და პარლამენტი, სადაც შეხვდნენ ქართველი მაჰმადიანი დეპუტატები.

ფერიქოის მონასტრის მამების მიერ აკაკის იუბილის აღნიშვნა ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ღონისძიება იყო, რომელიც კი მოუწყვიათ საერთოდ სტამბოლში მცხოვრებ

ქართველებს. სტამბოლის მამათა სავანის აკაკისადმი დამოკიდებულება კი ერთ-ერთი საინტერესო და საუკეთესო მაგალითია ფერიქოის მონასტრის საუკუნოვანი ისტორიიდან მათი ეროვნული მოღვაწეობის შესახებ. ეს ერთი მომენტი ნათელს ჰფენს ამ მონასტრის მამათა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის ფერიქოის ქართველ მამათა სავანე იმთავითვე იქცა სტამბოლში მცხოვრები ქართველების, განურჩევლად სარწმუნეობისა და სოციალური მდგომარეობისა, თავშეყრის კერად. იქ განხორციელებულმა აკაკისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა კი ხელი შეუწყო მათ ურთიერთდაკავშირებას ეროვნულობის ნიშნით.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ აკაკის და მესხ მოღვაწეებს, გარდა პიროვნული დამოკიდებულებისა, ერთმანეთთან საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებდათ. მას კარგად მოეხსენებოდა მესხეთში, ისტორიულად განვითარებული მოვლენებით, შექმნილი მდგომარეობა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა ამ კუთხეს, რასაც მესხები, თავისმხრივ, დიდი სიყვარულით პასუხობდნენ.



ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი)

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც იკვლევდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ანტიკოლონიური ბრძოლის ისტორიას. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს ძირძველ კუთხეში – სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მან თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა და განსაკუთრებით ნათელი კვალი

დაამჩნია სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას, რაც იმ დროს ძალზედ აუცილებელი და საჭირო იყო ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად.

ალექსანდრე ფრონელს სამცხე-ჯავახეთში ჩამოსელა პირველად მოუხდა 1899 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო. სრულად დაინგრა ბარალეთის საზოგადოების რამდენიმე სოფელი. იმ დროს თბილისის საგუბერნიო საქმეთა სამმართველოში საგლეხო საქმეთა საკრებულოში მდივნად მუშაობდა. დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით ზამთრის პირობებში ცხენით მოიარა სოფლები და დიდი მუშაობა გასწია დამშეული, უსახლკაროდ დარჩენილი გლეხობის საშველად. თავისი მოგზაურობა მან დეტალურად აღწერა „წერილები ახალქალაქის მაზრიდან“ – სტატიების სახით და გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.[1]

ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) 1900 წლის დასწყისში დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ სამცხე-ჯავახეთში, სადაც 1900-1904 წლებში მსახურობდა. ამ მცირე დროის მიუხედავად, მან ბევრის დანახვა და სიკეთის გაკეთება მოასწრო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მრავალი კორესპონდენცია მიაწოდა ამ კუთხის ყოფის, წარსულისა თუ ყოველდღიური პრობლემების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი კორესპონდენციებით მთელ საქართველოს გააცნო და ახლოს დაანახა ამ კუთხის საჭიროებანი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება ჰქონდა ილია მაისურაძეს. მას მიაჩნდა, რომ ალექსანდრე ფრონელის მესხეთში სამოღვაწეოდ ჩამოსელა შემთხვევითი არ იყო. მისი აზრით, ეს ფაქტი უთუოდ დაკავშირებული იყო „მწერლის დემოკრატიულ მისწრაფებებსა და პატრიოტულ გრძნობებთან. ამიტომ იყო, რომ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში დიდი მონდომებით ეცნობოდა მესხეთს, სწავლობდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, აქვეყნებდა მის შესახებ სტატიებს და პრაქტიკულად იბრძოდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“.[2]

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე ყიფშიძე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მასალაა დაცული სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში, ილია მაისურაძის ფონდში. ილია მაისურაძე ერთ-ერთ წერილში – ალექსანდრე ყიფშიძის დაბადებიდან 100 წლისთავი, აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყიფშიძემ ახალციხეში მსახურების პერიოდში ჩამოაყალიბა დრამატული დასი.[3] აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალციხის თეატრალურ დასებში მოღვაწე მსახიობებს შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სამოღვაწეოდ ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობას სასცენო მოღვაწეობასაც უთავსებდნენ. მათ შორის იყო ალექსანდრე ფრონელიც.[4] ამ საკითხთან დაკავშირებით ილია მაისურაძე წერდა: „მან თავი მოუყარა საქვეყნო მიზნებით გატაცებულ ადგილობრივ და ჩამოსულ ინტელიგენტთა პატარა ჯგუფს, ჩამოაყალიბა დრმატული დასი, რომელიც დიდი წარმატებით მართავდა წარმოდგენებს, ლიტერატურულ დილა-საღამოებს და კონცერტებს. ამ ღონისძიებებით შემოსულ თანხებს საქველმოქმედო მიზნებისათვის ხარჯავდნენ. უმთარესად კი ეხმარებოდნენ ქალთა სასწავლებელს".[5]

მესხეთის თეატრის ისტორიის გააზრების საშუალებას იძლევა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ფოტო მასალაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალციხის დრამატული დასის ფოტოსურათი, რომელიც 1901-1906 წლებით თარიღდება. კერძოდ, სურათზე წარმოდგენილნი არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები და მსახიობები (სცენისმოყვარულნი): ოლღა აბულაძე, ეგეგნია სვანელი, იოსებ ბეგთაბეგოვი, ანა მალოზნი (მესხია), ნინო ლაზიევი (ლაზიშვილი), მარიამ გამრეკელი, ბარბარა ღოღობერიძე (გამრეკელი), სამსონ ღოღობერიძე, ბარბარე ოქროპირიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, თუმანიშვილი, პავლე ბუთკოვსკი, ღვთისაშვილი.[6]

ახალციხეში მოქმედმა დასებმა ალექსანდრე ფრონელის ყურადღება მისი ჩამოსვლისთანავე მიიპყრო. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ერთ-ერთი კორესპონდენცია, რომელიც მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ავტორი მიუთითებდა, რომ ახალციხის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სამოქალაქო კლუბის დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი წარმოდგენა, მოყვარულთა გუნდმა შეასრულა „გაცრუებული იმედი“ – თხზულება აზიანისა. როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, იგი იყო ერთ-ერთი მაყურებელთაგანი და აღფრთოვანებული წერდა: „პიესა ისე რიგიანად, მწყობრად, გადაცემით შეასრულეს მოყვარულთ,. რომ გამოტეხილი ვიყავი, ხშირად ჩვენ პროფესიონალურ არტისტებსაც გაუჭირდებათ ამ გვარად პიესის თამაში – განა ეს გასაოცარი არ არის საქართველოს მივარდნილ კუთხეში? მარტო ის რადა ღირს, რომ ყველამ როლები შესანიშნავად იცოდა და სიტყვებს და ფრაზებს ისე არ ამახინჯებდნენ, როგორც ამას მიჩვეულია ტფილისის სათეატრო პუბლიკა. უხერხულად მიგვაჩნია გარჩევა თვითეული მოყვარულის თამაშის, მაგრამ იმას კი ვერ დავმალავთ, რომ ზოგიერთის თამაში თითქმის ხელოვნური იყო. სწორედ მოსალოცია აქაური ქართველობა, რომ თავის შორის ასეთი გუნდი მოეპოვება, მერმე, ისიც სიყვარულით გამსჭვალული კარგისა და საეროვნო საქმისადმი“.[7] ე.ი. ალექსანდრე ფრონელის აღფრთოვანება გამოიწვია მსახიობთა მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე როლების შესრულებამ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ასეთი შეფასება იყო ახალციხის თეატრალური დასის დიდი აღიარება. იმ დროისათვის დასს უკვე სამი ათეული წლის გამოცდილება ჰქონდა და ამ ხნის განმავლობაში შეძლო პროფესიული დახელოვნება, გარკვეული წარმატებების მიღწევა და ქართულ თეატრალურ საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება როზა ალექსიშვილის ალექსანდრე ყიფშიძისადმი გაგზავნილი სამი

წერილი.[8] როგორც ამ წერილებიდან ჩანს, ახალციხელი სცენის მოყვარულნი ალექსანდრე ყიფშიძესთან თანამშრომლობა-ურთიერთობას აგრძელებდნენ მისი თბილისში გადასვლის შემდეგაც: „დარწმუნებული ვარ არ გექნებათ ჩვენი ახალციხე დავიწყებული. ჩვენ გვინდა აქაური სამკითხველოს და ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ დაგეედგა რამ წარმოდგენა“ – წერდა როზა მღებრიშვილი-ალელიშვილისა.

როზა ალელიშვილი მოახსენებდა, რომ იქამდე მუშაობდა ბათუმში – თეატრში და ნაკლებად იყო გარკვეული ახალციხის საჭიროებებში. ამიტომაც წერდა: „სახელდობრ მე ვერას მოგწერთ რა პიესებია კარგი. რაკი მე მოკლებული ვიყავი ქართულ წარმოდგენებს. თქვენ უფრო კარგად იცით რომელი პიესა უფრო მიიზიდავს ახალციხელებს. იმედი მაქვს საჩქაროდ მოგვაშველებ პიესებს და მაგით გამოაფხიზლებთ ჩვენ მიძინებულ ახალციხელებს“. ამასთანავე იგი დეტალურად აცნობდა დასის საქმიანობას. აღნიშნული წერილებიდან, გარდა საზოგადოებრივი თანამშრომლობისა, კარგად ჩანს მათი მეგობრული ურთიერთობაც. რამდენადაც როზა ალელიშვილი მიმართავს თხოვნით, რომ ურჩიოს იკისროს თუ არა სამკითხველოს გამგეობა: „მთავაზობენ სამკითხველოს გამგეობა ვიკისრო, რაკი მეფისაშვილის ქალი უარს ამბობს თავის თანამდებობაზე. მე ვერ გამიბედია მაგისთანა თანამდებობის მიღება რაკი მთავრობის წინ პასუხის გება ჩემზე იქნება. თქვენ რას მირჩევთ, თქვენ უფრო იცნობთ მაგ საქმეს. ამისთვის თქვენ მოგმართეთ მოვკიდო ხელი თუ არა? მე თქვენ დიდსულოვან ადამიანად გიცნობთ და ამისთვის ნება მივეცი ჩემს თავს თქვენი შეწუხებისა. იმედია შესწუხდებით და ორიოდე სიტყვით მიპასუხებთ“.[9]

როზა ალელიშვილი ალექსანდრე ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1905 წლის 19 თებერვლით თარიღდება, კვლავ აცნობს მას ახალციხის თეატრალური ცხოვრების მიმდინარეობას. ატყობინებს, რომ წარმატებით დადგეს წარმოდგენა „და-ძმა“. ამასთანავე, შეწუხებისათვის უხდის ბოდიშს: „თქვენგან გამოგზავნილმა პიესებმა სულზე

მოგვისწრო. მომიტევეთ, რომ ესე თამამად ვბედავ თქვენს შეწუხებას. ბოდიშს გიხდი რაკი გვერდი ვეღარ ავუქციე საზოგადო საქმეს. ამიტომ, კიდე ძალა დავატანე ჩემს თავს და შეგაწუხე".

როგორც მოხსენიებული წერილებიდან ჩანს, როზა ალელიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა სცენისმოყვარეთა დასის საორგანიზაციო საკითხებში, ზრუნავდა დასს დროულად ჰქონოდა პიესები და არ შეფერხებულიყო მისი საქმიანობა. ამასთანავე, სპექტაკლი რომ წარმატებული ყოფილიყო და საზოგადოების მოწონება დაემსახურებინა, ხშირად მიმართავდა ალექსანდრე ყიფშიძეს საჭირო რჩევისათვის: „ამჟამად დასი მუშაობს „თამარ ცბიერზე", მაგრამ თქვენი დახმარების გარეშე გაგვიჭირდება. ზოგიერთი მიზეზი ხელს გვიშლის. მაგალითად ის, რომ თამარს როგორი ტანსაცმელი ან გვირგვინი უნდა არ ვიცით. მასხარას როგორი ტანსაცმელი უნდა? თუ ამასაც შეგვიტყობ და მოგვწერ საუკუნოდ დაგვავალებ".[10]

ალექსანდრე ყიფშიძემ ასევე უდიდესი სამსახური გაუწია ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მიერ დაარსებულ ახალციხის ქალთა სკოლას. იგი 1900 წელს ახალციხეში „საქველმოქმედო საზოგადოების" ქალთა სკოლის გამგედ დაინიშნა. აღნიშნულ ვალდებულებას იგი იმთავითვე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. მან პირადად იაკობ გოგებაშვილს მიმართა, რომ სკოლისთვის გამოეგზავნა თავისი წიგნები და შემწეობა გაეწია. როგორც მათი მიმოწერიდან ჩანს, იაკობმა თხოვნა აუსრულა: წიგნები მიაწოდა და მეცენატიც მოუძებნა: ერთმა მოხუცმა ღარიბმა ქართველმა თავისი დანაზოგიდან სკოლას ოცი თუმანი გადაურიცხა. სკოლაში ახლად მისული ილია ჭავჭავაძეს სწერდა: „წარსული თვის 22-ს მოხდა ჩვენი „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების" კრება, რომელზედაც მე ამომირჩიეს მდივნად და ხაზინადარად. წესდების თანახმად ეს ორივე სკოლის მმართველიც უნდა იყოსო. შეკრებისას კრებამ გადაწყვიტა ბატონ იაკობ გოგებაშვილს

გამოუცხადოს პრესის საშუალებით მადლობა, რომ შემოსწირა სკოლას ოცდაათი „ბუნების კარი“. იმედი მაქვს თქვენც არ დაიზარებთ დახმარებას, რჩევის მოცემას. გამოგვიგზავნეთ უპირველეს ყოვლისა ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმა 1881 წლის სამასწავლებლო ოქმისა. კიდევ მეთოდიკები. თეორიული განმარტებანი და სხვა. აზრად მაქვს მეც სკოლის ისტორია დავბეჭდო და იქნებ, რომ გაიგებენ ამ სკოლის არსებობას, დახმარებას აღმოგვიჩენენ მანდაური ქართველები. ეს სკოლა ერთადერთი ზღუდეა აქაური გამქრალი ქართველებისა. სირცხვილია, მანდაური ღონიერი ქართველებისა, რომ ხელს არ გვიწვდიდნენ. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ამ მხრივ“.[11]

ალექსანდრე ყიფშიძე მზრუნველაობას არ აკლებდა ახალციხის ქალთა სკოლას. ის ხომ, იმ პერიოდში, ერთადერთი სკოლა იყო სამცხე-ჯავახეთში, სადაც გოგონებს განათლების მიღება შეეძლოთ და იმავდროულად ესწავლათ ხელსაქმეც. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ მას, სკოლის სასარგებლოდ, სათავადაზნაურო ბანკიდან ერთდროული დახმარება მოუთხოვია. ილია ჭავჭავაძეს გამგეობის სხდომაზე განუხილავს საკითხი და სამასი მანეთის ნაცვლად ხუთასი მანეთით დახმარებიან.[12]

1904 წელს, მას შემდეგ, რაც მოუწია ახალციხის დატოვება, იგი ყურადღებას არ აკლებდა დედათა სკოლას. ხელფასის ნახევარი სკოლისათვის ჰქონდა მიცემული და შენობის გეგმის დამტკიცებაშიც დაეხმარა.[13]

ალექსანდრე ყიფშიძე სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის დროს საფუძვლიანად გაეცნო მის წარსულსა და აწმყოს, რის საფუძველზეც 1914 წელს გამოსცა ისტორიული მონოგრაფია „დიდებული მესხეთი.“ მასში მოათავსა სამი წერილი: „დიდებული მესხეთი“, „ნახული და გაგონილი“ და „სამშობლო ქვეყანა“. როგორც თედო სახოკია წერდა, ეს იყო ნაშრომი, „ფაქტიურად საქართველოს მოწყვეტილი მხარის სატირულ ბედ-იღბლის გასათვალისწინებლად ქართველ მკითხველთათვის“.[14]

თვითონ ალექსანდრე ყიფშიძე განმარტავდა, თუ რამ განაპირობა ამ ნაშრომის დაწერა: „ორმა გარემოებამ გაგვაბედინა ამ კრებულის დაბეჭდვა: პირველი ისაა, რომ ქართულმა ყოველდღიურმა პრესამ სამართლიანად დიდი ყურადღება მიაპყრო მესხეთს, ესე იგი, სამხრეთ საქართველოს, ამ მშვენიერ კუთხეს უპირებენ მოკვეთას, მოწყვეტას. ჯერჯერობით დანამდვილებით ვერ გაიგებს ადამიანი, ვინაა ამ ქირურგიული ოპერაციის მომხრე, მტერი თუ მოყვარე. ასეა, თუ ისე, სამხრეთ საქართველო, ანუ მესხეთი, მოწყვეტილი საქართველოს, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, შემოერთებული კვლავ მეცხრამეტე საუკუნეში, სადღეისო საჭირბოროტო საგნად შეიქნა.

მეორე გარემოება ისაა, რომ გამაჰმადიანებული ქართველი თავის ისტორიულ „სახეს“ პოულობს და საჯაროდ აცხადებს, რომ მიუხედავად რჯულისა, მეც იგივე ქართველი ვარ, როგორიცაა ღვიძლი ქართველი ქრისტიანიო“.

ავტორს მიაჩნდა, რომ ნაშრომს უდიდესი მისია ჰქონდა დაკისრებული, მას საზოგადოებისათვის უნდა შეეხსენებინა ამ კუთხის მდიდარი ისტორია, მისი წვლილი საერთო ეროვნული კულტურისა და აზროვნების განვითარებაში, ამასთანავე მას უნდა გაეღვიძებინა მესხეთისადმი ინტერესი: „ერთადერთი საბაბი და მიზეზი ამ კრებულის დაბეჭდვისა სწორედ ისაა, რომ მოაგონოს ქართველს – დრო, ვიფიქროთ და ვიზრუნოთ სამშობლოს ამ კუთხეზე, რომელმაც გვაჩუქა კანონმდებელნი: ბექა და აღბუღა, შეუდარებელი შოთა, ღვთისმეტყველნი: ექვთიმე და გიორგი და ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი, ეს საკვირველი მნათობნი ქართველი სინანსი“.[15] მიაჩნდა, რომ დიდი ეროვნულ-კულტურული მუშაობის ჩატარება იყო საჭირო ამ კუთხის შესანარჩუნებლად.

ალექსანდრე ყიფშიძე სამართლიან გულისწყრომასა და ტკივილს გამოხატავდა ქართველებისაგან ხელოვნურად დაცლილ სამცხე-ჯავახეთზე და მათ ადგილზე სხვა ხალხის დასახლებაზე იმ დროს, როცა შორაპნის მაზრასა თუ რაჭაში უმიწაწყლობით სული ჰხდებოდათ მკვიდრთ. მას ცხარე და

დასაბუთებული კამათი ჰქონდა სომეხ ისტორიკოსებთან – ეზოვთან და პატკანოვთან 1899 წლის ჟურნალ „მოამბეში“, რომლებიც სრულებით ბუნებრივად და სამართლიანად სთვლიდნენ საქართველოში უცხო ტომის დასახლებას იმ დროს, როცა აქაური მიწა-წყალი აღარა ჰყოფნიდათ თვით ქართველებს. „დიდებული მესხეთით“ ავტორმა საზოგადოებას დაანახა ამ კუთხის მართლაც დიდებული წარსულიც და იმ პერიოდში მისი სასიცოცხლო პრობლემებიც. მისი დასკვნა ასეთი იყო: „დღეს მესხეთს ველარ იცნობთ, აჩრდილი და ნატამალია წარსულისა, ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც ვერ შეგვიდარებია რუსთაველის, ბექასი და აღბუღას სამშობლო... დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალგადაუწედენელი და უსამზღვრო სასაფლაოა... ქართველი მოგზაური, სწორედ დასნეულდება აუარებელ ნანგრევების ხილვით...“[16]

აღსანიშნავია ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში, ალექსანდრე ფრონელმა ამ კუთხის ყოფა-ცხოვრების შესახებ მრავალი წერილი დაბეჭდა ქართული პრესის ფურცლებზე. მათ შორის აღსანიშნავია: შოთა რუსთაველი, სამშობლო ქვეყანა ჯავახეთი, წერილები ახალქალაქის მაზრიდან, წერილები ახალციხიდან და ა.შ. თავისი სტატიებითა და კორესპონდენციებით საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ქართველ მკითხველს და გააცნო სამხრეთი საქართველო – მესხეთი. მის წერილებში აღინუსხა ყველა ის კულტურულ-საზოგადოებრივი ღონისძიებაც, რომელიც იმ პერიოდში იქნა ჩატარებული.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე ფრონელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ქართველ ერს მიაწოდა საინტერესო და აუცილებელი იდეა. ეს იყო შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა სოფელ რუსთავის მახლობლად. შესაბამისად ფონდიც იქნა დაარსებული, მაგრამ იმ პერიოდში საკითხი ვერ მოგვარდა.

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში მან ახლოს გაიცნო და თანამშრომლობდა ცნობილ მესხ მოღვაწესთან

ივანე გერამაძესთან. მათი მიმოწერიდან კარგად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე ხშირად აწუდიდა ცნობებს თავისი საქმიანობისა და მოძიებული მასალების შესახებ. მან მიიღო ალექსანდრე ფრონელის თხოვნაც გაზეთ „პეტერბუგსკი ვედომოსტში“ თანამშრომლობაზეც. ალექსანდრე ფრონელისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში თანხმობას უცხადებდა გაზეთ „პეტერბურგსკი ვედომოსტში“ თანამშრომლობაზე და აცნობებდა, რომ შეუძლია ძველი ისტორიულის თუ არქეოლოგიურის საგნებზე წერა, რაც დღემდის ცნობაში არ არის მოსულიო.[17]

ალექსანდრე ფრონელი ახალციხეში ცხოვრობდა იოსებ ნადირაძის სახლში, რომელიც ერთგვარ სალონად აქცია. დროდადრო მასთან იკრიბებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, დრამატული დასისა და საქველმოქმედო საზოგადოების წევრები – ადამიანები, რომლებიც ხალხზე ზრუნავდნენ.

ალექსნდრე ფრონელი (ყიფშიძე), ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, უანგაროდ ზრუნავდა მესხებისათვის, ცდილობდა მხარში დადგომოდა სამცხე-ჯავახეთის დაჩაგრულ მოსახლეობას და ძალღონეს არ იშურებდა მათი პრობლემების მოსაგვარებლად. ვფიქრობ, გაწეული ამაგის წილ იმსახურებს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ პატივი მიაგოს მის ხსოვნას. ის თავისი დროის ერთ-ერთი პატრიოტი მოღვაწე იყო. იგი ერთგული დარჩა იმ სიტყვების, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაისახა მიზნად: „მე ვარ პატრიოტი, რა გვარიც უნდა იყოს ჩემი მოქმედება მომავალში, საქართველოს კეთილდღეობისათვის იქნებიან ისინი. ბრუდეთ წავალ თუ სწორ გზაზე, მართალს ვიტყვი, თუ ტყუილს, კალამს ავიღებ, თუ ჩინოვნიკი გავხდები, სახეში მექნება ჩემი დაცემული სამშობლო...“[18]



ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების დაწინაურების საქმეში ადგილობრივ მესხ ქალებთან ერთად დიდი წელილი შეიტანეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამობრძანებულმა ქალბატონებმა. ისინი იყვნენ ძირითადად იმ სახელმწიფო მოხელეთა მეუღლეები, რომლებიც ამ კუთხეში მსახურობდნენ. ჩამობრძანებული ქალბატონებისათვის ეს კუთხე სახოგადოებრიეი მოღვაწეობის ასპარეზად იქცა. მათ თაეიანთი მოღვაწეობით მართლაც დაამჩნიეს დიდი კვალი ამ კუთხის კულტურისა და განათლების სფეროს. ასეთ ქალბატონთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მოღვაწეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის მოღვაწეობა დიდ ინტერესს იწვევდა მის თანამედროვეთა შორის, რაზეც მეტყველებს იმ პერიოდის მრავალი საგაზეთო სტატია. ამასთანავე, დღემდე არ შენელებულა ამ საკითხისადმი ყურადღება. რაც იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მათ შორის ანტონ ნებიერიძის „ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი“, ნაზი სუდაძის – „სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში“, ასევე ფართოდ არის განხილული ნატო ყრუაშვილის ნაშრომებში: ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა სამცხე-ჯავახეთში და განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი მეცნიერი გვერდს ვერ აუვლის ანა ღოღობერიძის მოღვაწეობას, მის დაარსებულ ქალთა სკოლას, ამ სკოლის აღზრდილთა საქმიანობას, რომელიც იკვლევს სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების სფეროს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

ანა ღოღობერიძე დაიბადა 1842 წელს ქალაქ ქუთაისში. იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ღოღობერიძის და. მას მიღებული ჰქონდა იმ დროისათვის შესაფერისი განათლება. კერძოდ, მან განათლება მიიღო „წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში“. ქალაქ ახალციხეში მისი მოღვაწეობა განაპირობა იმან, რომ მისი მეუღლე მ. მუსხელიშვილი იყო ახალციხის მაზრის სამხედრო უწყების მოხელე-გენერალი.

ქალაქ ახალციხეში საცხოვრებლად გადმოსულმა ანამ, სრულიად ახალგაზრდამ, 1870 წელს დააფუძნა „საქველმოქმედო საზოგადოება“. აღნიშნული საზოგადოების მიზანი იყო ახალციხეში ქართველი ქალებისათვის უფასო სასწავლებლის დაფუძნება, მათთვის ხელსაქმის სწავლება და ქართული სულისკვეთებით აღზრდა. საქველმოქმედო საზოგადოების წევრები იყვნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი.

ანა ღოღობერიძემ ქალთა უფასო სკოლა დააფუძნა 1871 წლის 4 აპრილს, ხოლო მეცადინეობა პირველ მაისს-თამარ მეფის სახელობის დღეს დაიწყო. რაბათის ქალთა სკოლის „წმინდა პედაგოგიურ გეგმაზე აშენებული და ჩინებულად წარმართული“ საქმიანობის შესახებ ქართველ საზოგადოებას ამცნო ჟურნალმა „განათლებამ“. სასწავლებელი ღარიბთა შვილებისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, სწავლა უფასო იყო. ხოლო სკოლის ხარჯები ანა მუსხელიშვილმა იკისრა. რასაც ემატებოდა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა შესატანები, შემოწირულობანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთდროული დახმარება, საღამო წარმოდგენებიდან შემოსული თანხა, მოსწავლეთა ნაკეთობების რეალიზაციით შემოსული თანხა. ყოველივე ამის ორგანიზატორი ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი იყო.

კონსტანტინე გვარამაძის ცნობით, აღნიშნული სასწავლებელი მოთავსდა რაბათში ნაქირავებ სახლში. თავდაპირველად ანა ღოღობერიძე თვითონ ასწავლიდა გოგონებს, ხოლო შემდეგ თბილისიდან და ქუთაისიდან მიიწვია ორი მასწავლებელი, როგორც რუსულ-ქართული ენების, ისე ქსოვისა და ქარგვის შესასწავლად.[31] ასევე ერთ-ერთ აუცილებელ საგნად ითვლებოდა სამღვთო სჯული, რომელსაც ასწავლიდა სპეციალურად მიწვეული მღვდელი. აღნიშნული სასწავლებელი საშუალოდ წელიწადში სამოცამდე მოსწავლეს ამზადებდა. სასწავლებელს ყოველწლიურ ნივთიერ დახმარებას უწევდა ქალაქის გამგეობა – სამი ათასი მანეთით. ივანე გვარამაძის ცნობით, სასწავლებელს ეხმარებოდა მაზრის უფროსი ნიკო ალექსი-მესხიევი. სასწავლებელი ძირითადად შემოწირულობის ხარჯზე არსებობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ახალციხის მოქალაქეთა უღარიბეს ფენას მიეკუთვნებოდა. ხოლო სასწავლებელი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენდა, რამდენადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხელსაქმის შესწავლას.

სასწავლებელმა იმთავითვე დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც ქართველი საზოგადოებისა, ისე ხელისუფლებისაც. 1872 წელს „დროებაში“ (№36,) დაბეჭდილი ანა მუსხელიშვილის კორესპონდენციით ვგებულობთ, რომ რაბათის ქალთა სკოლა 31 მარიამობის თვეს მოინახულა „მისმა უმაღლესობამ ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა“. ანა მუსხელიშვილს მისთვის უჩვენებია სასწავლებელი და სახელსაქმო ოთახები, უპასუხნია მეფისნაცვლის კითხვებზე: რა დროს დაფუძნდა სასწავლებელი, ვინ იყვნენ მასწავლებლები, რამდენი და რა ასაკისანი იყვნენ შეგირდები და ა.შ. ბოლოს კი მადლობა მოუხსენებია მისთვის და სინანულიც გამოუთქვამს იმის გამო, რომ ყმაწვილები ვერ ნახა.

ახალციხის ქალთა უფასო სკოლის დაფუძნებას იმთავითვე დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია და უწევდა მატერიალურ დახმარებას. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნული სკოლის დაფუძნებას „ცისკრის ამოსვლას“ ადარებდა, იგი აღფრთოვანებული წერდა: „იმედი ვიქონიოთ, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლა ჰპოვებს მიმბაძველებს ჩვენი კუთხის სხვა საბაზო ქალაქებში და იქნება ნიმუში ქალთა უფასო სკოლების დაარსებისა და ორგანიზაციისა, რომელთა საჭიროება ყველგან ასე ძლიერ იგრძნობა“.[1]

აღნიშნული სკოლის ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან უდიდესი როლი შეასრულა მესხეთში ქალთა განათლების საქმეში. ამასთანავე ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის) სამართლიანი შენიშვნით იგი წარმოადგენდა „ერთ-ერთ ზღუდეს აქაური გამქრალი ქართველებისა“.[2]

1875 წელს ანა მუსხელიშვილმა დატოვა ახალციხე. იგი „დროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში (1875, №111) წერდა: „სხვადასხვა მიზეზებისა გამო, იძულებული ვიყავი 20 ამ თვეს დამეტოვებინა ახალციხე, სასწავლებელი და ყველა საქმეები. რაც იმას შეეხებოდა, ჩავაბარე ახალციხის კეთილმოქმედებითს საზოგადოებას... მე ჩავაბარე საზოგადოებას

სასწავლებელი სამოცდათი შეგირდით. იგი დროებით გადაეიდა რუსეთში. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში, სადაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად შექმნილ საზედამხედველო კომიტეტს ჩაუდგა სათავეში. დიდი მუშაობა გასწია სკოლის (შემდეგ სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის) შესაქმნელად.

1885 წელს ანა ღოღობერიძე კვლავ დაუბრუნდა ახალციხეს და თავის საყვარელ სკოლას. იგი აქტიურად ჩაება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში და მისი „ახალციხის განყოფილების“ დამაარსებელთა შორის იყო. მის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა იაკობ გოგებაშვილმა: „ეს იმერეთის ასული მაშინ საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელს შეგნებულს საქართველოში თავისი იშვიათი ჭკუით, მომხიბლავი გულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში“.[3] აკაკი წერეთელმა კი პატივისცემის ნიშნად, 1871 წელს, ანა ღოღობერიძეს უძღვნა ლექსი „ვარდის ხმაზედ“.

მძიმე სენით დაავადებული ანა ღოღობერიძე თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა 1890 წლის 30 მაისს.

ანა ღოღობერიძის გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით შეხვდა ქართველი საზოგადოება. მის გარდაცვალებას იუწყებოდა ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი. მისმა მეუღლემ სამძიმრის მრავალი დეპეშა მიიღო. ქალაქ ახალციხეში, წმინდა მარინეს ეკლესიაში, დიმიტრი ხახუტაშვილის მიერ გადახდილი იქნა პანაშვიდი. ანა მუსხელიშვილის გარდაცვალების გამო გაზეთ „ივერიაში“ (№112, 1890წ.) გამოქვეყნდა ერცელი ნეკროლოგი, სადაც დეტალურად იყო განხილული ანა მუსხელიშვილის მოღვაწეობა: „დიდი უმრავლესობა მოსწავლე ქალთა ეკუთვნოდა ახალციხის უღარიბეს წრესა. ეს ღარიბი მოსწავლე ქალები თავისავ ხელსაქმით ირჩენდნენ თავსა და ხშირად ეხმარებოდნენ თავის ღარიბ ოჯახსაც. გულის დამატკბობელ სანახავს წარმოადგენდა მაშინდელი

ღარიბ ქალთა სკოლა ახალციხისა, დაფუძნებული ჭეშმარიტ სიყვარულზე და გონიერ შრომაზე. ხსოვნა იმ ხანში იქ გატარებულის დროისა მთელს თავის სიცოცხლეში ცხოვრების მანათობელ სანთლად ენთება იმ ღარიბ ქალთათვის, რომელნიც ანა მუსხელიშვილმა გამოიყვანა სიბნელიდან და მისცა შეძლება სწავლა-ცოდნის შეძენისა. ასეთი სამაგალითო სკოლის დაარსება შეეძლო მხოლოდ ისეთ იშვიათს ადამიანსა, როგორიც იყო განსვენებული ანეტა, რომლისთვისაც არ არსებობდა არაფერი კერძო, საკუთარი ინტერესები. ამის ცხოვრება მთლიანად ეკუთვნოდა მის სკოლას, რომლითაც განახორციელა თავისი საზოგადო მოღვაწეობა". როგორც გაზეთი „ივერია" იუწყებოდა განსვენებულის კუბოს მრვალი გვირგვინი ამკობდა. მათ შორის ახალციხის საზოგადოებისა, რომელიც ლითონის ძვირფასი ლენტით იყო მორთული წარწერით: „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისა და დედათა უფასო სკოლისაგან ჩვენს მფარველს და დამფუძნებელს ანა მუსხელიშვილისას." იგი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ანა მუსხელიშვილი-ღოღობერიძის გარდაცვალების შემდეგ ე.ი. 1890 წელს რაბათის დედათა სკოლას ხელმძღვანელობდა „ენერგიული პედაგოგი და მოღვაწე მარიამ გამრეკელი"[4], რომელმაც არანაკლები პატრონობა გაუწია ქალთა სკოლას. კონსტანტინე გვარამაძე მის შესახებ წერდა: „ამ სასწავლებლისათვის მარიამ გრიგოლის ასულ გამრეკელისას, რომლის ხელთ გადავიდა სასწავლებელი პავლოვის შემდეგ. სწორედ ღვიძლ დედობას უწევდა სკოლას და სკოლის მოწაფე ქალიშვილებს. ხშირად კვირაში ორჯერ და სამჯერ დახედავდა ხოლმე სასწავლებელს და არწივისებრ თავს დასტრიალებდა, რომ რაიმე მაენეობას არ შეელახა სწავლების საქმე. მეტადრე გააუმჯობესა მან ბალიშის პირების ქარგვისა და სუფრების ქარგვისა და თეთრეულის კერვის საქმეები. ასე რომ მნახველნი დიდი კმაყოფილნი რჩებოდნენ ხელოვნების სიმშვენიერების. მარიამი ცხრა წელი-

წადი ემსახურა თავის მიერ საყვარელს საქმეს სასწავლებელში, მარა შემდეგ მისი განებებისას ცოტათი შეერყა წესიერი სწავლების მიმდინარეობა".[5]

კონსტანტინე გვარამაძის ვარაუდით, 1875-1885 წლებში, როდესაც ანა მუსხელიშვილმა დატოვა ახალციხე, ქალაქ ახალციხეში „საქველმოქმედო საზოგადოებას და ქალთა სკოლასაც მარიამ გამრეკელი ხელმძღვანელობდა".[6]

1911 წელს ახალციხის საზოგადოებამ აღნიშნა რაბათის დედათა სკოლის ორმოცი წლისთავი და განსაკუთრებული მადლიერებით იქნა მოხსენიებული ანა ბესარიონის ასული ღოღობერიძე-მუსხელიშვილი – მესხეთში ახალგაზრდების, განსაკუთრებით ქალთა სწავლა-აღზრდის დიდი მოამაგე.

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მოღვაწეობა ფასდაუდებელი იყო, მის მიერ დაფუძნებული სკოლა ორმოცდაათი წლის განმავლობაში იყო განათლების კერა, სადაც მესხი გოგონები მშობლიურ ენაზე ღებულობდნენ განათლებას, სწავლობდნენ საჭირო ხელსაქმეს და ქვეყნის სიყვარულს. ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილნი კი ცდილობდნენ თავიანთი შვილებიც ეროვნული თვითშეგნებით აღეზარდათ.

ანა ღოღობერიძის ახალციხის ქალთა უფასო სკოლის ერთ-ერთი ღირსება ისიც იყო, რომ იქ ერთმანეთის გვერდით სწავლობდნენ, ამ კუთხეში მცხოვრები, სხვადასხვა ეროვნების გოგონები. მაგალითად, 1902 წელს ეს სკოლა დაუმთავრებია ჩვიდმეტ გოგონას. მათ შორის თორმეტი ყოფილა ქართველი კათოლიკე, ერთი ბერძენი, ერთი მახმადიანი, სამი რუსი. აქვე სწავლობდნენ ებრაელებიც. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მეფის რუსეთი ყველანაირად ცდილობდა როგორც მთელ საქართველოში, ისე ამ კუთხეშიც ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა აქ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხი – გამოეწვია ეთნოკომფლიქტები, ქართველი ხალხი ჩამოეშორებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაგან.

ამრიგად, ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის მიერ დაფუძნებულმა ქალთა სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა XIX-

XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების საქმეში. სასწავლებელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში წარმატებულად ახორციელებდა ქალთა საგანმანათლებლო მისიას. ეს სკოლა არამარტო განათლების კერას წარმოადგენდა, არამედ იმთავითვე იქცა ქართული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერად. აღნიშნული სასწავლებელი მიზნად ისახავდა მესხი გოგონების განათლებასა და იმავდროულად ხელს უწყობდა ქსოვისა და ქარგვის ხალხური ტრადიციების დაცვასა და შენარჩუნებას. ამ სკოლაში აღზრდილი გოგონები ემსახურებოდნენ ქართულ კულტურას. ისინი ქმნიდნენ უნიკალურ ნივთებს, იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებზე, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთაც, სადაც არაერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს. კერძოდ, სკოლის მოსწაულე გოგონებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1898 წელს ქუთაისში გამართულ გამოფენაზე. ასვე წარმატებით დასრულდა მათი მონაწილეობა 1901 წელს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე, სადაც მათი ნამუშევრები ვერცხლის მედლებით შეფასდა. განსაკუთრებულ წარმატებებს კი მიაღწიეს 1909 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე. მათ ოქროს მედლები და დიდი აღიარება მოიპოვეს. სკოლის აღზრდილებმა, სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობითა და მოღვაწეობით, მსოფლიოს გააცნეს საქართველო და ქართული კულტურა.



ექვთიმე თაყაიშვილი

იუნესკომ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ. დიდ ქართველ მოღვაწეს შეუსრულდა დაბადებიდან ასორმოცდაათი და გარდაცვალებიდან სამოცი წლისთავი.

ექვთიმე თაყაიშვილს ცხოვრება-მოღვაწეობა ურთულეს პერიოდში - რუსიფიკატორული ხელისუფლების, მენშევიკურ და საბჭოთა საქართველოში მოუხდა. სწორედ ეპოქამ განაპირობა მისი მოღვაწეობის სფეროც და მიმართულებაც. იცვლებოდა ხელისუფლება, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი ცხოვრების მიზანი თავისი ქვეყნისათვის უანგარო სამსახური. ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება ქართველი ერის

წინაშე განუზომელია. ეს იყო ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა თავისი ქვეყნისათვის და არა საკუთარი თავისათვის. ამიტომაც არის, რომ მისი სახელი ასოცირდება ღირსეულ მამულიშვილობასთან. თავისი დამსახურების წილ ქართველმა ერმა მრავალგზის მიაგო პატივი - სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. უმთავრესი პატივი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მისი წმინდანად შერაცხვა 2002 წელს.

ექვთიმე თაყაიშვილის დაუშრეტელი ენერგია და აზროვნება ცხოვრების ყველა სფეროსა და მთელ საქართველოს სწვდებოდა. გამონაკლისს არც სამხრეთ საქართველო წარმოადგენდა. მოძიებული მასალებით შესაძლებელი გახდა ექვთიმე თაყაიშვილის მესხეთთან და მესხებთან დამოკიდებულების წარმოჩენა. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ქართულ პერიოდიკაში, სამეცნიერო ლიტერატურაში დაცულია მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც აღნიშნულს ასაბუთებს. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ მას საზოგადოებრივი თანამშრომლობა აკავშირებდა ივანე გვარამაძესთან - მესხ განმანათლებელთა წინამძღოლთან. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც 1907 წელს თავის დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში სამცხე-ჯავახეთში უპირველეს წარმომადგენელად ივანე გვარამაძე მიიჩნია. ივანე გვარამაძის ფონდში ინახება ექვთიმე თაყაიშვილის, როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომრის მიმართვა ივანე გვარამაძისადმი საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. აცნობებს, რომ გასაცნობად უგზავნის საზოგადოების წესდებას და ამასთანავე სთხოვს; „გთხოვთ წერითი მასალის მიწოდებით თუ ნივთიერი შემწეობით საზოგადოებას დახმარება გაუწიოთ“.[1] უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ნამდვილი წევრის მოვალეობას შეადგენდა წელიწადში სამი მანეთის გადახდა საწევროს სახით. ამასთანავე, ნამდვილ წევრებს საზოგადოების გამოცემანი უფასოდ გადაეცემოდათ.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ივანე გვარამაძე დროდადრო ეხმიანებოდა ექვთიმე თაყაიშვილს და მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა კუთხის ისტორიის შესახებ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში რამდენიმე საინტერესო წერილია დაცული. ერთ-ერთ წერილში ატყობინებდა, რომ ახალციხის კათოლიკეთ წმიდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის ნანგრევებში აღმოაჩინა შესანიშნავი წარწერა: „იცოდეთ დიდი სარგებლობა იქნება თქვენის თვალით განხილვა აქაურობისა. ჩვენს თვალწინ ძვირფას რამეს არაფრად ვთვლით და მთა ღადაღუდეებში დავდივართ შორი შორს".[2]

მიუხედავად იმისა, რომ ივანე გვარამაძეს სიცოცხლის ბოლო პერიოდში ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, ის მაინც აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. „მე სიკვდილამდე სამშობლოსათვის თავდადებული ვიქნები", – წერდა ერთ-ერთ წერილში. სისტემატურად აწვდიდა დიდ მეცნიერს საინტერესო მასალებს თაეისი კუთხის შესახებ. კერძოდ, მან მიაწოდა ისეთი მნიშვნელოვანი მასალა როგორიც იყო საისტორიო დღიურები ხოჯავანათ ივანე მღვდლისა (1763-1809 წწ.) და აბინათ სტეფანე მღვდლისა 1842 წ. ასევე მიაწოდა მის მიერ გალექსილი „გვირგვინი წამებულთა წმიდა ესტატესი", ჩაწერილი ანდაზები, გამოცანები. სწერდა: „იმედია მიიღებთ და მისცემთ ადგილს სხვათა შორის თქვენს სამოღვაწეო მწერლობაში გამოსამზეურებლად. ვგონებს გამოსადეგი იყოს. რაც უფრო საჭირო იყოს დასწერეთ".[3]

ივანე გვარამაძე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და მასალა მიეწოდებინა ექვთიმე თაყაიშვილისათვის და ხელი შეეწყო მისი მეცნიერული მოღვაწეობისათვის. აცნობებდა, რომ მას ჰქონდა ნაშრომები: „კითხვა მიგებით ძველი აღთქმის მოთხრობითი ახსნა" და „მოთხრობით ცხოვრება ღვთისმშობლისა". სთხოვდა, რომ ნაწილ-ნაწილ მაინც მოეხერხებინათ მისი დაბეჭდვა, რადგან „საესე არის არხეოლოგების ცნობებით". მიუთითებდა, რომ მის კუთხეში მრავალი საინტერესო მასალა იყო დაცული და დროულად უნდა

გამოეჩინათ ყურადღება რომ არ დაკარგულიყო: „არავინ მოდისართ ახალციხეში, რომ გარდაავლოთ თვალი აქაურობასა, გაიგოთ აქი, კარგი და სასარგებლო რამეები. თვალი და გული შორს მიგვირბის. თვალწინ კი ძვირფასი ცნობები შეუნიშვნელი გვრჩება და დღითგან დღეზე გვეკარგება".[4]

ექვთიმე თაყაიშვილის მესხეთთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ექსპედიციები სამხრეთ საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ 1889 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1921 წლამდე იგი სისტემატურად მუშაობდა ძველ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. პირველად 1902 წელს, ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილსა და ფოტოგრაფ ალექსანდრე მამუჩაიშვილთან ერთად, იმოგზაურა და აღწერა ახალციხე-ახალქალაქისა და არტაან-კოლის მხარე. (ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, 1937-1938 წლებში, საფრანგეთში დაბეჭდა ნაშრომი „1902 წლის ექსპედიცია კოლა-ოლთისში") მეორედ 1907 წელს, შეწყვეტილი გზა გააგრძელა და კოლა-ოლთისის მიდამოები შემოიარა.

1917 წელს მესამედ გაემგზავრა თურქეთის საქართველოში არსებული ძეგლების მოსანახულებლად. იმავე პერიოდში მას მიეცა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ნახვისა და გასაუბრების საშუალებაც. ექვთმე თაყაიშვილი მოგვიანებით წერდა: „ხელ-ფეხს მიკოცნიდა კოლა-ოლთის-ჩინგლის ქართველობა, მშვიდათ ბრძანდებოდეთ, მამა-პაპათა ნაამაგარს არავის დავანგრევინებთ და დავიცავთო. ბევრ მათგანს ქართული ენა დავიწყებოდა, მაგრამ შეგნება იმისა რომ ისინი ქართველები არიან, თითქოს ყველას ჰქონდა".

ექვთიმე თაყაიშვილმა ექსპედიციის ერთგვარი ანგარიში საინტერესოდ წარმოადგინა წიგნში „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში", რომელიც თავდაპირველად რუსულ ენაზე გამოსცა. ქართულად კი იგივე წიგნი გამოიცა 1960 წელს. ეს იყო უკანასკნელი ნაშრომი, რომლის ბეჭდვასაც ავტორი ბოლომდე ადევნებდა თვალყურს, თუმცა მის გამოსვლას ვეღარ მოესწრო.[5] მისმა თანამედროვეებმა იმთავითვე დიდი შეფასება მისცეს მის მიერ

ექსპედიციის მოწყობას სამხრეთ საქართველოში როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე სიტუაციის დროული გამოყენების მხრივაც. „უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად ჩვენს დაუდგრომელ მკვლევარს უნდა ჩაეთვალოს ტაო-თორთუმ-ასპირის ექსპედიცია, რომელიც მან მოაწყო პირველი მსოფლიო ომის მიწურულს 1917 წლის ზაფხულში. ისარგებლა იმით, რომ თურქეთის ფრონტზე რუსის ჯარის ძლევამოსილი წინსვლის შედეგად მტკვრისა და ჭოროხის სათავეები - ძველისძველი ქართული მიწა-წყალი და კულტურის ერთი უღონივრესი კერა, ბაგრატიონთა თავდაპირველი სამყოფელო და მამული არა თუ გათავისუფლდა, არამედ საომარი მოქმედების ზურგშიც კი მოექცა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავდა არც უსაფრთხოებასა და არც მგზავრობის სიადვილეს. პირიქით, მძვინვარე ომისაგან განადგურებულსა, არეულსა და დამშეულ მხარეში უხდებოდათ წასვლა.“ ე.ი. ექვთიმე თაყაიშვილის მხრიდან დასახელებული ექსპედიციის მოწყობა სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული. იმდენად სერიოზულთან, რომ გამგზავრების წინ მან ანდერძიც კი დაუტოვა მეუღლეს: „თუ ცოცხალი ვერ ჩამოვბრუნდე, მოკრძალებით დამმარხეთ, არავინ შეაწუხოთ და ჩემი ქონება კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დარჩესო“.[6]

სამხრეთ საქართველოში ექსპედიციის მოსაწყობად საჭირო სახსრების მოძიებაში მეცნიერს დაეხმარა უშუალოდ თავისი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საყოველთაო აღიარება. საჭირო სახსრები, მიუხედავად საერთო გაჭირვებისა, ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებმა გაიღეს, ხოლო ადგილზე ჩასულს დახმარება აღმოუჩინეს ქართველმა ოფიცრებმა. აღნიშნული ექსპედიცია იქამდე განხორციელებული ექსპედიციებისაგან მის წევრთა განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებითაც გამოირჩეოდა. ექსპედიციის მონაწილეთა შორის იყვნენ: დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი და სხვანი. ამასთანავე, გიორგი ლომთათიძე სამართლიანად აღნიშნავდა: „ექსპედიციამ „სულზე მიუსწრო“ იქაურ ძეგლებს. ვინაიდან რამდენიმე

თვის შემდეგ ის მხარეები კვლავ თურქეთმა ჩაიგდო ხელში“ და დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი აღმოჩნდა ქართველი მეცნიერებისათვის.

1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს მის მიერ შესწავლილი იქნა ოშკი, იშხანი, ხახული, ბანა და სხვა ისტორიული ძეგლები. მან აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძველი წარწერა, შეისწავლა მოხატულობა, ჭედური ხატები და საეკლესიო ჭურჭელი. გაარკვია მანამდე უცნობი ზოგიერთი მონასტრისა და ციხის სახელი, რაც ამ მოგზაურობამდე უცნობი და მიუწვდომელი იყო სამეცნიერო ლიტერატურისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა ექსპედიციის მასალები სხვა ადრინდელ მასალებთან ერთად საფუძვლად დაუდო 1920 წელს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენასა და კატალოგს, რომელმაც გააცა ინტელიგენცია, რამდენადაც უმეტესობისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ის კულტურული მემკვიდრეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1902-1917 წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა სამხრეთ საქართველოში (თურქეთის საქართველოში) არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსცა პარიზში, გასული საუკუნის 30-იან წლებში.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ ექსპედიციებთან და მოგზაურობებთან არის დაკავშირებული მისი ფოლკლორულ-შემკრებლობითი მოღვაწეობაც. მის არქივში დაცულია 1917 წელს სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დღიურები.[7] მიხეილ ჩიქოვანი სტატიაში „ექვთიმე თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება“[8] მიუთითებს, რომ დღიურებში მეცნიერს მრავალი სახის ინფორმაცია აქვს დაცული: სატრანსპორტო საშუალებები, დემოგრაფიული ცნობები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები და ა.შ. აღნიშნული დღიურებიდან ჩანს, რომ იგი 24 მაისს სოფელ ხიზაბავრაშია, სადაც ჩაიწერა ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები. ასახელებს ლექსების მცოდნეებსაც. ხიზაბავრიდან მეცნიერს გზა გაუგრძელებია და მოუვლია სარო, ხერთვისი, ქილდა, ჩუნჩხა,

პრტენა, მურჯახეთი, ყულალისი, ხოსპიო, კარტიკამი, გოგაშენი, ვარძია, ზემო თმოგვი, ტოლოში, ვალე, არალი, ახალციხე. ე.ი. სრულად სამცხე და ჯავახეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფართო საქმიანობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის საჭირო მასალების შეკრებას“. მას მიაჩნდა, რომ ამ საქმეში მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად უნდა ჩართულიყვნენ ფოლკლორის შემკრებლებიც. როგორც ი. მეგრელიძე აღნიშნავს მისი ერთ-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ ეთნოგრაფიული მასალის შეკრებასა და კვლევაში ჩააბა მრავალი მკვლევარი: „ჩვენი ზეპირსიტყვიერების მასალის 1907-1917 წლებში ადგილებზე შემკრებთა აქტივისტთაგან უნდა დავასახელოთ: ... მესხეთში ვინმე მესხი და კონსტანტინე გვარამაძე, გურიაში იგივე გვარამაძე (იგულისხმება კონსტანტინე გვარამაძე - ნ.ყ.) და სხვაგან სხვები.“[9]

როგორც მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს მის არქივში დაცულია მდიდარი ეპისტოლარული მასალა, საიდანაც ჩანს, რომ მიმოწერა ჰქონდა სხვადასხვა კუთხის ფოლკლორის შემკრებლებთან. მათ შორის კონსტანტინე გვარამაძესთან. ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ექვთიმე თაყაიშვილისა და კონსტანტინე გვარამაძის თანამშრომლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს დაწყებულა. „მას შემდეგ, რაც 1891 წელს თქვენი რჩევით ერმილე ნაკაშიძის მიერ მიწვეული ვიყავი გურიაში მაკვანეთის მასწავლებლად, სადაც 1904 წლამდის დავყავი და იმ ხნის განმავლობაში კი სამჯერ მომეცა შემთხვევა შეგხვედროდით თქვენ,“ – წერდა მას კონსტანტინე გვარამაძე. როგორც ჩანს, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნების შემდეგ, კონსტანტინე გვარამაძეს კვლავ სურდა თანამშრომლობის განახლება ექვთიმე თაყაიშვილთან. 1908 წელს იგი წერდა: „ახლა მეძლევა შემთხვევა მოგწეროთ, როგორც „ისტორიულ ეთნოგრაფიულის საზოგა-

დოების“ თავმჯდომარეს. იმედია, ჩემს თხოვნას არ დატოვებთ უყურადღებოთ. მე თვითონ წამოსვლას ვაპირებდი, რათა პირადად მენახეთ, მარა არ მომიხერხდა. ჯერჯერობით წამოსვლა. აი, ჩემი თხოვნა. მე, ყმაწვილობითგანვე ოცდახუთი წელიწადია ზეპირსიტყვიერებას და ეთნოგრაფიულ მასალებს ვაგროვებ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში. ამას ჟურნალ „აკაკის კრებულიდან“ და „მოგზაურიდან“ თქვენც გაიგებდით. და ახლა, რადგან თქვენ (სპეციალურად ამისთვის) საზოგადოება დაარსეთ, სადაც შემეძლება მე მუშაობა სპეციალურად ამ საქმეში და უსაქმოთაც ვარ დარჩენილი. გთხოვთ მომანდოთ რამე სხვადასხვა პროვინციაში სამუშაო ამ საქმეში. იმედია ამ ჩემ თხოვნას აასრულებთ“.[10]

როგორც კონსტანტინე გვარამაძის შემდგომი წერილიდან ჩანს ექვთიმე თაყაიშვილს მიუღია მისი თხოვნა. კერძოდ, 1909 წლის ზაფხულში იგი წერდა: „დიდი ხანია დაწერილი მაქვს მასალები, რომელსაც ამავე ფოჩტით ვაგზავნი დაზღვეული ბანდეროლით (სულ ოცდათორმეტ გვერდს ნაწერს შეიცავს) ლექსებს და ნაწყვეტებს სამესხეთოში ჩემ მიერ შეგროვილს.“ იმავე წერილიდან კარგად ჩანს, რომ კონსტანტინე გვრამაძე ექვთიმე თაყაიშვილს აწვდიდა არამარტო სამცხე-ჯავახეთში მოძიებულ ფოლკორულ მასალას, არამედ გურულ ზეპირსიტყვიერებასაც: „შეიძლება გურიის ხალხის ნაწარმოებები გამოგიგზავნო შემდეგისათვის – ორი რვეული გამოგზავნილი მაქვს.“ უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე გვარამაძის მიერ წერილში მოხსენიებული მასალები ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1914 წელს კრებულში „ძველი საქართველო“. მიხეილ ჩიქოვანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქმიანი და ახლო მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა დედაქალაქში მყოფ მეცნიერსა და პერიფერიებში მომუშავე ფოლკლორისტ-ენთუზიაზისტებს შორის. ეს კარგად ჩანს კონსტანტინე გვარამაძის წერილებში. იგი თაყაიშვილს, როგორც ოჯახის ახლობელს, გულწრფელად უზიარებდა თავის პირად პრობლემებს: „მარკაც არ მქონდა გამო-

მეგზავნა ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, უსაქმო, ცოლშვილიანი. მამაც ჩემთანაა, ამჟამად აღარც მამა მსახურობს. მოგეხსენებათ ფრანგ მღვდლებს პენსიას არ აძლევენ და ასე უკიდურეს მდგომარეობაში ვარ. ახლა ცოლიც ავათ მყავს და ურავლის წყლები დაუნიშნეს აქიმებმა. ასეთ გარემოებამ დააგვიანა მასალების გამოგზავნა თავის დროს.“ როგორც ჩანს, ექვთიმე ძალზედ აფასებდა და დიდ ინტერესს იჩენდა ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების მიმართ. დიდი მოუცლელობის მიუხედავად, მაინც ნახულობდა დროს, რომ მოესმინა და გაემხნევებინა მისი ახლობელი ადამიანები, რაც მის პუმანურობაზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი დიდ შეფასებას აძლევდა სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკე მამათა სავანეს. მას ესმოდა, რომ ის იყო მესხური განმანათლებლობის ერთ-ერთი მძლავრი კერა და როგორც ევგენიო დალეჯიო დალესიო აღნიშნავდა: „იგი თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ..... ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას“.[11] მან კარგად იცოდა, რომ ეს სავანე ერთგვარი ხიდი იყო საქართველოსა და ევროპას შორის. ამიტომაც იყო, რომ თანამშრომლობდა სავანესთან და როგორც გამომცემელმა თავისი წვლილი შეიტანა იქ დაარსებული აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებაში. პიო ბალიძის, სავანის წინამძღვრის, მითითებით საქართველოში მყოფი კათოლიკე მამები კავშირს ამყარებდნენ ცალკეულ გამომცემლებთან და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებთან. მარკოზ ხითარიშვილის მიერ 1914 წელს პიო ბალიძისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „გიგზავნით ფოშტით ბატონ თაყაიშვილის მიერ გამოცემულ წიგნებს

პალეოგრაფიული ალბომითურთ. „ძველი საქართველო“ ყოველ წელიწადს გამოდის. ბატონ თაყაიშვილს ვთხოვე თქვენის სახელით და დაუთმო ეს წიგნები მონასტრის ბიბლიოთეკას“.[12]

ცოტა მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილს მოუხდა სტამბოლის ქართულ სავანეში დროებით გაჩერება. 1921 წლის მარტში, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს ეროვნული მთავრობა საზღვარგარეთ გაემგზავრა. მთავრობას გაჰყვა პოლიტიკოსთა, მეცნიერთა და მწერალთა მთელი პლეადა. ეროვნული მთავრობა, ვიდრე საფრანგეთში ჩავიდოდა, სამი თვის განმავლობაში ქართველ მამათა სავანეში ცხოვრობდნენ. მენშევიკური მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიასა და ემიგრანტებს მაშინ მიეცათ შესაძლებლობა იმისა, რომ გასცნობოდნენ სტამბოლში ქართული სავანის – მესხური განმანათლებლობის ერთ-ერთი კერის დეტალურ საქმიანობას.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილს უდიდეს პიროვნებასა და მეცნიერს საქმიანი თავისებური დამოკიდებულება, თანამშრომლობა ჰქონდა მესხეთთან და მესხ მამულიშვილებთან. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ამ ძირძველი და ისტორიული კუთხის მეცნიერულ კვლევაშიც. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს. ყველა ქართველი ვალში ვართ მის წინაშე.



ივანე როსტომაშვილი

ივანე როსტომაშვილი – მწიგნობარი, ჟურნალისტი, რედაქტორ-გამომცემელი, პედაგოგი, განმანათლებელი, ენციკლოპედისტი და საზოგადო მოღვაწე – XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო. იგი აქტიურად მოღვაწეობდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მან დააფუძნა და წლების განმავლობაში იყო რედაქტორი ჟურნალ „მოგზაურისა“, გაზეთ „სინათლისა“. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კახში, ზაქათალაში, თელავსა და ახალქალაქში. თანამშრომლობდა ქართულ

ჟურნალ-გაზეთებში, იყო ავტორი სასკოლო სახელმძღვანელოების (ქართული ანბანი – ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი, არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობლებისათვის) და დამხმარე საკითხავი წიგნებისა. მისი რედაქტორობით გამოიცა რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი (უწოდა „სალარო ცოდნის“). მას ეკუთვნის პირველი სახელმძღვანელოები პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რომლის შესავალი წერილის ავტორია შალვა ნუცუბიძე და ა.შ. ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო ილია ჭავჭავაძემ უწოდა „ჩვენი ფუტკარი“. ივანე როსტომაშვილი იმ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც წლების განმავლობაში მოუხდათ საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში. მან თავისი მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში და ეროვნული ცნობიერების დაცვაში. უნდა აღინიშნოს, რომ მას სამცხე-ჯავახეთში ორ სხვადასხვა პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა. პირველად 1889-1894 წლებში. იგი მიელინებულ იქნა ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორად. იმ პერიოდში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. „ივანე როსტომაშვილმა ჯავახეთში ჩასვლისთანავე მიზნად დაისახა იქაური დაბეჩავებული ხალხის უმეცრებასა და სიდუხჭირეში ყოფნის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელი მოჰკიდა მოსახლეობაში სახალხო განათლების დანერგვას, ქართული ენის აღდგენა-დაცვა-შენარჩუნებას“.[1] იგი ჭირისუფლად მოევლინა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. კერძოდ, მის სახელთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ძველი ისტორიული ძეგლების გადარჩენა. „მან ფოტოაპარატით მომარჯვებულმა შემოიარა საქართველოს ეს უძველესი ნაწილი, რომელიც იმ ხანებში, გარეშე და შინაური მტრებისაგან გაძარცვული, უნუგეშო მდგომარეობაში იყო. თვითმპყრობელობის მიერ ამ მხარეში ჩამოსახლებულ უცხო ტომთაგან „ნადგურდებოდა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. ფეხით თუ ცხენით

შემოიარა მთელი კუთხე". გაეცნო ზეპირსიტყვიერებას. გარდა იმისა, რომ იზრუნა მათ გადარჩენაზე, მოახერხა მათი ფოტოგრაფირება. აღწერა ნასოფლარები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, შეკრიბა მდიდარი ისტორიული და არქეოლოგიური მასალა. მთელი ეს მასალა 1898 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა კრებულში. მის არქეოლოგიურ აღწერილობას იმთავითვე მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, მოსე ჯანაშვილმა და ილია ალხაზიშვილმა. იმავე წელს კრებული გამოიცა ქართულ ენაზეც.[2] მის ნაღვაწს ასევე დიდი შეფასება მისცეს შემდგომი პერიოდის მეცნიერებმაც. ილია მაისურაძე სამართლიანად წერდა: „ივანე როსტომაშვილმა დიდი ინტერესით მოიხილა და აღნუსხა ჯავახეთი და მეცნიერებას გადასცა ფასდაუდებელი მასალა ისეთი თანმიმდევრული სისრულით, როგორც არ შეუსრულებიათ ჯავახეთის სიძველეებით დაინტერესებულ მის წინამავალ მკვლევარებს – დიბუა დე მონპერეს, მარი ბროსეს, დავით ბაქრაძეს, ვინმე მესხს, ექვთიმე თაყაიშვილსა და სხვებს".[3]

ივანე როსტომაშვილმა, 1894 წელს, თავის ოჯახთან ერთად, იძულებით დატოვა ახალქალაქი. ღირსეულმა მამულიშვილმა, თავისი მრავალმხრივი საქმიანობით, დიდი წვლილი შეიტანა ჯავახეთის მოსახლეობის განათლებასა და ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაში.

XX საუკუნის დასაწყისში ივანე როსტომაშვილს კვლავ მოუწია სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება. 1917 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ახალქალაქის საქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. ახალქალაქელებმა მის პირველ დირექტორად ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, ჯავახეთში მოღვაწე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მისი დიდი მეგობარი ილია ალხაზიშვილი. ჯავახეთის მოსახლეობა კი სიხარულით შეეგება ყოფილ მასწავლებელსა და მზრუნველს: ხერთვისში ეტლითა და ცხენოსანი რაზმით დახვდნენ. ახალქალაქში კი

მხრებზე შესმული შეიყვანეს.[4] იგი დიდი მონდომებით შეუდგა ახალი გიმნაზიის ჩამოყალიბებას, შეეცადა მისთვის შეექმნა ნორმალური პირობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში როსტომაშვილის მოღვაწეობა რთულ ვითარებას დაემთხვა. კერძოდ, მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. სომხეთის ნაციონალისტური პარტიის „დაშნაკციუტუნის წარმომადგენლებმა, 1918 წელს, ცეცხლი წაუკიდეს გიმნაზიის შენობას. სწორედ იმ დროს განადგურდა როსტომაშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. ამის შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა“. ამრიგად, ღირსეულ მამულიშვილს მხოლოდ ერთი წელი მოუწია ახალქალაქის გიმნაზიის ინსპექტორად მოღვაწეობა.

ივანე როსტომაშვილი, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობდა მესხ მოღვაწეებთან. მათთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია ამ კუთხიდან გამგზავრების შემდეგაც. ამ მხრივ მდიდარი და საინტერესო მასალაა დაცული სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, იმ პერიოდის პერიოდიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე როსტომაშვილისა და ივანე გვარამაძის თანამშრომლობა. როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა მათ ახლო მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძე მისი უფროსი მეგობარი და მრჩეველი იყო. ივანე როსტომაშვილმა როდესაც ლექსიკონზე დაიწყო მუშაობა ივანე გვარამაძემ არ დაიზარა და საჭირო რჩევა-დარიგებები მისცა. ერთ-ერთ წერილში სწერდა: „ძლიერ კარგი იქნება რაც ეკლესიებს აღნიშნამთ მაგ თქვენ ლექსიკონში, მას წარწერებსაც მოუძებნით და იმასაც ზედ მიაწერთ. მაშინ უფრო სარგებელი იქმნება ჩვენი დაბნეული ხალხისათვის. ხომ კარგად მოგეხსენებათ ძლიერ ცოტა ცნობები გვაქვს ჩვენის ქვეყნისა და მცირეოდენი, რაც გვაქვს, მაინც სისრულით დაიწეროს ობოლ მარგალიტსავით ხელიხელ საგოგმანებლად.“

მიუთითებდა, რომ ლექსიკონში დაემატებინა ვარანტა (ხიზაბავრის ტერიტორიაზე ციცი წყლითა და ქარების გასაკურნი აბანოთი ცბობილი), ვარხანი, ვარდისციხე და ა.შ.[5]

ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთ წერილში მადლიერებას გამოსთქვამდა მისი უანგარო დახმარებისათვის: „დიდათ გმადლობთ მასალების მოწოდებისათვის. ოღონდ თქვენ რაც ჩვენს ქვეყანას შეეხება ყოველი მომაწოდეთ და მე ყველას დავბეჭდავ. ჯერ ასო ვინზე მომაწოდეთ, რადგანაც ამ რიგზე დავბეჭდავ და მერე სხვა იყოს".[6]

ივანე როსტომაშვილს ივანე გვარამაძე იმთავითვე მიაჩნდა ქართველი ერის საპატივსაცემო პიროვნებად. ამიტომაც იყო, რომ ლექსიკონზე მუშაობისას გადაწყვიტა მასზე საჭირო მასალები შეეკრიბა და შეეტანა. ბიოგრაფიული ცნობების მიწოდება კი პირადად მას მოსთხოვა. ერთ-ერთ წერილში ეკითხულობთ: „ერთი პატარა სათხოვარი მაქვს და იმედია შემისრულებთ. რამდენიმე თვის შემდეგ შევუდგებით ასო განზე ლექსიკონის შედგენას და იქ სხვათა შორის თქვენი გვარი და ბიოგრაფია უნდა ჩაურთო. გთხოვთ რამდენადაც შეიძლება, გულახდილად თქვენი ცხოვრების აღწერა მოგვაწოდოთ... ნუ დამერიდებით, ისე დასწერეთ, ვითომ ყველაფერს მაგას ვინმე სხვა სწერს თქვენზე."[7] როგორც მათი მიმოწერიდან ჩანს, ივანე გვარამაძემ თხოვნა შეუსრულა და მიაწოდა თავისი ბიოგრაფია. მისი მოთხოვნით ასევე მიაწოდა ცნობები თავისი გვარის გამოჩენილ ადამიანებზე. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძე აქტიურად თანამშრომლობდა მასთან ლექსიკონის სამივე წიგნზე მუშაობის პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მხოლოდ მან მიაწოდა ანბანის თითქმის ყველა ასოს შესახებ. „აი ახლა პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ჩემის ლექსიკონისა, მესამე წიგნს ასო ვინზე მალე დავიწყებ და ეს თქვენი ცნობები ასო განისთვის დამჭირდება. თუ რამ ცნობებს გამომიგზავნით ასო ვინზე, დიდის სიამოვნებით დავბეჭდავ ამ მესამე წიგნში. მაგალითად სოფელი ვალის

შესახებ და სხვა".[8] სწორედ არაერთი ასეთი შინაარსის წერილი ასაბუთებს მათ ურთიერთთანამშრომლობას.

ივანე როსტომაშვილი, თვითონ უაღრესად განათლებული პიროვნება, სწაორად აფასებდა მესხი მოღვაწის საქვეყნო საქმიანობას, მის მუხლჩაუხრელ შრომას თავისი კუთხის საკეთილდღეოდ და ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა რითაც კი შეიძლებოდა. კერძოდ, მათი მიმოწერიდან ჩანს, რომ დახმარებას უწევდა და ერთგვარად აგვარებდა თბილისში ივანე გვარამაძის საქმეებს გამომცემლებთან და სხვადასხვა პირებთან. 1898 წელს აცნობებდა, რომ სვეტიცხოველის განახლების კომიტეტი მისი წიგნის (არ ჩანს რომელ წიგნზეა საუბარი) გამოცემას იმ პირობით დაეთანხმებოდა, თუ ივანე გვარამაძე წიგნებს შესწირავდა მათ სასარგებლოდ. იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას წიგნის გაყიდვის თაობაზე მაღაზიებთანაც: მისი პატივისცემით არ ერიდებოდა შეწუხებასა და უსიამოვნებებს.[9] ერთ-ერთ წერილში კი ატყობინებდა, რომ ცენზურამ უკან დაუბრუნა მისი ხელნაწერი იმის გამო, რომ წერილად იყო ნაწერი და ვერ წაიკითხეს. „რას გვიბრძანებთ მანდ მოგართვათ გადასაწერად, თუ აქვე გადავაწერინოთ ფასით",[10] – წერდა ივანე როსტომაშვილი. ამდენად, თვითონ მრავალმხრივი მოღვაწე და ყოველთვის მოუცლელი დროს მაინც პოულობდა მესხი მოღვაწის დასახმარებლად.

ივანე როსტომაშვილს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჯავახეთში მოღვაწე ცნობილ აფთიაქართან და საზოგადო მოღვაწესთან ილია ალხაზიშვილთან. იმდენად ახლო ურთიერთობა, რომ ივანე როსტომაშვილი, მის სხვა კეთილისმსურველებთან ერთად, დაინტერესებული იყო მისი დაოჯახების საკითხით. მისი დაოჯახება საზოგადო საქმედ მიაჩნდა. წერილიც კი გაუგზავნა ანასტასია თუმანიშვილწერეთელს ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მელანო გოგოლაძე, თავის მონოგრაფიაში – ილია ალხაზიშვილი, სამართლიანად დაასკვნის: ამ ეპიზოდიდან ცხადად ჩანს, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები ყველაზე პირადული საქმეების გადაწყვეტის

დროსაც კი, უპირველეს ყოვლისა საქვეყნო ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ“.[11] შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ 1917 წელს ახალქალაქის გიმნაზიის დირექტორად სწორედ ილია ალხაზიშვილის წინადადებით იქნა იგი მიწვეული. შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სწორედ ეს ორი მამულიშვილი იყო დაუზოგავად რომ ირჯებოდა ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის.



დიმიტრი ხახუტაშვილი

დეკანოზი დიმიტრი გიორგის ძე ხახუტაშვილი იმ სასოგადო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ათწლეულების განმავლობაში, მოღვაწეობდა სამცხე-ჯავახეთში. იგი იყო სასულიერო პირი, მართლმადიდებელი მღვდელი, რომლიც აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. XIX საუკუნის დასასრულს სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის განათლების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. იგი იყო ჯერ ახალციხს, შემდეგ კი ახალქალაქის მაზრების ეპარქიების ბლაღოჩინი და სამრევლო სკოლების ინსპექტორი. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, დეკანოზი

დიმიტრი ხახუტაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა სამცხე-ჯავახეთში მოქმედ მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და მრევლზე. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების პირველი თავმჯდომარე. ქართული ენის გადარჩენის მიზნით, მისი მეშვეობით 1890-1902 წლებში მხარეში ოცდაოთხზე მეტი სამრევლო სკოლა გაიხსნა. სადაც მართლმადიდებლები და კათოლიკეები ერთად სწავლობდნენ.[1]

დიმიტრი ხახუტაშვილის ინიციატივით 1897 წელს სოფელ ზველში გაიხსნა სამრევლო სკოლა. თედო ზედგინიძის (დაბადებული 1910 წელს) გადმოცემით, ზველში ადრიდანვე მოქმედებდა მედრესე და სოფელ ჭობარეთიდან დადიოდნენ მაჰმადიანთა ბავშვები სასწავლებლად. ზველში სამრევლო სკოლის დაარსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მის ახლობელ სოფლებში, გარდა მუსხისა, სკოლა არ არსებობდა. სკოლის გამგედ დაინიშნა ადგილობრივი მღვდელი ეფრემ ინასარიძე. იგი დიმიტრი ხახუტაშვილთან ერთად დადიოდა სოფელ-სოფელ და გლეხობას უხსნიდა, თუ რა სიკეთე შეიძლებოდა მოჰყოლოდა ძველი ცხოვრების ახლით შეცვლას.[2] სამრევლო სკოლის შენობა მასწავლებელთა საცხოვრებელთან ერთად, სოფელმა გააშენა ეკლესიის გვერდით. იქ კი ჭობარეთიდან დადიოდნენ ქართველი მართლმადიდებელი ბავშვები, ძირითადად შეძლებულთა შვილები. პირველი მოსწავლეები იყვნენ: თევდორე, ნიკოლოზ და გრიგოლ ზედგინიძეები, ნესტორ დიასამიძე და სხვები. სკოლის შენობა რამდენიმე ოთახისაგან შესდგებოდა. ერთი ოთახი იყო მღვდლის საცხოვრებელი, დანარჩენი საკლასო ოთახები. სოფელ ზველში სამრევლო სკოლამ 1917 წლამდე იარსება. მიუხედავად იმისა, რომ მისი უმთავრესი მიზანი მოზარდების რელიგიური აღზრდა იყო, უდიდესი როლი ითამაშა გლეხკაცობის განათლებაში, აზიარა ისინი დედა-ენაზე ელემენტარულ განათლებას.

1905 წლის 20 ნოემბერს დიმიტრი ხახუტაშვილმა მღვდლებისა და სამრევლო სკოლის მასწავლებლების ყრილობა

მოიწვია. მათ შორის იყვნენ: გიორგი ჩარკვიანი – მუსხის სკოლის მასწავლებელი, ვასილ იაშვილი და გიორგი გიორგაძე - ვალის სკოლის მასწავლებლები, ნიკო კასრაძე ძველიდან და ანდრია კასრაძე წმ. მარინეს ეკლესიის მდივანი. მათ იმსჯელეს განათლების საკითხებზე. ისინი ყველანი იყვნენ რევოლუციონერები და მოსახლეობას მოუწოდებდნენ თავისუფლებისაკენ.

წმიდა მარინეს ეკლესიის ფუნქცია კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა 1888 წლიდან, მას შემდეგ რაც დიმიტრი ხახუტაშვილი დანიშნულ იქნა ეკლესიის მღვდლად. იგი იმავდროულად იყო ჯერ ახალციხის, შემდეგ კი ახალქალაქის მაზრების ეპარქიების ბლაღოჩინი და სამრევლო სკოლების ინსპექტორი. დიმიტრი ხახუტაშვილი ათწლეულების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას. წმინდა მარინეს ეკლესიაში მან არაერთი ცნობილი ქართველი მამულიშვილის პანაშვიდი გადაიხადა: ერეკლე მეორის, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, დიმიტრი ბაქრაძის, ალექსანდრე ღოღობერიძე-მუსხელიშვილის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ალექსანდრე ცაგარელის, მიხეილ თამარაშვილის და ა.შ. 1890 წლის 30 მაისს გარდაიცვალა ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისა და რაბათის ქალთა სკოლის დამფუძნებელი ანა ღოღობერიძე-მუსხელიშველი. ბლაღოჩინმა დიმიტრი ხახუტაშვილმა წმ. მარინეს სახელობის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი და პატივი მიაგო მის ხსოვნას.

დიმიტრი ხახუტაშვილის ინიციატივით 80-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბდა მგალობელთა გუნდები. ლოტბარ ჯინჭველაძის გუნდმა ახალციხელ ქართველებსაც გააგონა კარბელაშვილისეული საეკლესიო გალობა წმ. მარინეს ეკლესიაში. 1901 წლისათვის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლების კავსაძისა და კარბელაშვილის დამსახურებითა და სამრევლო სკოლის მასწავლებელ გარსიაშვილის დიდი შრომით შედგენილი იყო მომღერალთა გუნდი. ეკლესიაში გალობის აღდგენის შემდეგ ხალხი მეტი ხალისით დადიოდა.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი ხახუტაშვილი აქტიურად იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მან მღვდელთმსახურების დროს ხმარებიდან ამოიღო სიტყვა ეგზარქოსი. ხოლო 1905 წელს წმ. მარინეს ეკლესიაში წირვის დიდი ნაწილი ქართულად წაიკითხა. მისი ასეთი დაუმორჩილებლობა და მამულიშვილური მოღვაწეობა მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის.

ახალციხის ქართველობას – ინტელიგენციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა წმ. მარინეს ეკლესიის რუსული ხელისუფლებისაგან დასაცავად. ეს ფაქტი დამაჯერებლად არის წარმოდგენილი ვასილ გამრეკელის მიერ 1905 წელს გამოცემულ ბროშურაში: „თუ როგორ ვიპატიეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში.“ კერძოდ, იმ პერიოდში საქართველოს ეგზარქოსის ბრძანებით წმინდა მარინეს ეკლესიის მღვდელი სიმონ ჭუჭულაშვილი გადაყვანილ იქნა ახალ-ბაიაზეთში, მის ადგილზე კი დაინიშნა ბერძენი ეროვნების მღვდელი იოანე ყარიბოვი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ქართული ენა და შესაბამისად წირვა-ლოცვას ატარებდა რუსულ და ბერძნულ ენებზე. ეს მიუღებელი აღმოჩნდა ახალციხეში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველებისათვის, რამდენადაც ბერძენი მღვდლის დანიშვნა ნიშნავდა არამარტო ქართული ენის გამოძევებას ეკლესიიდან, არამედ მის დაკარგვასაც. ამიტომ, წმინდა მარინეს ეკლესიის მრევლმა სამი ღირსეული პიროვნების: ვასილ გამრეკელის, იოსებ ორბელიანისა და ნიკოლოზ ასათიანის ხელმძღვანელობით დაიწყო ბრძოლა ამ ეკლესიისა და მასში ქართული ენის დასაბრუნებლად. მათ ეკლესიაში ქართველი მღვდლის დანიშვნის მოთხოვნით მიმართეს საქართველოს ეგზარქოსს. ხოლო ნიკოლოზ მესხიევმა ასევე დახმარებისათვის მიმართა გამოჩენილ და პატივცემულ პირებს: დავით მელიქიშვილს, ზაქარია ჭავჭავაძეს, ივანე ამილახორს, ივანე ჭავჭავაძეს, ილია ჭავჭავაძეს, პეტრე გრუზინსკისა და ნიკოლოზ ერისთავს. მათმა მცდელობამ ის შედეგი

გამოიღო, რომ თვითონ ეგზაეხოსი ჩამობრძანდა ახალციხეში 1904 წლის 1 ივნისს. მას უმასპინძლა ადგილობრივმა მემამულემ და საზოგადო მოღვაწემ იაკობ ორბელიანმა. ეგზარხოსმა ქართველ მართლმადიდებლებს აღუთქვა, რომ წმინდა მარინეს ეკლესიაში დანიშნავდა ქართული ენის მცოდნე მღვდელს. ეგზარქოსმა პირობა შეასრულა. იმავე წლის 6 აგვისტოს ვასილ გამრეკელი ნიკოლოზ მესხიევს სწერდა, რომ წმინდა მარინეს ეკლესიაში მღვდლად მოვლინებულ იქნა ქართველი მღვდელი გვარად კანდელაკი და დაიწყო წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულება: „ერთი სიტყვით ვიპატივეთ სამშობლო ენა საუკუნოთ გაუქმებისაგან".[4]

ეს იყო ადგილობრივი ქართველი მართლმადიდებელი მრევლის დამსახურება და დიდი გამარჯვება. საკითხის დადებითად გადაჭრამ უდიდესი როლი შეასრულა როგორც მრევლის ეროვნული ცნობიერების, ისე ქართული სალოცავის შენარჩუნების საქმეში.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა სამცხეჯავახეთში მოქმედ მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და მრევლზე. ასევე ზრუნავდა ღირსეულ მამულიშვილებზე და მათ შესაფერის პატივს მიაგებდა. 1911 წლის პირველ მაისს წმინდა გიორგის ეკლესიაში მის მიერ გადახდილი იქნა ეკატერინე გაბაშვილის იუბილე, სადაც ისაუბრა იუბილარის მოღვაწეობაზე.[5]

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში სამცხეჯავახეთში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ეროვნული დაწესებულება, რომელშიც თავისი წვლილი არ შეეტანოს. იგი წლების განმავლობაში მხარში ედგა ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მიერ ახალციხეში დაფუძნებულ ქალთა სკოლას. კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით ხსენებულ სასწავლებელში საღვთო სჯულს უფასოდ ასწავლიდნენ მღვდელი იოანე გვარამაძე და დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი.

დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილის წვლილი განსაკუთრებით განუსაზღვრელია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების დაფუძნებასა და საქმიანობა'ში. კონსტანტინე გვარამაძის ერთ-ერთი კორესპოდენცია სრულ ინფორმაციას გვაწვდის ახალციხის განყოფილების დაარსების შესახებ. კერძოდ, ვგებულობთ, რომ 1912 წლის 16 დეკემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის დარბაზში ჩატარებულა კრება წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების დასაარსებლად. კრებას გამგეობის თავმჯდომარედ აურჩევია დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი.[6]

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ახალციხის განყოფილების პირველი თავმჯდომარე იყო დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი. სათაო საზოგადოების გამგეობის (თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი, საქმის მწარმოებელი გიორგი ბურჭულაძე) მიერ 1913 წლის 23 ოქტომბერს ახალციხის განყოფილების თავმჯდომრის დეკანოზ დიმიტრი გიორგის ძე ხახუტაშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაში ვკითხულობთ: „გაცნობებთ, რომ ახალციხეში გახსნილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება. გთხოვთ შეუდგეთ მოქმედებას და მიიღოთ მხედველობაში, რომ განყოფილების მოქმედება წარმოებდეს მხოლოდ საზოგადოების წესდების ფარგლებში და ყოველივე მუხლი ხსენებულის წესდებისა უნდა იქნეს დაცული".[7]

1914 წლის 23 ივლისს გრიგოლ ბურჭულაძე – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი დიმიტრი ხახუტაშვილს წერდა: „ვარლამ გარდავაძემ გადმომცა, რომ სოფელ ოშორაში სკოლის გახსნა არ ხერხდება. სოფელი კლდე ამოგვირჩევიათ და არც იქ ხერხდება. ალბათ უსაშველობის გამო. თქვენ სკოლის შენახვას ვერ შეიძლებთ მთავარი გამგეობის დაუხმარებლად".[6] იგი ატყობინებდა, რომ იმ დროისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა იყო შექმნილი და გამგეობა შესძლებდა ახალციხის მაზრაში

ერთი სკოლის შენახვას. ამიტომ, სთხოვდა კლდეში გასახსნელი სკოლის შესახებ გამგეობისათვის გაეგზავნა დაწვრილებითი მოხსენება და ეთხოვა ეკისრა თავისი ხარჯით მისი შენახვა.

როგორც ჩანს ახალციხის განყოფილება რეგულალურად ატარებდა კრებებს, სადაც განიხილებოდა იმ დროის შესაბამისად აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხის განყოფილებას არ ჰქონდა საკუთარი შენობა, რის გამოც წევრები იკრიბებოდნენ დიმიტრი ხახუტაშვილის ბინაზე. ეს ცნობა მითითებული იყო გამგეობის წევრებისადმი დასაგზავნ უწყებებში:

„1914 წლის იანვრის 22 დღესა

მაქვს პატივი გთხოვოთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების წევრთა და კანდიდატთა ინებონ მობრძანდნენ გამგეობის კრებაზედ დღეს 22 ამა იანვარს საღამოს 6 საათზედ ჩემს ბინაზედ განსასჯელად განყოფილების მოქმედების გეგმისა“.[9]

1916 წლის 6 და 15 ივლისს ქალაქ ახალციხესა და სოფელ უდეში ადგილობრივი განყოფილების მიერ დაფუძნდა ბავშვთა თავშესაფრები. კონსტანტინე გვარამაძის ცნობით თავშესაფრების კურთხევის დროს დიმიტრი ხახუტაშვილმა დეტალურად განმარტა მათი მიზნები და მნიშვნელობა.[10]

ახალციხის განყოფილების თითქმის სამწელიწადნახევრის შემდეგ გამგეობაში მოხდა ცვლილებები. კერძოდ 1917 წლის 14 მაისს ქალაქის გამგეობაში ჩატარდა ახალციხის განყოფილების მორიგი კრება. კრების დღის წესრიგს, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენდა ახალი გამგეობის არჩევა. აღნიშნულ კრებაზე გამგეობის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ზაქარია ჯინჭველაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას კარგად იცნობდა ქართველი ინტელიგენცია და შესაბამისად მაღალ შეფასებასაც აძლევდა. ზაქარია ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეს სწერდა: „ახალციხეში ერთს კარგ ქართველ კაცს სტამბის გახსნა

უნდა. სტამბას კარგათ მოაწყობენ... დასტამბავენ სხვადასხვა ქართულს გამოცემებს ამ წიგნებს მანდაურს კუთხეებში მარდად გაავრცელებენ... მხოლოდ აქ ამათ ამის საჭირო ცნობები არა აქვთ. ეგები ამაზედაც მოიღოთ შრომა და რამე ცნობა მოგვცეთ თუ მანდ სტამბის გახსნას ექმნება მნიშვნელობა თუ არა? სრული იმედი გვაქვს რომ არც ამ კითხვას დასტოვებთ უყურადღებოთ. ამაზე შეეკითხეთ მღვდელს ხახუტაშვილს, ნახეთ იგი რაღას იტყვის. ორივეს პასუხი გვაცნობეთ. ძრიელ დაგიმადლებთ...“[11]

დიმიტრი ხახუტაშვილი როგორც მხარის მართლმადიდებელი დეკანოზი, ბლაღოჩინი 90-იანი წლებიდან მხარში ამოუდგა ივანე გვარამაძეს და ენერგიულად იბრძოდა მესხეთის ისტორიული და კულტურული ძეგლების დასაცავად. იმ პერიოდში ადგილი ჰქონდა მათ განზრახ დაზიანებას, მართლმადიდებლური ტაძრების მეჩეთებად და სომხურ ეკლესიებად გადაკეთებას.

როგორც მიმოწერიდან ჩანს, მას და ივანე გვარამაძეს, როგორც სხვადასხვა აღმსარებლობის: კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის წარმომადგენლებს ერთობა და თანხმობა არ უნდა ჰქონოდათ. მაგრამ სამშობლოსათვის იყვნენ თავდადებულნი. როცა საერთო საქმეს სჭირდებოდა, იდგნენ ერთმანეთის მხარდამხარ. ამას ასაბუთებს წინამდებარე წერილიც. კერძოდ დიმიტრი ხახუტაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი: „მართალია ჩვენ როგორღაც ვერ შევტკბით ერთმანეთს. მაინც მე მსურს გაგიბედო და შეგაწუხოთ რადგან საგანი რამაც გამოიწვია ეს წერილი, არის საზოგადო საყურადღებო. ამის გამო იმედი მაქვს პირადულ ანგარიშებს თავს დავანებებთ და საგანს შესაფერის სანუკვარობით მოეკიდებით.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენთა წურბელათ სომეხთა სურთ დაეპატრონონ არამც თუ მარტო ჩვენს ჯიბეებს, ხელი გაიწვდინეს ჩვენი სულიერი და სარწმუნეობრივი ნივთისკენაც.

სხვათა მრავალთა შორის აღარ მალავენ და ცხადად ეპატრონებიან მოღნისის ეკლესიებსა და ეს თავისი სურვილი ცხადად დაგვანახეს.

თქვენ ბრძანეთ რამდენჯერმე, რომ იქიდან არის გადმოტანილი ხუცურად წარწერიანი ქვა და ინახება იგი თქვენდა რწმუნებული წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში. გთხოვთ მცეთ პატივი და გამომიგზავნოთ მისი წარწერა. და მასთან ცნობები, როდის გამოიტანეს, ვინ გამოიტანა, რათ გამოიტანეს. აგრეთვე როგორ ხსნით იქ წარწერას სომხურათ. როგორც საფლავების ქვებზედ, ისრე ერთს კედლის ქვაზედ. გააქვსთ ცნობები შესახებ იმისა, რომ როდისმე ის ხსენებული ეკლესიები კათოლიკეთა ხელში ყოფილა. გააქვთ რამე ცნობა იმისა, როდის აღშენებულან იგინი და ვისგან აღშენებულა ქართველებისაგან თუ სომხებისგან. რათა ჰქვიან მოღნისის ეკლესიები. იმას ცოტა ზევით რომ ნასოფლარია რა ჰქვია, ვინა სცხოვრობდა, როდის გადასხლდნენ, სად გადასახლდნენ... მე იმ რწმენისა ვარ რომ სრულებით არაფერი საფუძველი არა აქვთ სომხებს მასზედ.. მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა და მოკითხვა. დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი".[12]

მოძიებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ დიმიტრი ხახუტაშვილი აქტიურად იყო ჩართული, იმ პერიოდში, ახალციხესა და სამცხე-ჯავახეთში განვითარებულ მოვლენებში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაციაა დაცული ზაქარია დიდიმამიშვილის დღიურებში „ახალციხის დღეები". ავტორი დეტალურად საუბრობს 1918 წლის მდგომარეობით ქართველი ებრაელების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, იმის შესახებ, რომ მათ „სომხები თითქმის ყოველდღე სწამებდნენ ათასგვარ ჯაშუშობას და ამ ნიადაგზე სომხის შტაბის მიერ ქალაქის თავის მეთაურობით დაპატიმრებული იყო ცამეტი ებრაელი". მაისის 23-ს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ებრაელებს ქალაქის აფეთქება სურდათ. სომეხი მილიციონერების მიერ დაპატიმრებული იქნა სოფელ სხვილისისაკენ მიმავალი ორი ებრაელი. როგორც ჩანს ამ

და სხვა შემთხვევების გამო უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია და უკიდურესად გაჭირვებაში იმყოფებოდნენ ებრაელები. ამიტომაც იყო, რომ ებრაელთა რაბინის დაყით ბააზოვის მოთხოვნით მოწვეული იქნა ადგილობრივ ქართველთა ეროვნული საბჭოს საგანგებო კრება. კრებას სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ესწრებოდა მღვდელი დიმიტრი ხახუტაშვილიც. მან ქართველ ებრაელთა ცილისწამებას მხარი არ დაუჭირა.[13]



ამრიგად, დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა, თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის განათლებაში და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში. იყო მრავალი ეროვნული საქმის წამომწყები. დეკანოზი შემდეგ სამოღვაწეოდ გადავიდა თბილისში. მღვდელთმსახურებას ეწეოდა წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში, მას დაკავებული ჰქონდა პროტოპრესვიტერის ხარისხი. იგი იქვე გრადაიცვალა 1937 წელს. დაკრძალულია კუკიის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის კედელთან მეოცე საუკუნის სხვა მრავალ ცნობილ სასულიერო პირთან ერთად.



ზაქარია ჭიჭინაძე

სამცხე-ჯავახეთისადმი განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. რომელმაც თავისი მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია ამ კუთხესაც და მოსახლეობასაც.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ივანე გვარამაძისადმი გამოგზავნილი წერილები (18 წერილი) მათი ურთიერთობის ნათელ სურათს ქმნის. კერძოდ, პირველივე წერილიდან ვგებულობთ, რომ მათი ნაცნობობა დაიწყო 1880 წელს. იმ დროს ქართველი ინტელიგენცია უკვე კარგად იცნობდა ივანე გვარამაძის მოღვაწეობას და შესაბამისად ზაქარია

ჭიჭინაძისათვის ბევრი რამ მის შესახებ ცნობილი იყო. იმდენად, რომ წერილში სწერდა: „ჩვენ ქართველები დავალიანებული ვართ თქვენგან და აქ ყველა თქვენს მეცადინეობას და შრომას ბედკრული საქართველოსთვის დიდად აფასებენ. თქვენგან დაწერილი ისტორიული მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში. თქვენს შესახებ უფ. გიორგი წერეთელმა თავის ლექციაში კარგად და პატიოსნად აღიარა. ჩვენ თუ არა, უეჭველია ოდესმე მაინც საქართველოს მომავალი ახალი თაობა თავიანთი წარსულის ისტორიულის წერილების გამო დიდ მადლობას მოგიძღვნიან“.[1]

ზაქარია ჭიჭინაძე ერთ-ერთ წერილში მოახსენებდა, რომ მის ისტორიულ მასალებს მასთან ერთად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ღირსეული მამულიშვილები: აკაკი წერეთელი, ნიკო მთვარელიშვილი და თვით უფ. დიმიტრი ბაქრაძე.[2]

ზაქარია ჭიჭინაძე ითვალისწინებდა ინტელიგენციის აზრს და თვითონაც იმდენად მოსწონდა მისი ისტორიული მასალები, რომ ივანე გვარამაძეს შესთავაზა დაეწერა საქართველოს ისტორია. კერძოდ, მესხეთის ისტორია – „იქნება, რომ მოკლე ანუ გვარიანი საქართველოს ისტორია დასწეროთ, რომ შეიძლებოდეს დაბეჭდვა და სახალხოთ გავრცელება. სირცხვილია ჩვენთვის, რომ „საქართველოს ისტორია“ მოკლედ მაინც ხალხისთვის არ გვაქვს გამოცემული“.

თავისი მეგობრული რჩევით ასევე დიდი დახმარება გაუწია სოფელ ხიზაბავრაში სკოლის დაარსებასა და შემდგომ მის მოწყობაში.[3] იგი დასძენდა: „ეს საზოგადოება მოვალეა ყოველს საქართველოს სახალხო შკოლას მიეცეს შემწეობა, მხოლოდ იქ, სადაც ქართველები არიან ანუ ქართველი კათოლიკენი“.[4] უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე საერთოდ ზრუნავდა სამხრეთ საქართველოს ქართულ სკოლებზე, ხელმძღვანელობდა კერძო პირებისაგან შემოწირული წიგნებით ამ სკოლების მომარაგებას. ილია ალხაზიშვილი 1882 წელს წერდა: „მე მივიღე ფოჩტით ბატონ ზაქარია ჭიჭინაძისაგან ასოცდათვრამეტი ეგზემპლარი ოცდაოთხი სხვადასხვა

სათაურიანი ქართული წიგნები შემოწირული ზოგიერთი პატივცემული კერძო პირისაგან ამ მხარეში მუქთად დასარიგებლადო". იქვე მიუთითებდა, რომ წიგნები გადაცემულია ახალქალაქის, კოთელიის, ვარევნის, ბარალეთის, ხიზაბავრის, ქილდის სკოლებისათვის. მოძიებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეს ხშირად უგზანიდა სახელმძღვანელოებს სამცხე-ჯავახეთის სკოლებზე გადასაცემად. „ეხლა გიგზავნით ევტუშენკოს არითმეტიკის წიგნებს და გთხოვთ, რომ ეს წიგნები ახალქალაქის მაზრის სოფლის სკოლებს დაურიგოთ ან იქ, სადაც თქვენ უფრო საჭიროთ და უკეთესად დაინახავთ".

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ივანე გვარამაძეს განზრახული ჰქონდა ქალებისათვის ცალკე სკოლის გახსნა სოფელ ხიზაბავრაში. აღნიშნულის შესახებ ცნობას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე: „1883 წელს დიდ სიხარულს მწერს, რომ იქნება ხიზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სოფლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეუღლე ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო".[5] მაგრამ მრავალი ხელისშემშლელი მიზეზის გამო ივანე გვარამაძის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

მათი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს მოსწონდა მესხი მამულიშვილის თავდაუზოგავი ზრუნვა თავისი კუთხისადმი. ამიტომაც იყო, რომ მისადმი პატივისცემას მიმართვაშიც გამოხატავდა. მისი წერილები ყოველთვის ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „ყველა ქართველისაგან უღრმესად პატივცემულო მამაო იაოანე," „ჩემგან გულით უღრმესად პატივცემულო. მამაო იოანე", „პატივცემულო მამაო, ძვირფასო იოანე" და ა.შ.

როგორც მიმოწერიდან ჩანს, ზაქარია ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეს ასევე სისტემატურად აწვდიდა გაზეთ „მშაკის" ნომრებსაც, საიდანაც მესხ მოღვაწეს ხშირად უწევდა სხვადასხვა სტატიის თარგმნა, რომელსაც ძირითადად აწვდიდა ევროპაში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს. „გაახლებთ „მშაკის"

ნომრებს, ეს წერილები ნათარგმნი თამარაშვილსაც უნდა ჰქონდეს", – სწერდა ერთ-ერთ წერილში.[6]

ზაქარია ჭიჭინაძე მესხ მოღვაწეს დიდ დახმარებას უწევდა თავისი წიგნების გამოცემაშიც. რამდენადაც ივანე გვარამაძის წიგნები ძირითადად თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა და მისთვის მიმოსვლა ადვილი არ იყო, ზაქარია ჭიჭინაძე აგვარებდა ყველა პრობლემას: აკითხებდა სხვადასხვა პირებს, განსახილველად გადასცემდა „ცენზურის კომიტეტს", მოლაპარაკებას აწარმოებდა სტამბასთან და ბოლოს ზრუნავდა წიგნის გაყიდვაზეც. ერთ-ერთ წერილში ეკითხულობთ: „პოემა წყალ-რღენა", სხვათა შორის, აკაკი წერეთელმა ძრიელ მოიწონა და მითხრა: რომ კაი იქნება თუ დაიბეჭდებაო, ენა არს მშვენიერი და პოეზიაო". სწერდა რომ მალე დაიბეჭდებოდა, შეეცდებოდა იაფად დაებეჭდა და ასევე მოეხმარებოდა წიგნის გაყიდვაშიც.[7] სწორედ მისი მზრუნველობით გამოიცა „ქართლის ცხოვრებაც" 1882 წელს. თვითონ უზომოდ დატვირთული ყოველთვის მზად იყო მხარში დასდგომოდა მესხ მამულიშვილს ყოველი კეთილი საქმის კეთებაში. იგი ასევე ზრუნავდა ივანე გვარამაძის კორესპოდენციებისა და საგაზეთო სტატიების რედაქციებში ჩაბარებაზეც. ასევე სისტემატურად უგზავნიდა გაზეთებს „დროებასა" და „ივერიას".

ზაქარია ჭიჭინაძემ განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ მხრივაც, რომ მან ფართო საზოგადოებას გააცნო მესხი მოღვაწეები: აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, პატრი მიხეილ თამარაშვილი, ივანე გვარამაძე, პავლე შაჰყულიანი. მონოგრაფიულად შეისწავლა მათი ცხოვრება-მოღვაწეობა, რითაც ასევე დიდი სამსახური გაუწია მომავალ თაობებსაც. როდესაც პავლე შაჰყულიანის მონოგრაფიაზე მუშაობდა დახმარება სთხოვა ივანე გვარამაძეს, ერთ-ერთ წერილში აცნობებდა, რომ რუსული წიგნებიდან და „კავკასიის აქტებიდან" გამოკრიბა საჭირო ცნობები. „მე მინდა ამ პირის ცხოვრებისა და ზოგიერთი ცნობები ცალკე წიგნად დავბეჭდო. ამიტომ მუდარებით გთხოვთ, რომ მისი საფლავის წარწერა გადმომიწეროთ და ზოგი ერთი რამ ცნობები, თქვენ ან სხვებმა თუ

იციან გამომიგზავნოთ. დიდათ დამავალებთ... მინდა ნამეტურ შევიტყო, თუ მასა და ხარისჭირაშვილს როგორი განწყობილება ჰქონდათ, მანდაური ხალხი როგორ უმსერდა".[8] ის, რომ დახმარებისათვის ივანე გვარამაძეს მიმართა, ეს შემთხვევითი არ იყო. მან იცოდა, რომ პაელე შაჰყულიანი იყო ივანე გვარამაძის მასწავლებელი და კარგად ნაცნობი პირი. ამასთანავე, კარგად მოეხსენებოდა მისი და ხარისჭირაშვილის ურთიერთობაც.

ზაქარია ჭიჭინაძემ ასევე დახმარებისათვის მიმართა მაშინ, როდესაც პეტრე ხარისჭირაშვილის მონოგრაფიაზე მუშაობდა. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ ივანე გვრამაძე იყო პეტრე ხარისჭირაშვილის მოწაფე და მასთან დაახლოებული პირი. ამიტომაც სთხოვა ცნობებისა და სურათის მიწოდება.[9]

რაც შეეხება ივანე გვარამაძეს, იგი 1881 წელს პირადად მოინახულა სოფელ ხიზაბავრაში. მოგვიანებით იგონებდა: „მამა ივანე გვარამაძის გაცნობა ადრითგანვე მინდოდა. მენატრებოდა. როგორც იქნა 1881 წელს მოვახერხე. ახალციხეს წაველ. იქიდამ ხიზაბაერას ავედი. მრევლს ეკითხე მისი ამბავი. ყველამ ქება დიდებითა და პატივისცემით მოიხსენია.!"[10] როგორც ჭიჭინაძე აღნიშნავს, იგი სოფელში ეძებდა ყველაზე გამორჩეულ სახლს. ფიქრობდა, რომ ასეთ დიდ მამულიშვილს სწორედ ასეთ სახლში უნდა ეცხოვრა. იგი გაოცებული დარჩა იმ სიღატაკის ხილვით, რაშიც მამა ივანე გვარამაძეს უწევდა ცხოვრება. მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ახლოს გაცნობის შემდეგ, 1904 წელს, სიცოცხლეშივე უძღვნა მონოგრაფია – ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ივანე გვარამაძე – „ვინმე მესხი". ზაქარია ჭიჭინაძეს არა ერთი მნიშვნელოვანი აზრი აქვს გამოთქმული ივანე გვარამაძის მისამართით: „მამა ივანე გვარამაძე არის საგვარტომო საქმის მსხვერპლი. ხუცურს ისე წერს თითქოს ხატავს... ქართული ენა და ლაპარაკი კარგი იცის. მისი ენა მდიდარია ძველი ტერმინებით. ბევრი საგოგმანებელი სიტყვა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში... მისი ქადაგება მამულიშვილური ღაღადისია, სადაც იგი ჰქადაგებს იმ ეკლესიაში მრევლი მრავლდება.. მე ისეთი

შეყვარებული მაქვს თქვენი ისტორიული წერილები, რო კალამსა და თითებსაც დაგიკოცნით, რომ გნახოთ სადმე".[11]


შეიძლება ითქვას, რომ ზაქარია ჭიჭინაძემ, გარდა მონოგრაფიებისა, ასევე უდიდესი წვლილი შეიტანა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის კვლევაში. იგი ამ კუთხის მემატიანეა. მისი შრომების გარეშე შეუძლებელია ამ კუთხეზე და მესხ მოღვაწეებზე რაიმე გამოკვლევის დაწერა. მის ასოცზე მეტ ნაშრომში დიდი ადგილი უკავია ჩვენი მხარის თემატიკას.

1. ქართველ კათოლიკეთ პატრი მიხეილ თამარაშვილი, 1904 წ.
2. ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარესზედ, 1905 წ.
3. ლოცვები, 1895 წ.
4. სახსოვრად მოგონება სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა, 1905 წ.
5. ქართველ კათოლიკეთ არქიმანდრიტი პაველე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი), 1904 წ.
6. ქართველთ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, 1905 წ.
7. სამცხე-საათაბაგო, 1905 წ.
8. ღვთისმშობლის კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში, 1903 წ.
9. ზუბალაშვილების გვარის ისტორია,
10. ისტორია ხურსიძის (ისრალოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, 1904 წ.
11. ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ივანე გვარამაძე, „ვინმე მესხი", თბილისი, 1904.
12. სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკები, მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, ნიკ. №21 თბილისი, 1905.
13. აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, 1895 წ.
14. ქართველი კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები, 1904 წ.
15. მესხეთ-ჯავახეთის გათათრება, 1906 წ.
16. ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთ გათათრება, 1915 წ.

17. სარგის თმოგველი და მისი დილარიანი, 1907 წ. და.ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭნაძემ უდიდესი ამაგი დასდო სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებს. გარდა იმისა, რომ საფუძვლიანად შეისწავლა კათოლიკობის გავრცელების საკითხი ამ კუთხეში და მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები გაკათოლიკებული მესხების შესახებ, მან თავის შრომებით ქართველ ერს გააცნო და დაანახა ის, რომ ქართველი კათოლიკენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ. აი, რას წერდა იგი ერთ-ერთი კათოლიკური სოფლის – ხისაბავრის შესახებ: „შესანიშნავი ისტორია აქვს ამ სოფელს და მის მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებს. მრავალი ტანჯვა უნახავთ მტერთაგან, მაგრამ თავიანთ დღეში სჯულისათვის კი არ უღალატნიათ, ნაცვლად ამისა იგინი მეტად ამხნევებდნენ თავის ახლო-მახლო მდებარე ქართველ მართლმადიდებელ სოფლელებსაც, რომ ამათაც მათებურად შეუნახათ ქრისტიანობა, არ დაკავშირებოდნენ ისლამს. მამა-პაპის სხოვნა და გვარიშვილება არ გამქრალიყო მათში...

ურთიერთშორის მეგობრობა და ნათესაობაში ძრიელ განწყობილნი და კეთილსინდისიანი არიან. მათში კაცს და ქალს ფლიდობა, მზაკვრობა, მტრობა და შური სულ არა



აქვსთ, გინება-ლანძღვა, ლოთობა, მეძაობა მთლად მოსპობილია. ყოველივე სრულდება ძველ პატიოსნურად, წყნარად და კეთილთვისებიანათ. ლაპარაკში და ზრდილობაშიც ჩვენილნი არიან, ბევრ რამ სანაქებო თვისება სჭირთ, ქართლ-კახეთის გლეხკაცობასედ იგინი ბევრის რამით სდგანან მაღლა. კათოლიკობას მტკიცედ იფარვენ, უკანასკნელ წელს კარგათ შეიტყვეს, რომ იგინი სარწმუნოებით კათოლიკენი არიან, ხოლო ტომით ქართველნი, საქართველოს შვილნი...“[12]

ზაქარია ჭიჭინაძემ სამცხე-ჯავახეთისადმი თავისი კეთილგანწყობა და მხარდგომა იმითაც გამოხატა, რომ ცდილობდა ხელი შეეწყო ახალციხეში სტამბის დაარსებისათვის. მას კარგად მოეხსენებოდა სტამბის მნიშვნელობა და მისი საჭიროება ამ კუთხისათვის. ამიტომაც ამ საქმის ერთერთი მოთავე იყო. იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „ახალციხეში, ერთს კარგს ქართველ კაცს სტამბის გახსნა უნდა. სტამბას კარგად მოაწყობენ რუსულ, ქართულ ასოებს გარდა, სომხური და ევროპული ანბანიც ექნებათ. კარგი სტამბა იქნება. ქართულ ენაზე დასტამბავენ სხვადასხვა ქართულ გამოცემებს და წიგნებს, მანდაურ კუთხეში მარდათ გააერცელებენ“.[13]

ზაქარია ჭიჭინაძის სახით თავის დროზე სამცხე-ჯავახეთს და ამ კუთხის მაცხოვრებლებს ჰყავდა დიდი გულისშემატკივარი საზოგადო მოღვაწე. მან თავისი სიცოცხლის ნაწილი ამ კუთხეზე ზრუნვას დაუთმო, რაც მის მრავალმხრივ საქმიანობაში აისახა. რომ არა მისი ნაშრომები ჩვენთვის უცნობი იქნებოდა ბევრი ჩვენი თანამემამულის დეტალური მოღვაწეობა, მნიშვნელოვანი მოვლენები, ცნობები მხარის ისტორიის შესახებ და ა.შ.



ილია ალხაზიშვილი

ილია ალხა'ხი'შვილი იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკ'უთვნის, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთ'ში იყვნენ ჩამოსულები სამოღვაწეოდ და დიდი გაჭირვების მიუხედავად წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ ამ კუთხეში, რითაც დიდ დახმარებას უწევდნენ თურქთა ბატონობის ქვეშ საუკუნეების განმავლობაში მყოფ მოსახლეობას. ილია ალხაზიშვილი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჯავახეთში. იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ რწმუნებული ამ კუთხეში, ცნობილი აფთიაქარი-ფარმაცევტი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, მწერალი და

რაც მთავარია ღირსეული მამულიშვილი. ქალბატონი მელანო გოგოლაძე სამართლიანად დაასკვნის: „ილია ალხაზიშვილის ცხოერება და მოღვაწეობა წარმოადგენს სწორედ იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ უნდა ემსახუროს მამულიშვილი თავის ქვეყანას და თავის ხალხს“.[1] იგი ჯავახეთის მოსახლეობას ემსახურებოდა 1891 წლიდან 1919 წლამდე, მუშაობდა პროეიზორად. ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობასაც. ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში მოამზადა და გამოსცა თავისი თითქმის ყველა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული, ისტორიული და სამედიცინო ნაშრომი: „ბუნება და ცხოერება“ (1897 წ.), „მტკვარი, ჭოროხი, რიონი“ (1912-1914 წწ.). „სამკურნალო მცენარენი საქართველოში“ (1899 წ.), „ვარძიის მონასტერი“, „ბუნების ლექსიკონი“ (1916 წ.), „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“ (1915 წ.)

ილია ალხაზიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ჯავახეთის პრობლემები. გაზეთების – „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა სტატიებს ამ კუთხის საჭიროებებზე, ეხმაურებოდა მოსახლეობის სოციალურ, ეროვნულ თუ რელიგიურ პრობლემებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მკითხველს სამცხე-ჯავახეთის „ქვათა ღაღადზეც“ მოუთხრობდა.

1886 წლიდან იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი და საზოგადოების რწმუნებული ჯავახეთში. მისი საქმიანობა გამოიხატებოდა სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებით, მისი თაოსნობით ახალქალაქში გაიხსნა ქართული გიმნაზია. ქართულ წიგნებს, სახელმძღვანელოებსა და ჟურნალ-გაზეთებს ურიგებდა სკოლებსა და მოსახლეობას. და რაც მთავარია მოუწოდებდა, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ესწავლათ მშობლიური ენა, ლიტერატურა და მშობელი ქვეყნის ისტორია. ეს კი საბოლოოდ გამოიწვევდა სარწმუნეობრივად გათიშული ქართველების დაახლოებას. ამიტომაც იყო, რომ ინტელიგენციასა და საქველმოქმედო საზოგადოებებს სთხოვდა მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ

ამ კუთხის მიმართ: „რა იქნება ბატონებო, რომ თქვენი მოწყალე თვალით აქეთაც გადმოხედოთ. დღე ერთია და აქაური მასწავლებლების ტირილი და ჩივილი ათასი, რომ არავითარი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები არა გვაქვს სკოლებისათვის, რომ ბავშვებს ვასწავლოთ სამშობლო ენაო...“[2] ილია ალხაზიშვილი თავის კორესპოდენციებში საზოგადოებას ასევე აწვდიდა ცნობებს სამცხე-ჯავახეთში არსებულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ. ამით ერთგვარად უწევნებდა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას სწავლისადმი. 1897 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში მიუთითებდა, რომ 1881 წელს ჯავახეთის ერთ-ერთ უძველესი სოფლის ხიზაბავრის სკოლაში სამოცი მოსწავლე სწავლობდა. „სოფელი ხიზაბავრა მთელს ჯავახეთში ერო-ერთი სოფელია, სადაც სხვა ტომთა შეურეველად ას სამოცდასამი კომლი ცხოვრობს. ხიზაბავრელებს წმინდათ დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხურის კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაიწერება.“[3]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ილია ალხაზიშვილის ურთიერთობა ივანე გვარამაძესთან – მესხი საზოგადოების აღიარებულ თაყვაცთან. იგი პირადად იცნობდა მესხ მოღვაწეს. არაერთხელ ყოფილა მისი სტუმარიც, აღფრთოვანებული იყო მისი თავდაუზოგავი შრომით. ამიტომაც წერდა: „მამა იოანე სწორედ იმ ხელითა სწერს, როგორც ჩვენი წმინდა მამაები სწერდნენ საღმრთო წიგნებს და ამისთანა წმინდა, მჯიდრო ხელით დაწერილი ექნება ათი ათას გვერდზე მეტი... ამდენი ათასგვერდობით დროის მოთხოვნების შესაფერი წიგნები რომ დაეწერა უფრო დიდ საუნჯეს შესძენდა ჩვენს ლიტერატურასო, იქვე გამოთქვამდა აზრს: „დიდად დაგვაკლებს მამა იოანე, რომ ამის შესახებ დანარჩენი თავისი ძალა მოახმაროს თავის სამშობლოს – მესხეთის წარსული ისტორიის აღწერას, ხალხში დარჩენილ გადმონაცემ წყაროებიდან და არა წიგნებიდან. ამით დაუვიწყარ სამარადისო ძეგლს დაუდგამს მამა იოანე თავის სახელს

ქართულ ლიტერატურაში“[4] ილია ალხაზიშვილის აზრით, სწორედ ივანე გვარამაძეს უნდა გამოეკვლია მესხეთის ცხოვრება და ათაბაგების მმართველობის პერიოდი. მართებული არ იქნება, სრულად თუ გავიზიარებთ ბატონ ილია ალხაზიშვილის მოსაზრებას, რადგან ივანე გვარამაძემ გადაწერის გზით გადაარჩინა და შემოგვინახა მრავალი ძველი წარწერა და ხელნაწერი. გარდა იმისა, რომ ხშირად უხდებოდათ ერთმანეთის ნახვა, ჰქონდათ მიმოწერაც. ერთ-ერთ წერილში სწერდა, რომ მიაწოდებდა საინტერესო მასალებს საქართველოს ისტორიის შესახებ.[5] ილია ალხაზიშვილი აცნობებდა: „როცა თქვენ ამობრძანდებით აქ გიჩვენებთ კიდევ ზოგიერთ ძველ დოკუმენტს, გამოდგებიან – რუსულიც არის და ქართულიც. ამ გვარ საქმეს კარგი დალაგებით სჯა უნდა და მოსაზრება. ერთი სიტყვით გელით“.[6]

ასევე საყურადღებოა ილია ალხაზიშვილის ერთ-ერთი წერილი ივანე გვარამაძისადმი: „რაც შეეხება თქვენს წერილებს ყოვლად უნაკლოდ გადავეცი გიორგი წერეთელს და მითხრა, ყველა იმის ნაწერებს უეჭველად დავბეჭდავთო თავის დროზედაო. ასე აცნობე, რომ დაუბეჭდავი არც ერთი წერილი არ დარჩება გვარამაძისაო და იმედია არც შემდეგში მოგვაკლებს თავის ერთობ საყურადღებო წერილებსო“. ორი გამოჩენილი მოღვაწის ურთიერთობა-თანამშრომლობა კარგად ჩანს მათი მიმოწერიდანაც. სამშობლოზე ზრუნვის ინტერესი აერთიანებდა მათ.

ჯავახეთში ილია ალხაზიშვილის მოღვაწეობა დეტალურად არის ასახული ადგილობრივი მკვიდრის, საზოგადო მოღვაწის ვასილ კოპტონაშვილის მოგონებებში. მის პირად არქივში დაცულია, 1937 წელს მის მიერ დაწერილი, მოგონებები ილია ალხაზიშვილზე: „მოგონებანი მისი ორმოცი წლის განმავლობაში საზოგადო-სამწერლო-საგანმანათლებლო ასპარეზზედ მოღვაწეობის შესახებ ჯავახეთში ყოფილ ახალქალაქის მაზრაში“.

ვასილ კოპტონაშვილის მოგონებიდან ირკვევა რომ მას ილია ალხაზიშვილი ჯერ კიდევ ბარალეთის სკოლაში სწავლის პერიოდში გაუცვნია, მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. სწორედ იმ პერიოდში ბარალეთში, ვიღაც მიცვალებულის გვამის გასაკვეთად და შესამოწმებლად, მისულან გამომძიებელი, ექიმი და ფერშალი. ის ფერშალი იყო ილია ალხაზიშვილი. იგი ბარალეთის სკოლაში მისულა, გაკვეთილზე დასწრებია, მასწავლებლისათვის სხვადასხვა ქართული წიგნები გადაუცია. ამ შეხვედრას და მის გაცნობას ასე იგონებს ვასილ კოპტონაშვილი: „როგორც მახსოვს გადმოგვცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, დიმიტრი თავდადებული და სხვა ქართველ მოწაფეებში გასავრცელებლათ როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ თბილისიდან გადმოგზავნილი. თვით ილია ალხაზიშვილმა თავის ხელითვე საჩუქრად დაგვირიგა უფრო მოზრდილ მოწაფეებს: „მეფე დემეტრე თავდადებული“, „არსენას ლექსი“, „ქვრივის ლიმონები“, „სურამის ციხე“ და სხვა. დაგვპირდა თუ კარგად ვიმეცადინებდით, იგი არ მოგვაკლებდა ქართულ სხვადასხვა წიგნებს შემდეგშიც“.[7] ვასილ კოპტონაშვილი იგონებდა, რომ ილია ყოველთვის ასრულებდა თავის სიტყვას. როდესაც გზა მოუხვდებოდა ბარალეთში შეუვლიდა სკოლაში, მზრუნველობით გაესუბრებოდა, ქართული წიგნებით დაასაჩუქრებდა და ისე დაბრუნდებოდა ახალქალაქში. როგორც ჩანს, თავისი ქცევით დიდი სიყვარული დაიმსახურა ილია ალხაზიშვილმა. „ამ კეთილმა და სათნოებით საესე ადამიანმა ისრე მიმიზიდა, რომ ენატრობდი მუდამ ჟამს მის დანახვას“. ეს სიყვარული იყო პასუხი მისი დიდი ადამიანობისა და მამულიშვილობისა: „იგი აღვსილი იყო კეთილი გულით და გამსჭვალული მოძმეთა, მეტადრე გლეხი ხალხისადმი სიყვარულით“. ვასილ კოპტონაშვილი ერთმანეთს ადარებდა სხვა მოხელეებსა და მას. მაშინ, როდესც ყველა მათგანი მხოლოდ ქრთამის აღებით თუ აკეთებდა საქმეს „ილია ალხაზიშვილი კი, რომელსაც კი ვინმე

მიჰმართავდა ავადმყოფის პატრონი, რაც ძალი და ღონე შესწევდა, უსასყიდლოთ ეხმარებოდა წამლების მიწოდებით იქნებოდა ეს თუ სიტყვიერი დარიგებით და ხშირათ პირადადაც ინახულებდა ხოლმე ამა თუ იმ ავადმყოფს და სულ ნაკლებ ხალხს ხომ ფულითაც დახმარებას უწევდა. ხშირად გამიგონია ხალხისაგან მისი ნათქვამი სიტყვები: „მე ობლობით და სიღარიბით ვარ გაზრდილი, მეც გაჭირვებაში ვყოფილვარ, კეთილი ხალხი დამხმარებია და მე რატომაც არ უნდა დავეხმარო სამაგიეროთ ხელმოკლე ხალხსო“.[8]

როგორც ვასილ კოპტონაშვილი აღნიშნავს ბარალეთში ხშირად ნახულობდა ილიას იქმდე, სანამ რუსის ჯარი იყო დაბანაკებული, რამდენადაც მას სამსახურის გამო საექიმოსამედიცინო დარგთან დაკავშირებით უხდებოდა ყოფნა. შემდგომში მათი კვლავ შეხვედრა ერთი შემთხვევის გამო მოხდა. კერძოდ, როგორც ვასილ კოპტონაშვილი აღნიშნავს, მათი სოფელი იყო საბატონო. მოსავლის აღების დროს გლეხი ჭირნახულის შვიდ ნაწილში ერთს ბატონს უხდიდა. ყველა ბატონს თავისი მოურავი ჰყავდა. ერთი მოურავთაგანი ყოფილა ვინმე პეტროს ვარშამოვი – ბოროტი და შეუბრალებელი კაცი. სწორედ თავისი ხასიათის გამო გახდა იგი ერთ-ერთი გლეხის – ბიბილურიძის მსხვერპლი. ამ უკანასკნელმა ფოცხით გაუტეხა თავი. სწორედ ამ ფაქტის გამო მისულა ახალქალაქიდან ილია ალხაზიშვილი. ამ შეხვედრას ასე იგონებს კოპტონაშვილი: „დამინახა თუ არა ილიამ, მაშინვე მიცნო, გამიღიმა და მკითხა სკოლის საქმეები და დაუმატა: „ახალქალაქში როცა გამოხვალ ჩემს უნახავათ ნუ დაბრუნდები, უსათუოდ მნახე ხოლმე, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მინდა გადმოგცე ხალხში წასაკითხავათ და გასავრცელებლათ. ამას წერა-კითხვის საზოგადოება მოითხოვსო. მასთან მოსულმა გამომძიებელმა და ექიმმა ქართული არ იცოდნენ და თარჯიმნობას ეწეოდა თვით ფერშალი ილია. როდესაც გლეხებს გამომძიებლისათვის თავიანთი გასაჭირი შეუჩივლიათ, გამომძიებელი ციხეში ჩაყრით დამუქრებია. თვითონ

ილიას კი ხალხისათვის უთქვამს: „თქვენ მადამდის არ გე'შეელებათ რა, ვიდრე მემამულე-მებატონეები არ მოისპობიან, მადამდის კი ასე თუ ისრე მოთმენა უნდა იქონიოთ".[9] ე.ი. მან წინასწარ იწინასწარმეტყველა ისეთი დროება, რომელიც მართლაც დადგა.

ვასილ კოპტონა'შვილი თავის მოგონებებში დეტალურად აღწერს ილია ალხაზიშვილთან შეხვედრას ახალქალაქში მის სამუშაო კაბინეტში. ეს იყო 1882 წელი, როდესაც მას უკვე საკუთარი აფთიაქი ჰქონდა ახალქალაქში. „შევიარე მის აფთიაქში, შევედი ილიას სამუშაო ოთახში და თვალწინ წამომივიდა მაგიდებზე, შკაფებზე და თაროებზე სავსე ათასგვარი წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით. მე ჯერ მანმადე გაზეთი ნახული არ მქონდა (გაგონით კი გამეგონა, რომ გაზეთები იბეჭდება ყოველდღე თბილისში და მერე ურიგდება ხალხს წასაკითხავათ).

ილია ალხაზიშვილის მაგიდაზე დავინახე საკმაოთ დიდი დაბეჭდილი ფურცელი ქაღალდი, რომელსაც სათაეში დიდრონი ასოებით ჰქონდა აღნიშნული „დროება". ამ გაზეთის სახელწოდებამ ისრე მიმიზიდა, რომ ხელი წავაელე თვით გაზეთის ფურცელს და დავუწყე კითხვა. ეს ილიამ დაინახა, მომიახლოვდა და მითხრა: ეს ქართული გაზეთი „დროება" არის, თბილისში გამოდის ივანე მაჩაბელის რედაქტორობით. აი, ესეც ქართული ჟურნალია „ივერია". ესეც თბილისში იბეჭდება ილია ჭავჭავძის რედაქტორობით". ილია ალხაზიშვილმა იმთავითვე გადასცა რამდენიმე ნომერი და თან დააინტერესა ქართულ პრესასთან თანამშრომლობით. ილია ალხაზიშვილი იყო მისი კორესპოდენციების პირველი რეცენზენტიც. იგი ხომ იმ დროისათვის უკვე გამოცდილი კორესპოდენტი იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხვედრა მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. როგორც თვითონვე აღნიშნავს: „ამის შემდეგ მე დიდის ხალისით დავეწაფე როგორც ქართული წიგნების, ისე „დროება" - „ივერიის" კითხვას".

ილია ალხაზიშვილზე თავის მოგონებებში ვასილ კოპტონაშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ადგილობრივ ქართველ ხალხთან მის დამოკიდებულებაზე. მიუთითებდა, რომ მათდამი იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას, სიყვარულსა და მზრუნველობას: „რომელ ქართველსაც დაინახავდა ილია ახალქალაქის ქუჩაზე – დიდი იქნებოდა თუ პატარა, ყველას ხელს მოჰკიდებდა, აფთიაქისკენ წაიყვანდა და იქიდგან დატვირთულს ათასგვარი ქართული წიგნებით და გაზეთებით გამოისტუმრებდა სახლებისკენ და დასძენდა: „ისწავლეთ ქართული წერა-კითხვა ყველამ – დიდმაც და პატარამაც და გააერცელეთ იგი თქვენს სოფლებში და ოჯახებშიო“. ამრიგად, ილია ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში თავის ძირითად სამსახურს საგანმანათლებლო საქმიანობას უთავსებდა, დაუღალავად ზრუნავდა ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაზე, რამდენადაც მიაჩნდა რომ მხოლოდ განათლებით დააღწევდნენ თავს იმ დუხჭირ ცხოვრებას, რომელშიც იმყოფებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ „როდესაც რომელიმე სოფელში წავიდოდა ხურჯინით საესე ქართული წიგნები დაჰქონდა ხალხში გასავრცელებლათ. ისეთი ქართველი ოჯახი არ იყო, რომ მის მიერ ქართული წიგნები არ ყოფილიყოს დატოვებული“.[10]

როგორც ვასილი გადმოგვცემს ილია ალხაზიშვილს თავისი სწორი, ეროვნული დამოკიდებულება ჰქონდა ქართული ენისადმი და სკოლაში მისი სწავლების საკითხთან დაკავშირებით. „ყოველს შეხვედრაზე მისი ჩემთან ლაპარაკი ის იყო, რომ ქართული დედაენა სკოლებში და ხალხში საფუძლიანად ჩაგვენერგა. იმ დროს მოგეხსენებათ, რომ ყველა სკოლებში, ნიკოლოზის მთავრობა – განათლების სათავეში მდგომი იანოვსკები, პობედონოსოცევები, კოსტორიკოვები და ამგვარები ცდილობდნენ სკოლებიდან დედა-ენა სრულებით განდევნილი ყოფილიყო და რუსიციზმი გაემეფებინათ. აი, ამის წინააღმდეგი იყო ილია ალხაზიშვილი და ამიტომაც მისი ზრუნვა იყო მიპყრობილი დედაენის სწავლების ჩანერგვა ხალხში და სკოლებში.

ვასილ კოპტონაშვილის მოგონებებში ასევე ნათლად ჩანს ილია ალხაზიშვილის დამოკიდებულება სამცხე-ჯავახეთში არსებულ ისტორიული ძეგლების შესახებაც. კერძოდ, იგი ცდილობდა, რომ ვარძიის მონასტერი, კუმურდოს დიდებული ტაძარი და სხვა ძეგლები დაცული ყოფილიყო. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იმთავითვე ჰქონდა სურვილი, რომ სოფელ რუსთავში დადგმულიყო შოთა რუსთაველის ძეგლი. აღნიშნულთან დაკავშირებით ვასილ კოპტონაშვილი იხსენებს: „ილია ალხაზიშვილს არაერთხელ ჰქონია ჩვენთან, ჯავახეთის ქართულ სკოლების მასწავლებლებთან, ლაპარაკი უკვდავ შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის შესახებ სოფელ რუსთავს წინ ველზედ ობლათ აღმართილ პაწია გორაკზე, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის მახლობლად. მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა და არც მოხერხდებოდა იმიტომ, რომ ნიკოლოზის მოსისხლე მთავრობას ამნაირი რამეებისთვის არ ეცალა. აქაურ ქართველობასაც ამის სახსარი არ გააჩნდა.“ მაგრამ ილია არ შეეგუა შექმნილ მდგომარეობას და ის გზა გამონახა, რომ დაიწყო ნებაყოფლობით შეწირულობის შეკრება. შესაბამისად დაიწყო ხელმოწერების შეგროვებაც. ვასილ კოპტონაშვილი გვაწვდის იმ კონკრეტულ პირთა ვინაობას, რომლებმაც იმთავითვე მოიწონეს ილიას აზრი, მხარში დაუდგნენ და სურდათ ამ მეტად მამულიშვილური საქმის შესრულება. „თვით ილიამ მოიწერა ოცდახუთი მან. ალექსანდრე ბერიძემ ოცდახუთი მან, ფალავანდიშვილმა მამად ბეგმა ოცდახუთი მან, მასწავლებელმა გ. გეგიძემ ხუთი მან, მე – ხუთი მან, ვარძიის მონასტრის ბერმა სიმონ წულუკიძემ ათი მან. სულ რაღაც ოთხმოცდაათი მანეთი. ილიამ თბილისშიც აცნობა ქართველ საზოგადოებას ამის შესახებ მაშინ, მაგრამ როგორც მანვე მითხრა იქიდგან არავინ გამოეხმაურა და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს შეკრებილი ფული უკანვე დაუბრუნდათ ხელის მომწერთ.“, – წერდა ვასილ კოპტონაშვილი. ილია ალხაზიშვილის სურვილი აღსრულდა მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში, 1966 წელს, როცა აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავი.

ვასილ კოპტონაშვილი ასევე განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ილია ალხაზიშვილის ჰუმანურ ბუნებასა და ხასიათს. მიუთითებს რომ მას არ ახსიათებდა შოვინიზმი და სხვა ეროვნების ადამიანებს არ განასხვაებდა ქართველი ხალხისაგან: „ვინც გინდა მისულიყო წამლისათვის ექიმის რეცეპტით: სომეხი იყო იგი, თათარი, ურია, თუ სხვა რომელიმე ეროვნებისა და თუ დაატყობდა (ჯერ გამოჰკითხავდა ოჯახის მდგომარეობასა, ავს-კარგსა) რომ ხელნაკლები და ღარიბი იყო, ყველას უსასყიდლოთ უთმობდა წამლებს დიდის დარიგებით და მზრუნველობით. ავადმყოფის პატრონი იქვე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და ნუგეშ-ნაცემი და გულგამაგრებული სახლში ისრე ბრუნდებოდა“. ე.ი. ილია ალხაზიშვილს სწორედ ის თვისებები ჰქონდა, რაც უნდა ჰქონოდა მისი პროფესიის ადამიანს. და ამასთანავე, მისი ჰუმანიზმი ყველა საზღვარს სცილდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ვასილ კოპტონაშვილი სამართლიანად დაასკვნიდა: „მის მიერ გახსნილი საკუთარი აფთიაქი იყო არა ილიას სასარგებლოთ, არამედ ჩალხის კეთილდღეობისათვის, ხალხის დასახმარებლად, ხელმოკლეებისათვის სრულიად უსასყიდლოდ“. და კიდევ, ამიტომაც იყო, რომ ჯავახეთში ილია ალხაზიშვილს დიდი ნდობა, პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. როგორც იგი აღნიშნავს ხშირად ხდებოდა ისე, რომ როდესც ილია გაიგებდა რომელიმე სოფელში ვისმეს ავადმყოფობას, თვითონვე მიჰყავდა ექიმი და მის დანიშნულ წამლებსაც თვითონვე უგზავნიდა. ვასილ კოპტონაშვილი მაგალითისათვის ასახელებს ერთ ახალქალაქელ დურგალს – ეინმე პაველე გ-ძეს, რომლის გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, ოჯახს კი მისი მკურნალობის სახსარი არ გააჩნდა. ილია ალხაზიშვილმა თვითონვე მიუყვანა ექიმი, თავისიეე წამლებით ცხრა თვის განმავლობაში მკურნალობდა და სიცოცხლე შეუნარჩუნა. იგი აღნიშნავდა, რომ ავადმყოფის შთამომავლები დიდხანს მადლიერებით იგონებდნენ მის მიერ

გაწულ სიკეთეს. ასეთი ქმედებების გამო იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგაც ჯავახები ილიაზე ამბობდნენ: ილია ჩვენთვის დღესაც ცოცხალია და არა მკვდარი".

ვასილ კოპტონაშვილი ილია ალხაზიშვილზე მოგონებებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯავახეთში გადმოსახლებულ დოხობურებთან ურთიერთობას. „ამ დოხობურებშიც ილიას აგრეთვე დიდი ნდობა და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი თავისი კაი კაცობით", – წერდა ე. კოპტონაშვილი. როგორც ჩანს, მათ ერთმანეთთან ერთგვარი თანამშრომლობაც ჰქონდათ. რაც იმაში აისახებოდა, რომ დოხობურებს კარგი შემოსავალი ჰქონდათ და უფულობას ისინი არ განიცდიდნენ. ისინი ხშირად უმართვდნენ ხელს ილია ალხაზიშვილს. რამდენიც დასჭირდებოდა თანხა დოხობურები სიხარულით აძლევდნენ, რადგან ილია პატიოსანი გადამხდელი იყო და ვალს ყოველთვის დროზე უბრუნებდა. ამასთანავე დოხობურებს ერჩიათ მისთვის ესესხებინათ ფული ვიდრე ბანკში შეეტანათ, რადგან ბანკი მათ 4%-ს უხდიდა, ილია კი 6%-ს. „დოხობურები ილიას Папаша Илиа Соломонич-ს უწოდებდნენ და თავიანთ მფარველათ და მშობელ მამად მიაჩნიათ", – წერდა იგი.

რამდენადაც ვასილ კოპტონაშვილი ილია ალხაზიშვილთან დაახლოებული პირი იყო ბევრი რამ იყო ცნობილი მისთვის მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. თავის მოგონებებში მან საინტერესო ცნობები შემოგვინახა მისი პირადი ცხოვრების შესახებაც. კერძოდ ის, რომ მას გამოუზრდია თავისი ორი ძმა. ოჯახი კი საკმაოდ გვიან შეუქმნია – დაახლოებით ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ასაკში შეურთავს ცოლი. ბევრი შვილი ჰყოლია, რომლებიც შესაფერისად აღუზრდია.

ვასილ კოპტონაშვილმა მოგონებებში დიდი გულისტკივილით აღწერა ილია ალხაზიშვილის ჯავახეთიდან წასვლა. „ამ საზოგადო მოღვაწეს, მწერალს და ქველმოქმედს 1918 წელს ნაცვლად დიდი პატივისცემისა და მადლობისა, ჯავახეთს ზოგიერთ ნაძირალა ქართველებმა სომეხი დაშნაკების

წაქეზებით ქალაქ ახალქალაქის უმთავრეს ქუჩაზედ ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს, თავპირი დაუსისხლიანეს და ამით გული მოაფხანინეს და მასხრათ ააგდებინეს მის პირად მტრებს, ქართველ საზოგადოებას კი გული ჩაგვიკლეს.“ ეს შეურაცხყოფა დაუმსახურებელი იყო. ეს იყო უდიდესი უმადურობის გამოხატულება ჯავახების მხრიდან. ჯავახეთში თითქმის ორმოცი წლის უანგარო მოღვაწეობის წილ ადგილობრივებმა ტალახი ესროლეს. ამიტომ, ილია ალხაზიშვილს ისღა დარჩენოდა დაეტოვებინა ეს მხარე. იგი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იქვე გარადიცვალა.

თავის მოგონებებში ვასილ კოპტონაშვილმა, როგორც თანამედროვემ და ახლობელმა, საინტერსო ცნობები შემოინახა ილია ალხაზიშვილის შესახებ. წლების განმავლობაში მასთან მეგობრობამ, თანამშრომლობამ საშუალება მისცა ახლოს გასცნობოდა მის პიროვნებასა და ცხოვრება-მოღვაწეობას. იგი მის ერთ-ერთ ბიოგრაფად შეიძლება მივიჩნიოთ. თავისი მოგონებებით ვასილ კოპტონაშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა ილია ალხაზიშვილის, როგორც ღირსეული მამულიშვილის წარმოჩენაში, რითაც დიდი სამსახური გაუწია მომავალ თაობას. საყურადღებოა ისიც, რომ მოგვიანებით, 2007 წელს, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მელანო გოგოლაძემ პატივი მიაგო ღირსეულ მამულიშვილს. მოამზადა და გამოსცა მონოგრაფია: ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.



დიმიტრი ბაქრაძე

დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც აკაკი წერეთელმა „დიმიტრი თაედადებული“ უწოდა, მეცნიერს, რომელმაც საქართველოს ისტორია დაწერა, შეუძლებელია რომ ყურადღება არ მიექცია საქართველოს ძირძველი კუთხის – სამცხე-ჯავახეთისადმი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, მას შემდგომ რაც აჭარა და ყარსის ოლქი ანუ ძველი სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი თურქეთისაგან განთავისუფლდა, მას მიეცა შესაძლებლობა სამხრეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი სიამაყით წერდა: „ჩვენი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე მოგზაურობს ამ ახალ ქვეყნებში და ჩხრეკს ძველ

ნაშთებს. სასიამოვნო სანახავია, თითქმის მოხუცებული, მაგრამ მარდი როგორც თხუთმეტი წლის ახალგაზრდა, როგორ დარბის კლდეებზე, უვალ ადგილებზე. ყველაფერში ეტყობა უფალ ბაქრაძეს რომ თავის საქმის არშიყია".[1] მან, კერძოდ, 1878 წელს სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (გურია, აჭარა, შავშეთი, არტაანი, კლარჯეთი და სხვა) მოგზაურობის შედეგი კი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა იყო. (არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, შენიშვნები ბათუმის ოლქის შესახებ, ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი).

დიმიტრი ბაქრაძეს თანამშრომლობითი ურთიერთობა ჰქონდა მესხ მამულიშვილებთან. იგი კარგად იცნობდა მესხ განმანათლებლის, ივანე გვარამაძის, მრავალმხრივ მოღვაწეობას და თავის დროზე მაღალი შეფასებაც მისცა. მოსწონდა მისი ისტორიული ხასიათის სტატიები და გამოკვლევები. ამიტომაც იყო ზაქარია ჭიჭინეძე ერთ-ერთ წერილში ივანე გვარამაძეს წერდა: „დიმიტრი ბაქრაძეს ძალიან მოსწონს, დიდად დააფასა, დიდი მნიშვნელობა მისცა თქვენს ისტორიას. სთქვა: რომ „ახლა კი ვერ დააფასებენ, შემდეგ კი როდესაც ისტორია მეცნიერულს გზას დაადგება, მაშინ კი დიდ მნიშვნელობას მისცემენ მასო" ეს სიტყვები და ცნობები მრავალთ წინაშე სთქვა".[2] ის, რომ უფალ დიმიტრი ბაქრაძეს ძალზედ მოსწონდა ივანე გვარამაძის ისტორიული მასალები არაერთგზის აქვს ზაქარია ჭიჭინაძეს მიწერილი მისთვის.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი" და „კავკასიის არქეოლოგიის ისტორიის" საზოგადოებების წევრობამ დიდად განაპირობა იმ პერიოდის ორი დიდი მოღვაწის ურთიერთ თანამშრომლობა. შესაბამისად ერთმანეთთან ჰქონდათ მიმოწერაც. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე წერილი. როგორც ჩანს, იგი თვალს ადევნებდა

ივანე გვარამაძის სამცხე-ჯავახეთის სოფლებში არქეოლოგიურ მოგზაურობას და ეხმიანებოდა გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების გამო. ურჩევდა, რომ თავისი მოგზაურობის შედეგები დაებეჭდა გაზეთ „დროებაში“, რადგან იქ უფრო ადვილი იყო სტატიების დაბეჭდვა.[4]

დიმიტრი ბაქრაძემ, თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა მესხ მოღვაწეს. აცნობებდა, რომ ყარსში და მის ახლო-მახლო არსებობდა ქართული ეკლესიები ქართული წარწერებით: „მე ჩემი თვალით ვნახე ყარსში ქართული ეკლესიების ნაწერები ყაღიზმანს ახლო ქართულივე ეკლესიაა წარწერით 1030 წლის, ანში უკეთესი ეკლესიაა ბაგრატ III-გან აშენებული მე-X საუკუნეში და მე-XIII საუკუნეში დახატული, ქართულის წარწერებით. მხატვრობა ნამდვილათ ქართულია, წმინდა ნინო მშვენივრად დაცულია. ამ ეკლესიას შეცდომით „ბერძნულ ეკლესიას უწოდებენ“. როგორც თქვენვე ამტკიცებთ ანში ყაღიზმანში და კარში მჯდარან ქართველი ეპისკოპოსები ...“[5]

დიმიტრი ბაქრაძე, როგორც კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დამფუძნებელი, თავს ვალდებულად სცნობდა ივანე გვარამაძისათვის გაეცნო არქეოლოგიური საზოგადოების სამომავლო გეგმებიც. კერძოდ ის, რომ აუცილებელი იყო ბიეთის ეკლესიიდან წარწერის გადმოხატვა და სხვა. იმავე წერილში ასევე წერდა რომ „ახალციხის წმ. მარიამის ეკლესიაში ერთი ძველი, ტყავზედ ნაწერი წიგნია, მე არ მინახვს, მაგრამ ბროსეს მოჰყავს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში მე-X საუკუნის წარწერები“. სთხოვდა გაერკვია აღნიშნული წიგნი თუ იყო ისევ ადგილზე, ან ვის ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1881 წელს თბილისში ჩატარდა მეხუთე საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა თავმჯდომრის გენერალ კომაროვის მეთაურობით მოაწყვეს ხუთდღიანი ე.წ. გასვლა სოფელ ხიზაბავრაში, მათ უმასპინძლა ივანე გვარამაძემ... არქეოლოგიური

ყრილობის მონაწილეებმა მოსკოვში დაბრუნებისთანავე დააყენეს საკითხი ივანე გვარამაძის მოსკოვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად მიღების შესახებ. სათანდო ცნობა კი ვერ გამოუგზავნეს იმის გამო, რომ არ იცოდნენ მისი მამის სახელი. ამიტომაც იყო, რომ დიმიტრი ბაქრაძემ ერთ-ერთ წერილში ამცნო ეს ამბავი და მანვე გადაუგზავნა მოსკოვში სრული ინფორმაცია.[6]

რამდენადაც ივანე გვარამაძე იყო კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების აქტიური წევრი, საზოგადოების სახელით დიმიტრი ბაქრაძე, ერთ-ერთ წერილში, მიუთითებდა თუ რაზე უნდა მიექცია ყურადღება. სთხოვდა „ცნობაში მოიყვანოთ შესანიშნავი ძველი ეკლესიები და ძველი შენობები, რომლებზედაც აქომამდე ჩვენ არაფერი ცნობა არა გვაქვს, აიწეროს იგინი და გადმოიხატოს იმათი წარწერები“[7] უნდა აღინიშნოს, რომ ეს „დავალება“ ივანე გვარამაძემ წარმატებით შეასრულა. მას თითქმის არ დაუტოვებია თავისი მხარის არც ერთი ეკლესია-მონასტრი. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება მისი ალბომი, რომელშიც გადმოხატული აქვს ეკლესიები არსებული მდგომარეობით, ასევე წარწერები.[8]

დიმიტრი ბაქრაძე ივანე გვარამაძეს სწერდა, რომ არ მორიდებოდა მას და როცა საჭიროდ ჩათვლიდა პირადად მისთვის მიემართა. გარდა იმისა, რომ საზოგადო საქმეს ემსახურებოდა, მის მიმართ დიდი სიმპათიაც გააჩნდა. ერთ-ერთ წერილში სინანულს გამოთქვამდა, რომ პირადად არ იცნობდა ასეთ ღირსეულ მამულიშვილს და მასთან მხოლოდ მიმოწერა ჰქონდა: „მე აქომამდე არ მქონია ბედნიერება თქვენი გაცნობისა. თუმცა ერთხელ ყოფილხარ ქალაქში ჩემთან, მაგრამ მე არ გახლდით შინ. თუ ოდესმე ქალაქში ჩამობრძანდეთ იმედი მაქვს უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ საზოგადო საჭირო საქმეზე“.[9]

ივანე გვარამაძეც, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობით, მიღწევებით: „მომილოცავს მშვიდობიანი მგზავრობა კონსტანტინეპოლისკენ. მადლობა

ღმერთს მშვიდობიანად წახვედით და მშვიდობიანადვე დაბრუნდით. იმედი მაქვს საკმაო ისტორიულ წყაროებს მონახავთ". მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ გარდა თანამშრომლობისა, ივანე გვარამაძე ხშირად უზიარებდა დიდ ისტორიკოსს თავის დარდსა და ფიქრებს. მიაჩნდა, რომ მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა კავკასიის არქეოლოგიურ საზოგადოებას ისტორიული მასლების დასაცავად და ის არ უნდა გადასულიყო უცხოელთა ხელში. ერთ-ერთ წერილში გულისტკივილს გამოსთქვამდა, რომ მესხეთის ისტორიის კვლევას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ: „ჩვენი მესხეთი დავიწყებულია ამჟამად ყველასგან იქამდის, რომ უცხონი მოდიან, გვითხრიან ძველ ნაშთ ძეგლებსა, ჯვარ-ხატთა და მიაქვანან თავისუფლად თავიანთ ქვეყანასა. მოწინააღმდეგე ხმის გამცემი არავინ არის. განა სახელია კავკასიის არქეოლოგიის საზოგადოებისათვის, განა კავკასიის მუზეუმში არ უნდა იკრიბებოდეს მისთანა ნაშთნი თუ სადმე არის?".[11]

დიმიტრი ბაქრაძემ, იმ პერიოდის ყველაზე დიდმა ისტორიკოსმა უმაღლესი შეფასება მისცა ივანე გვარამაძის მოღვაწეობას. მისი მისამართით არაერთი სასიამოვნო გამონათქვამი აქვს. ერთ-ერთ წერილში წერდა: „როცა ვნახე თქვენი „ხმა ხიზაბავრიდამ" კალამს თავი დავანებე და წავიკითხე, სრულ ჭეშმარიტებას სწერთ." „ივანე გვარამაძის შედგენილ „ქართლის ცხოპვრებაში" იმდენი ღირსშესანიშნავი და ახალი ცნობებია შემოკრებილი, რომ ჩვენ მისი ხსენებაც არ ვიცოდით." „დიდი საქმეა, რომ მამა ივანე ზედმიწევნით ფლობს ძველ და ახალ სომხურ ენას".[12]

როგორც ზემოთ აღინიშნა ღირსეული მამულიშვილები ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათ შორის თანამშრომლობა ძირითადად მიმოწერით ხორციელდებოდა. წერილებით აგვარებდნენ ყველა პრობლემასა თუ გადასაჭრელ საკითხს. ერთ-ერთ წერილში ივანე გვარამაძე წერდა: „ახლაც გიგზავნი ჩემს მცირე რამ შრომას ძველისძველს ისტორიულს ცნობებს მესხ ქართველებზედ ლინგვისტურად. გთხოვ უმორჩილესად

თუ შეიძლებოდეს ყურადღება მიაქციოთ. განხილვის შემდგომ თუ ინებებთ დააბეჭდინეთ...“[13]

დიმიტრი ბაქრაძე ისე გარდაიცვალა (1990 წელს), რომ ვერ მოახერხა მესხი მოღვაწის გაცნობა. 1887 წელს ივანე გვარამაძე სწერდა: „არ იქმნა ვერ მობრძანდით ჩვენს მხარეს, რომ მოგველაპარაკნა საჭირო საგნებზედ. მეც მდგომარეობა ნებას არ მაძლევს და ასრე რჩება საქმე“.[14] ის, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, ამას ხელი არ შეუშლია მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ორი დიდი მამულიშვილის თანამშრომლობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. დიმიტრი ბაქრაძე სისტემატურად უგზავნიდა არქეოლოგიური საზოგადოების წერილებსა და წიგნებს. ივანე გვარამაძე კი თავის მხრივ აწვდიდა ცნობებს სამცხე-ჯავახეთში მოძიებული მასალების შესახებ. დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ივანე გვარამაძემ თავისი ერთ-ერთი ისტორიული ნაშრომი „ძველისძველი ისტორიული ცნობები მესხ ქართველთა ლინგვისტურად“ უძღვნა „უმორჩილესად პატივცემულს ქართველთ ისტორიკოსს ბატონ დიმიტრი ბაქრაძეს“.[15] თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის კვლევაში.



გრიგოლ ბურჭულაძე

გრიგოლ ბურჭულაძემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა, ერთი ათეული წელი იმსახურა ქალაქ ახალციხეში. 1891 წლის იქლისში სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებით გადაიყვანეს ახალციხის საქალაქო სასწავლებელში. ადგილოვრივმა საზოგადოებამ იმთავითვე დაინახა მისი ღირსებები, დაუშრეტელი ენერგია და მამულის სიყვარული. ამიტომაც იყო, რომ სულ მალე, იმავე წლის სექტემბერში ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ მდივნად აირჩია. ამასთანავე დაევალა ქალთა სკოლის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა მთავრობის წინაშე სასკოლო საკითხებში. იმ პერიოდში, თავის დროზე ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის ძალისხმევით დაარსებული ქალთა სკოლა,

იყო ორ განყოფილებიანი. გრიგოლ ბურჭულაძემ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა სკოლის მიმართ, რაც იმაში გამოიხატა, რომ მისი თაოსნობით ქალთა სკოლა ოთხწლიანი გახდა. სკოლის პროგრამა კი დაუახლოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლის პროგრამას. ქალთა სკოლისათვის ეს იყო უდიდესი წარმატება.

გრიგოლ ბურჭულაძემ სკოლისათვის მხარდგომა იმ მხრივაც გამოიჩინა, რომ იზრუნა იმაზე, რათა მას საკუთარი შენობა ჰქონოდა. ქალთა სკოლა დაარსებიდან, 1871 წლიდან, მოყოლებული კერძო სახლში იყო განთავსებული. მისი თაოსნობით ახალციხის ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო სკოლისათვის სახსრების შეგროვება და 1896 წელს შენობის აგება, რაც ერთი წლის თავზე წარმატებით დაგვირგვინდა. ქალთა სკოლას ოთხოთახიანი საკუთარი შენობა ჰქონდა.[1]

მესხეთზე მზრუნველ მოღვაწეს მხარში ედგნენ ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების წევრები (ეს საზოგადოება 1870 წელს დააარსა ანა ღოღობეიძე-მუსხელიშვილმა): მარიამ გამრეკელი, კონსტანტინე გვარამაძე, კონსტანცია და მიხეილ მეფისაშვილები, ნიკო შიუკაშვილი, ევგენია ასათიანი, ანა ხახუტაშვილი და სხვანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში მოქმედი კერძო სკოლა ერთადერთი ქალთა სკოლა იყო მთელს სამცხე-ჯავახეთში. XIX საუკუნის 90-იან წლებში სასწავლო ოლქის მზრუნველმა და სახალხო სკოლების დირექტორმა მოინდომეს მისი სახალხო სკოლების დირექციისათვის გადაცემა. ეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, გრიგოლ ბურჭულაძეს დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ ქალთა სკოლა ისევ კერძო სკოლად დარჩენილიყო და დამოუკიდებლად განეგრძო არსებობა.


უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ბურჭულაძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა სამცხე-ჯავახეთში პირველი ბიბლიოთეკის დაფუძნების საქმეშიც. კერძოდ, 90-იანი წლების დასწყისში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ადგილობრივი მოსახლეობის სახელით, მოხსენება წარუდგინა ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. რამდენადაც საზოგადოებისა და მოსახლეობის სურვილი თანმხვედრი აღმოჩნდა, ქალაქ ახალციხეში სახალხო ბიბლიოთეკა დაფუძნდა 1895 წლის 27 აგვისტოს ქალაქის ძველ ნაწილში – რაბათში პაველ ერეკლიშვილის ალიზიან სახლში.[2] გრიგოლ ბურჭულაძემ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ახლადდაარსებული ბიბლიოთეკის მიმართ. კერძოდ, შემოიღო მკითხველთა და ხელისმომწერთა წიგნები, შეუდგინა სისტემატური კატალოგი, შეუძინა ბევრი ქართული წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. ამიტომაც წერდა გაზეთი „ივერია“: „ახალციხის ქართველი საზოგადოება ჯერ ხომ დიდი მადლობელია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მერე გრიგოლ ეესეევის ძე ბურჭულაძესი, რომელიც ძალიან ერთგულად იღწვის წიგნთსაცავის წარმატებისათვის...“[3]

როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს გრიგოლ ბურჭულაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ ინტელიგენციასთან. ყველა სასიკეთო საქმეს სწორედ მათი მხარდგომითა და დახმარებით აგვარებდა. იგი დიდად აფასებდა ამ კუთხის განსაკუთრებულ მოამაგეს და გულშემატკივარს ივანე გვარამაძეს. იყო მისი თანამედროვე და თავის თვალით ხედავდა მის მრავალმხრივ მოღვაწეობას. მესხი მამულიშვილისადმი მისი კეთილგანწყობა კარგად ჩანს მისადმი გაგზავნილ წერილში. „ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია შეგატყობინოთ, გუშინ რაბათში დაბეჯითებით მითხრეს და დამარწმუნეს, რომ თქვენზე საჩივრის გაგზავნას აპირებენ მინისტრთან და პროკურორთან, რადგანაც ვითომც თქვენს სინდიკს იაკობ თუმანიშვილს ყველაზე მაღლა აყენებთ. ხალხი თხოულობს: სინდიკმა ანგარიში ჩაგვაბაროს და ახალი არჩევნები მოხდესო... საჩივარი მზად არის და ორშაბათს ან სამშაბათს უნდა გააგზავნონ... დიდათ მოხარული ვიქნები, თუ ჩემი წერილი ცოტა ნაყოფს მაინც მოიტანს, მოტივე ვინ არის ამ საჩივრისა არ ვიცი. მარად თქვენი პატივისმცემელი

და ერთგული გრიგოლ ბურჭულაძე".[4] (აღნიშნულ წერილში საუბარია ივანე გვარამაძის ეროვნული მოღვაწეობის მოწინააღმდეგეთა ერთ ჯგუფის მიერ შეთითხნულ საჩივარზე.) წინამდებარე წერილით, გრიგოლ ბურჭულაძემ გარდა იმისა, რომ მესხ მოღვაწეს თავისი ერთგულება დაანახა, ასევე მას მისცა საშუალება, რომ თავიდან აეცილებინა კიდევ ერთი უსიამოვნება.

გრიგოლ ბურჭულაძემ ერთი ათეული წლის განმავლობაში, 1891-1901 წლებში, ქალაქ ახალციხეში მოსახლეობას დიდი სამსახური გაუწია, ამიტომაც დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა.



ნიკო შიუკაშვილი

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმოამდგენელი იყო ნიკო შიუკაშვილი. როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა მას დიდი წვლილი მიუძღვის მესხეთის კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ახალციხეში ყოფნისას (1894-1907 წწ.) მისი მოღვაწეობის ძირითადი ასპარეზი იყო სკოლა და თეატრი. მას დამთავრებული ჰქონდა სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1894 წლიდან მუშაობდა ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში. ჩამოსვლისთანავე იგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობაში. კერძოდ, ახალცი-

ხის დრამატული დასის მოღვაწეობაში. დაუახლოვდა ადგილობრივ ინტელიგენციას. იგი ჩამოსულ მსახიობთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდა და როგორც სპექტაკლების დამდგმელი და მსახიობი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელს კუთხეში. გრიგოლ კაკიაშვილი მიუთითებდა, რომ ის იყო დრამატული დასის სული და გული, სპექტაკლების დამდგმელი და მსახიობი. „ჯერ კიდევ ახალციხეში მასწაელებლად ყოფნისას ხელმძღვანელობდა დრამატულ დასს, მისი ინიციატივით ეწყობოდა საქველმოქმედო წარმოდგენები. ერთხელ დასმა ვეღარ გამონახა სათანადო პიესა. ნიკოს სამკვირაში დაუწერია დრამა: „გამხმარი ფოთოლი," დასის წევრებისათვის კი უთქვამს: ეს პიესა თბილისიდან ჩემმა მეგობარმა გამომიგზავნაო. წაუკითხავს კოლეგებისათვის, ახალი ნაწარმოები ყველას მოსწონებია, დრამა მოკლე დროში მოუმზადებიათ და სცენაზე წარმოუდგენიათ. პიესას მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. დასის წევრები წარმოდგენის დამთავრებისთანავე მიმხვდარან რომ ეს დრამა ნიკოსია და სპექტაკლის დამთავრებისთანავე მისთვის ოვაცია გაუმართავთ, თაიგულიც მიურთმევიათ",[1] – გადმოგვცემს გრიგოლ კაკიაშვილი. მოხსენიებული პიესა ქალაქ ახალციხის თეატრში 1906 წელს დადგეს. ნიკო შიუკაშვილის შესახებ ასევე საინტერესო მასალები აქვს მოძიებული ილია მაისურაძეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ერთ-ერთ მკვლევარს. მის არქივში დაცულია წერილი – გამოჩენილი დრამატურგი, პედაგოგი და მოღვაწე – ნიკო შიუკაშვილი.[2]

მოხსენიებულ წერილში ვკითხულობთ: „პირველი წარმატებით გამხნევებულმა ახალციხეშივე ყოფნისას ზედიზედ დაწერა სხვა პიესებიც: ოთხმოქმედებიანი პიესა – „მეგობრობა" („გამხმარი ფოთლის" გაგრძელება), „სულელი", „ციცინათელა", „მთის ზღაპარი", „ბერიკაობა" და ა.შ. ყველა მათგანი წარმატებით დაიდგა ახალციხის თეატრში. ნიკო შიუკაშვილი იყო ავტორი ოცდაათამდე ნაწარმოების. ახალციხეში მართავდა წარმოდგენებს ე.ი გრიგოლ კაკიაშვილისა და ილია მაისურაძის მიერ მოძიებული მასალები ცხადყოფს

რომ ნიკო შიუკაშვილმა, რომელიც იმ დროის ცნობილი დრამატურგი გახლდათ, როგორც დრამატურგმა პირველი ნაბიჯები ახალციხის თეატრის სცენაზე მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ახალციხეში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ცნობილია ისც, რომ ნიკო შიუკაშვილი თავის პიესებს პირველად წასაკითხად უგზავნიდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ყიფშიძეს (ფრონელს), რომელიც თავის მხრივ აღფრთოვანებული იყო მისი კარგი ქართულით, თუმცა აძლევდა შენიშვნებასაც და საჭირო რჩევებსაც.[3]

ახალციხეში იგი აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. მან დიდი ამაგი დასდო სახალხო განათლების საქმეს, ეხმარებოდა ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს. კერძოდ, უფასოდ ურიგებდა სახელმძღვანელოებსა და სასკოლო ნივთებს, ექომაგებოდა დაბეჩავებულ გლეხკაცობას და აკრიტიკებდა ბიუროკრატ მოხელეებს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ის დასჯის მიზნით ახალციხიდან ახალქალაქში გადაიყვანეს დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც დიდხანს აღარ გაჩერდა, იმოღვაწა 1908 წლამდე.

ნიკო შიუკაშვილს, სამცხე-ჯავახეთიდან წასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი და თანამშრომლობა მესხ მოღვაწეებთან. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მხარეში მოღვაწეობას, თავის ცხოვრების განსაკუთრებულ წლებად მიიჩნევდა. 1910 წელს იგი კონსტანტინე გვარამაძეს სწერდა: „გამარჯობა კოსტა! როგორ მოგიკითხოთ შენ და ჩემი ძვირფასი ახალციხე. კარგა ხანია არ შეგხმიანებივარ, მაგრამ ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო ხანა ახალციხეს ეკუთვნის“.[4] აცნობებდა რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა დაებეჭდა მისი ორი დრამა და რამდენიმე ეგზემპლარს გაუგზავნიდა. ახალციხის თატრალურ დასს იგი თბილისიდანაც აწვდიდა თავის ახალ პიესებს.

ნიკო შიუკაშვილმა, როგორც მსახიობმა და დრამატურგმა, თავისი მოღვაწეობით, იმ პერიოდში უდიდესი წვლილი

შეიტანა მესხეთში თეატრალური ცხოვრების განვითარებაში. თეატრი იყო კულტურის ერთ-ერთი კერა, სადაც თავანკარა ქართულს ისმენდა მაყურებელი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაზე და კულტურის ამაღლებაზე. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის მოსახლეობის განვითარებაში თავისი ათწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობით.



სერგი მაკალათია

მესხეთის ისტორიის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა სერგი მაკალათიამ, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების მიერ 1937 წლის ზაფხულში მესხეთში განხორციელდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა სერგი მაკალათია. ორი თვის განმავლობაში ექსპედიციამ მოიძია და შეკრიბა მდიდარი მასალა. მისი დიდი ნაწილი დამუშავდა და სერგი მაკალათიას ავტორობით 1938 წელს გამოიცა „მესხეთ-ჯავახეთი“ (ისტორიულ-ეთნოგრაფიუ-

ლი მიმოხილვა). ნაშრომს თან დართული აქვს სერგი მაკალათიას მიერ შესრულებული საინტერესო ფოტო-სურათები და ნახაზები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენიებული ექსპედიციის წევრები იყვნენ: ილია მაისურაძე და გიორგი გოგოლაძე, რომლებმაც ჩაიწერეს ფოლკლორული მასალა და ნაშრომში ერთ ნაწილად შევიდა. საერთოდ, ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: ისტორიული მიმოხილვა, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, ფოლკლორი.

სერგი მაკალათიამ ნაშრომის წინასიტყვაობაში განმარტა, თუ რატომ მოეწყო ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში: „მესხეთი შოთა რუსთაველის სამშობლოა და რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომ მასზე გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს და ამ კუთხეს ღირსეულად ვაფასებდეთ“. 1937 წელს შესრულდა რუსთაველის დაბადებიდან 750 წელი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა ავტორი მკითხველს განუმარტავდა, რომ მესხეთი იყო მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე საქართველოსი და განუსაზღვრელი იყო მისი როლი: „მესხეთ-ჯავახეთი ჩვენი სამშობლოს მნიშვნელოვანი კუთხეა, რომელმაც ისტორიულ წარსულში განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურების საქმეში. იგი იყო საქართველოს მეწინავე სადროშე და მას შემოსეული მტრებისაგან მრავალი აოხრება და სიდუხჭირე განუცდია. მესხეთ-ჯავახეთის ტრაგედია განსაკუთრებით იწყება მე-16 საუკუნიდან, როდესაც იგი ოსმალეთის სულთანის პოლიტიკამ მოსწყვიტა დედა-საქართველოს, გაამაჰმადიანა და გადაგვარების გზაზე შეაყენა.

ოსმალეთისა და რუსეთის თვითმპყრობელობამ მე-19 საუკუნეში ძველი მესხეთი ნანგრევად აქციეს, მოსახლეობა განადგურდა და დაკარგა ეროვნული თვითშეგნება. გამაჰმადიანებულმა დარბაისელმა მესხმა თანდათანობით დაივიწყა თავისი მშობლიური ენა და იგი თავისივე სამშობლოში გადაგვარდა“.[1]

სერგი მაკალათია, რამდენადაც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, იყო უფროსი მეცნიერ მუშაკი და საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების სწაელული მდივანი, მას მოუხდა მონაწილეობის მიღება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში. კერძოდ, 1937 წელს ქალაქ ახალციხეში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაარსდა საქართველოს სახკომსაბჭოს 10 იანვრის №25 დადგენილების თანახმად.

სერგი მაკალათიამ უდიდესი შრომა გასწია მუზეუმის შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში. ახლად დაარსებული მუზეუმისათვის უპიველესი მნიშვნელობა ენიჭეოდა მისთვის ექსპონატების მოძიება-შეკრებას, რათა შექმნილიყო ფონდიც და შესაბამისად საგამოფენო დარბაზებიც. ორივე ერთად უზრუნველყოფდა მხარის ისტორიის შესწაელა-წარმოჩენას. სერგი მაკალათია იყო არა ერთი კომისიის წევრი, რომელიც არჩევდა და აფასებდა სამუზეუმო ექსპონატებს. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის საარქივო მასალებში მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული. „1937 წლის 21 ივლისს ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში მოქალაქე რაფიელ სტეფანეს ძე საკაძემ შესაძენად წარმოადგინა ქალის ქართული კოსტიუმი... კომისიამ წარმოდგერნილი კოსტიუმი გასინჯა, სცნო სამუზეუმოდ და შეაფასა ექვსას მანეთად. კომისიის წევრები: სერგი მაკალათია, ილია მაისურაძე. არჩილ გვარამაძე.[2] იმავე საქმეში მითითებულია, რომ კომისას იმავე წლის 22 ივლისს თამარ ივანეს ასულ გვარამაძე-მაისურაძისაგან შეუძენია ექვსი დასახელების ნივთი.[3]

20 ივლისის მდგომარეობით კომისიამ ასევე გასინჯა და სამუზეუმოდ სცნო როზა ივანეს ასულ მეფისაშვილის მიერ წარმოდგენილი ფარჩის ახალუხი ზურგზე და სახელოზე სპარსული წარწერებით.[4]

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ასევე ინახება 1938 წლის 14 მაისის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის დავით ლობჟანიძის

მოწვევით შემდგარი კომისიის დასკვნა. კერძოდ ის, რომ კომისიამ (წევრები სერგი მაკალათია და სარგის ცაიშვილი) გადასინჯა კონსტანტინე გვარამაძის ოჯახში დაცული სამუზეუმო ხასიათის ნივთები, წიგნები, არქივი და სასურველად სცნო ამ ქონების მთლიანად შეძენა და მუზეუმში გადატანა. მუზეუმში გადატანას დაექვემდებარა კონსტანტინე გვარამაძის პირადი ბიბლიოთეკაც".[5]

უნდა აღინიშნოს, რომ სერგი მაკალათიას მითითებით, მუზეუმის დაარსების პირველ პერიოდში, სამცხე-ჯავახეთში იგზავნებოდნენ სხვადასხვა პიროვნებები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მუზეუმისათვის ადგილობრივი მოსახლეობისაგან საჭირო ნივთებისა და მასალის მოძიება-შეძენა. ამაზე მეტყველებს სერგი დანელიას მიერ გაცემული ცნობა: „ამხანაგი ილია მაისურაძე საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების მიერ მივლინებულია მესხეთ-ჯავახეთში ერთი თვით და მას ევალება შეკრიბოს ხალხური სიტყვიერებების მასალები. ამ სამუშაოებისათვის მას მიეცა რვაასი მანეთი.

ამხანაგი მაისურაძე თანახმაა ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისათვის შეაგროვოს მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიკა, სახელწოდებათა ისტორიულ-ეთნოგრაფიული განმარტებით. ასეთი სამუშაოს შესრულება მუზეუმისათვის საჭიროა და მუზეუმმა სასურველია ამხანაგ მაისურაძეს მისცეს ხარჯების დასაფარად ორას ორმოცდაათი მანეთი. სერგი მაკალათია, 17. 03. 1937".[6]


აღსანიშნაია, რომ ილია მაისურაძემ იმავე წლის აგვისტოში ასევე შეასრულა – ქალაქ ახალციხის ძველი ნაწილის უბნების ტოპონიმიკა, სახელწოდებათა ისტორიულ-ეთნოგრაფიული განმარტებით, როგორც ჩანს სერგი მაკალათია დაინტერესდა აღნიშნული მასალებით, შეამოწმა და ავტორს გაუწია რეკომენდაცია, სანამ მას ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცემდა. მან უშუალოდ ნაშრომს გაუკეთა რეზოლუცია: „ახალციხის მუზეუმისათვის საჭიროა მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიკის შეკრება და მათი ისტორიულ-ეთნოგრაფიული გაშუქება. სერგი მაკალათია 17. 08. 1937".[7]

1937 წლის 2 აგვისტოს სერგი მაკალათია მუზეუმის დირექტორს დავით ლობჟანიძეს წერილით ატყობინებდა, რომ ამხანაგი არჩილ გვარამაძე მესხეთ-ჯავახეთში მიელინებული იყო ერთი თვით და მას დავალებული ჰქონდა შეეკრიბა ცნობები გეოგრაფიული მდებარეობისა და ლანდშაფტის შესახებ".[8]

როგორც ჩანს არჩილ გვარამაძის სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობამ მუზეუმის დირექტორის აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია. იგი სერგი მაკალათიას წერდა: „გულს უხარია, რომ ღირსეული მემკვიდრეა დიდი ივანე გვარამაძისა. თვითონ შემოგვთავაზა მუშაობის გეგმა. შეგვიკრეფს ცნობებს რაიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და ლანდშაფტების შესახებ. ასევე იმუშავებს პალეოტოლოგიური მასალის შევსების მიზნით".[9]

უნდა აღინიშნოს, რომ სერგი მაკალათია შემდგომ პერიოდშიც განაგრძობდა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე ზრუნვას. 1943 წელს, როდესაც იგი ქალაქ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი იყო, ილია მაისურაძემ მას შესაძენად წარუდგინა „მესხური სიტყვიერების მასალები". სერგი მაკალათიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ ის მასალა, რამდენადაც სამცხე-ჯავახეთის სულიერ კულტურას ასახავდა, შეეძინა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. აღნიშნულის თაობაზე მან წერილით მიმართა ახალციხის მუზეუმის დირექციას. ილია მაისურაძის მიერ შედგენილი „მესხური სიტყვიერების მასალები" შეიძინა ახალციხის მუზეუმმა, იგი ხელნაწერთა ფონდის ერთ-ერთი შესანიშნავი ექსპონატია (№3067), მას ერთვის სერგი მაკალათიას მოხსენიებული წერილიც.[10]

სერგი მაკალათიამ თავისი მოღვაწეობით უდიდესი კვალი დაამჩნია სამცხე-ჯავახეთს. გარდა იმისა რომ დიდი წვლილი შეიტანა ამ კუთხეში მუზეუმის დაარსების საქმეში, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციისა და მის მიერ მიელინებული მკლევარების მიერ მოხდა ამ კუთხის ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ისტორიული მასალების მოძიება და გადარჩენა. მან თავისი საქმიანობით შექმნა და გადაარჩინა მესხეთის საგანძური.



გიორგი ბოჭორიძე

გიორგი ბოჭორიძის სამსახურეობრივმა მდგომარეობამ – საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლობამ, დიდად განაპირობა მის მიერ ექსპედიციების მოწყობა ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, საინგილოში, გუდამაყრის ხეობასა და თუშეთში. რის საფუძველზეც თავი მოუყარა ისტორიული ნივთებისა და საარქივო მასალების მდიდარ კოლექციას.

გიორგი ბოჭორიძის მიერ, 1932-1933 წლებში, სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ექსპედიციის მასალები ათწლეულების განმავლობაში საარქივო მასალას წარმოადგენდა, რომელიც გამოსაცემად მოამზადა და გამოსცა, „მოგზაურობა სამცხე-

ჯავახეთში“, 1992 წელს, მეცნიერთა ჯგუფმა დევი ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

1932-1933 წლებში გიორგი ბოჭორიძემ შეისწავლა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. დევი ბერძენიშვილის მითითებით, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ ეს იყო პირველი მოგზაურობა ამ მხარეში, რომელსაც მაღალი კვალიფიკაციის ისტორიკოსი ატარებდა. ეს იყო კომპლექსური ექსპედიცია. იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ ისტორიული ძეგლების შესწავლით. შესწავლილ იქნა მეურნეობის დარგები, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური მდგომარეობა, ხალხური გამოთქმები, ეპიტაფიები და ა.შ. ამასთანავე, იგი ღირებულ რეკომენდაციებს აძლევდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს ძეგლების დაცვა-აღდგენის საკითხებზე. ადგილობრივ მოსახლეობაში არჩევდა ძეგლების მცველთა შესაფერის კანდიდატებს.[1]

გიორგი ბოჭორიძემ მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში იმით დაიწყო, რომ უპირველესად ამოწერა ისტორიულ ძეგლების სია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. იგი ფიქრობდა ახალქალაქის რაიონის შესწავლასაც, მაგრამ ვერ განახორციელა. თუმცა მის მიერ ამ რაიონის ძეგლების სრულ სიას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

გიორგი ბოჭორიძემ 1932 წლის 13 ოტომბერს სიძველეთა დაცვის კომიტეტის სახელზე გააკეთა მოხსენება, სადაც დეტალურად აღწერა თავისი მუშაობის შედეგები. მოხსენებაში მიუთითებდა, რომ სამცხეში ისტორიული ძეგლები, ადგილობრივი რწმუნებულის კონსტანტინე გვარამაძის მიერ მთლიანად აღრიცხული იყო და მათი დაცვის საქმეც კარგად იყო მოწყობილი. ასევე ცნობილი იყო მწერლობაში. აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო უცნობი და იქვე ასახელებდა მათ. ასევე მიუთითებდა რომ მოიძია და შეაგროვა საინტერესო ისეთი წიგნები, როგორიც იყო სომხურ-ქართული ლექსიკონი XIX საუკუნის, წირვის წიგნი მინაწერებით და ა.შ.

გიორგი ბოჭორიძეს მოხსენებაში ასევე მოცემული აქვს ზოგიერთ ძეგლის: ვარძიის, ხერთვისის ციხის, საფარის ტაძრის, ჭულევისა და ზარზმის ეკლესიების, სხვადასხვა ადგილზე ნანახი ჩუქურთმიანი, და წარწერიანი ქვების მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად დაასკვნის დასახელებულ ძეგლთა დაცვის მიზნით საჭიროებების შესახებ. კერძოდ, გარკვეული თანხების გამოყოფას მათი შეკეთება-დაცვის მიზნით. ამასთანავე საჭიროდ მიაჩნდა ახალი რწმუნებულების (ათის) დანიშვნა და მათთვის შესაფერი მანდატებისა და ინსტრუქციების გადაცემა.


მოხსენებაში ავტორმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კონსტანტინე გვარამაძეზე. იგი წერდა: „ბოლოს, მინდა ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას. ზემოხსენებული კუთხის საუცხოო მცოდნეა ძველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ადგილობრივი რწმუნებული კონსტანტინე გვარამაძე. კერძოდ, სიძველეთა დაცვის საქმეშიც მას დიდი წვლილი მიუძღვის. პირველად მან შექმნა მუზეუმი ახალციხეში, მან შეკრიბა უძველესი ხანის ნივთები და გადმოსცა საქართველოს მუზეუმს. მან აღრიცხა მთელი მხარის ისტორიული ძეგლები და მოაწყო ყველგან სიძველეთა დაცვის აპარატი. დღესაც იგი ფხიზლად და დაუზარელად ადევნებს თვალ-ყურს სიძველეთა დაცვას“.[2] ასეთი დახასიათების შემდეგ მიუთითებდა, რომ ეს პიროვნება გაუსაძლის გაჭირვებას განიცდიდა. დაასკვნიდა: ასეთი პირი ცოტად თუ მეტად მაინც სიძველეთა დაცვის კომიტეტმა უზრუნველყოფილი უნდა ჰყოს, მას საარსებო მინიმუმი მაინც უნდა ეძლეოდეს. შეიძლება ითქვს, რომ აღნიშნული მოხსენება იყო ერთგვარი შეჯამება გიორგი ბოჭორიძის მიერ სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული ექსპედიციისა.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ბოჭორიძის მიერ აღმოჩენილი და შეგროვილი ისტორიული მასალის ნაწილი გადატანილ იქნა თბილისში. ყოველივე ზემოთთქმულს ასაბუთებს 1932 წლის დეკემბერში, საქართველოს მუზეუმის დირექტო-

რის მოადგილის სახელზე გაგზავნილი მოხსენება. მოხსენებაში მითითებულია, რომ თბილსში ჩაუტანია შემდეგი მასალა: ფეტობნის ეკლესიის ქვა, ფეტობნის სტელა, წყისის სერის ჯვრის კვარცხლბეკი, იჯარეთის ეკლესიის ქვა, უდის სასაფლაოზე აღმოჩენილი სტელა.

როგორც მოხსენებიდან ჩანს, წყალთბილიდან ვალეს ჩაუტანია საფლავის სვეტის ნაწილი და ეკლესიის ქვა ასომთავრული წარწერებით, ადიგენიდან და ლაშედან ზარსმას გადაუტანია ეკლესიების ქვები ასომთავრული წარწერებით. როგორც აღნიშნული მოხსენებიდან ჩანს, გიორგი ბოჭორიძეს ექსპედიციის დროს საირმეში, ადგილობრივი მკვიდრის ბოლან-ოღლი დვალიშვილის სახლში, აღმოუჩენია უიშვიათესი რვაწახნაგოვანი სვეტი, შემკული ჩუქურთმებით. აცნობებდა, რომ საჭირო იყო მომავალში მისი გადატანა თბილისში ვარხანში, კურცხანის აგარაკში აღმოჩენილ ცხვართან ერთად.[3]

განუზომელია გიორგი ბოჭორიძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ექსპედიციების პერიოდში 1924-1934 წლებში აღრიცხა ცხრაასამდე ისტორიული ძეგლი, მოიძია ორასამდე ისტორიული ნივთი, ამდენივე დასტამბული წიგნი, ასეულობით ხელნაწერი წიგნი, სიგელ-გურჯები და სხვა მრავალი. სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობით ამ კუთხის ისტორიის ბევრი უცნობი ფურცელი აღადგინა. მის მიერ მოძიებული მდიდარი მასალა კი უკვალოდ გაქრობა-განადგურაბას გადაარჩინა და შემდგომი პერიოდისათვის სამეცნიერო კვლევის უტყუარი წყარო გახდა. მან თავისი ექსპედიციით უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორიის კვლევაში. ამსთანავე, ღირებული იყო მისი რეკომენდაციები სიძველეთა დაცვის კომიტეტისათვის ძეგლების დაცვის შესახებ და რწმუნებულთა შერჩევასთან დაკავშირებით.



ივანე კერესელიძე

ივანე კერესელიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის განვითარებაში. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ გიორგი ერისთავის მიერ დაფუძნებული თეატრი კვლავ აღორძინდა და ფუნქციონირებდა 1853-1856 წლებში. მან ასევე აღადგინა, იმ პერიოდში, ერთადერთი ქართული ჟურნალი „ცისკარი“, რომლის რედაქტორობითაც გამოდიოდა 1857-1875 წლებში. უფასოდ უგზავნიდა ჟურნალს თურქეთისაგან დაპყრობილ მესხეთის მოსახლეობას. იგი წერდა: „ჩემი მიმართულება იყო ბეჭდვა, რომ ქართველთა შორის ბეჭდვითი სიტყვა გამეერცო. მე ვცდილობდი, რომ ხალხში წერა-კითხვა შემეტანა.“ 1869

წელს მან აჭარაში არალეგალურად იმოგზაურა, რომ გასცნობოდა ხალხის მდგომარეობას. 1887 წელს მისივე რედაქტორობით გამოვიდა საქართველოს სამეურნეო გაზეთი „ცისკარი," რომელსაც ადრე „გუთნის დედის" სახელწოდებით გამოსცემდა.[1]

ივანე კერესელიძე თანამშრომლობდა და მიმოწერა ჰქონდა ივანე გვარამაძესთან მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ივანე კერესელიძის მიერ მესხი მოღვაწისადმი გამოგზავნილი რამდენიმე წერილი. წერილებიდან ცნებულობთ, რომ ივანე კერესელიძე ბევრ ინფორმაციას ფლობდა მის შესახებ და მისთვის ცნობილი იყო მესხი მამაული'შვილის მრავალმხრივი საქმიანობა. მათი ურთიერთობა ძირითადად 80-იან წლებ'ში დაიწყო, როდესაც ივანე კერესელიძემ განიზრახა გაზეთ „ცისკრის" გამოცემა. ერთ-ერთ წერილ'ში ატყობინებდა, რომ ამზადებდა გაზეთს გამოსაცემად. შესაბამისად სთხოვდა დახმარებას გაზეთის გავრცელებაში და გაზეთის ხელის მომწერთა მოძებნაში: „ახალციხის მაზრაში წარმოიდგინეთ, არც ერთი არ გვყავს ხელის მომწერი. ნუთუ მანდ იმდენი გავლენა არ გაქვთ, რომ ერთი ათიოდე გვიშოვნოთ".[2] მოახსენებდა, რომ უწინ, როდესაც ჟურნალ „ცისკარს" გამოსცემდა საკუთარ სტამბაში ბეჭდავდა და ხარჯი ნაკლები ჰქონდა. ეს გაზეთი კი სხვის სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო და დიდ თანხას მოითხოვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ივანე კერესელიძემ, თავის დროზე, საერთო ეროვნული საქმისთვის საკუთარი სახსრები და მამულიც კი არ დაიშურა.

ივანე კერესელიძემ, გაზეთ „ცისკრის" გამოცემისთანავე გაზეთები, ახალციხის მხარეში გასავრცელებლად, მიხეილ მეფისაშვილს გამოუგზავნა და დახმარებაც სთხოვა. იმედი ჰქონდა, რომ მიხეილ მეფისაშვილი დახმარებას გაუწევდა. იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „ნუთუ არ შეუძლიან შემოგვეწიოს და ხელი გაგვიმართოს. კარგად იცოდე მაგისი სახელი იქნება. ესეც კარგად იცით, რომ ქართველები ვართ,

რის სარწმუნეობისაც უნდა ვიყვნეთ, ერთი მიწა-წყლის შვილები ვართ". ივანეს სთხოვდა, რომ მეფისშვილისათვის მასაც ეთხოვა მათი დახმარება.[3]

ივანე კერესელიძე მარტო გაზეთის ხელის მომწერთა საკითხით არ იყო დაინტერესებული. მას სურდა, რომ გაზეთი გავრცელებულიყო სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში. რამდენადაც იგი სამეურნეო შინაარსის იყო და გარკვეულ დახმარებას გაუწევდა მათ. ასევე უნდოდა, რომ ივანე გვარამაძეს მის გაზეთთან ეთანამშრომლა, სისტემატურად დაებეჭდა სტატიები. ერთ-ერთ წერილში წერდა: „თქვენის კეთილის მოქმედება ბევრგზით მომისმენია. იმედი მაქვს ამ ჩვენ გულითად თხოვნას ქართულის სიტყვიერების სახელობით მიიღებთ... ეს გაზეთი „ცისკარი" როგორც დარწმუნდებით გახლავთ სამეცნიერო და სწაელაზედ დაფუძნებული. შემიტყვია თქვენი ქართული ენის სიყვარული და გთხოვთ დაეხმაროთ მწერლობით და განამშვენებდეთ თქვენის კალმით ჩვენს გაზეთს".[4] სწერდა, რომ გაზეთს ყოველთვის დროულად გაუგზავნიდა ფოსტით. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძემ თხოვნა აუსრულა ივანე კერესელიძეს: გაუჩინა გაზეთის ხელის მომწერნიც და აქტიურად თანამშრომლობდა მის გაზათთან. ერთ-ერთ წერილში ივანე კერესელიძე სწერდა: „თქვენი წერილები მივიღე შესახებ მეურნეობისა. მართლა მომეწონა და მართლადაც მადლობელი ვარ, რომ მეურნეობა აგრე დაწვრილებით გამოგიკვლევია... კიდევ და კიდევ განგიმეორებ ჩემ გულითად მადლობასა და იმედი მაქვს განაგრძელებთ მაგ თქვენს პატიოსანს და კეთილშობილურს შრომასა".[5] აღსანიშნავია ისიც, რომ ლუკა ისარლოვი, გაზეთის ცენზორი, პირადი დამოკიდებულების გამო, საშინლად ამახინჯებდა ხოლმე ივანე გვარამაძის წერილებს. მიუხედავად ამისა, მას ამ გაზეთთან თანამშრომლობზე უარი არ უთქვამს. ივანე კერესელიძე ერთ-ერთ წერილში აცნობებდა, რომ მისი საგაზეთო წერილი ცენზურამ ისე დაამახინჯა, რომ თავის წერილს ვეღარ იცნობდა. სწერდა ცენზორის ვინაობასაც: „თუ არ იცით ვინ გახლავთ ცენზორი ეს

არის: ლუკა სტეფანიჩი ისარლოვი, თქვენი სარწმუნეობისა - „ფრანგი. მეტად გვაწუხებს და ტყუილ უბრალოთ მართებლობასთან გვაბეზღებს. თქვენი გვარი რომ შეიტყო სრულებით გადაირია“.[6]

აღსანიშნავია, რომ ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამოსული – საქართველოს სამეურნეო გაზეთის „ცისკრის“ ფუნქციონირება დიდხანს არ გაგრძელებულა. მან მხოლოდ ოცდასამი ნომრის გამოცემა შეძლო. მიზეზი მრავალი იყო. უპირველესად უსახსრობა და მკაცრი ცენზურა.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე კერესელიძე, თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, დიდად აფასებდა და განსაკუთრებულ მოწიწებას გამოხატავდა მესხი მოღვაწის ივანე გვარამაძისადმი. მისი წერილები ყოველთვის ასეთი მიმართვით იწყებოდა: „უღრმესის გულით და სულით პატივსაცემო მამაო“. ეს იმიტომ, რომ იცოდა განუსაზღვრელი იყო მისი როლი მესხეთის სინამდვილეში – იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძილის სათავეში და მრავალმხრივ იღწვოდა ყოველივე ქართულის შესანარჩუნებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ივანე კერესელიძეს ხშირად უხდებოდა მესხი მოღვაწის შეწუხება მისი განსაკუთრებული ხელწერის გამო. ივანე გვარამაძეს ყველასაგან გამორჩეული კალიგრაფია ჰქონდა. წერდა ლამაზად გამოყვანილი და ამავე დროს მეტისმეტად მცირე ზომის ასოებით. სწორედ ასეთი კალიგრაფიის წყალობით შექმნა მან მსოფლიოში მეორე წიგნად აღიარებული ლოცვის წიგნი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი და განსაკუთრებულად აღფრთოვანებულა მსოფლიო მოგზაური – პრაისი.[7] უნდა აღინიშნოს ისიც, მისი ასეთი ხელწერის გამო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან თავისი წერილები ზოგჯერ უკან უბრუნდებოდა შემდეგი წარწერით: „...წერილად არის დაწერილი, გთხოვთ გადასწეროთ, რადგან ამ სახით ვერ წაგვიკითხავს“.[8] ბუნებრივია, ასეთ წერილებს არ შეეძლო მათი ურთიერთობისა და თანამშრომლობის დარღვევა...



ალექსანდრე ხახანაშვილი

ალექსანდრე ხახანაშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ისტორიკოსი იყო, რომელმაც თავისი შრომებით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლაში. სიძველეთა შესწავლის მიზნით იმოგზაურა საქართველოს ქველა კუთხეში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. მიმოწერა ჰქონდა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან. მათ შორის უცხოეთში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან. მას პოლემიკა ჰქონდა გამართული რუსულენოვან პრესასთან ქართველ კათოლიკეთა წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. შე-

საბამისად უხდებოდა სტატიების დაბეჭდვაც. მისი საქმიანობით დაინტერესებულნი იყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ ქართველი კათოლიკენი. 1900 წელს, სარატოვში მოღვაწე, ივანე ანტონოვი ივანე გვარამაძეს სწერდა: „ხახანაშვილის დაწერილი პასუხი წავიკითხე და მომეწონა. აბა ვნახოთ რა პასუხს მისცემენ სომხები. მეტის მეტად ცრუდ და ბოროტად გამოიყურება ის დამწერი სომეხი ვიღაც არის. თუ ქართულს გაზეთში დაბეჭდონ ხახანოვის სტატია გთხოვთ გამომიგზავნოთ მეც“.[1] 1901 წელს კი ივანე ანტონოვი მადლობას მოახსენებდა მასწავლებელს, რომ შეწუხდა და გადაუწერა ხახანაშვილის წერილი: „დიდ მადლობას მოგახსენებთ ესოდენი შრომისათვის, რომ ჩემთვის გადაგიწერიათ პასუხი ხახანაშვილის ბროშურასედ. ძრიელ კარგი საამური ამბები გავიგე...“[2]

მიხეილ თამარაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერებთან. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის კოლეგებთან – ისტორიკოსებთან. ამ მხრივ საინტერესოა მისი ურთიერთობა პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან. იგი ერთი იმათთაგანი იყო, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა მის მოღვაწეობასა და შრომებს. იგი მიხეილზე აღფრთოვანებული წერდა: „მიხეილ თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელის თხზულებისა წერა. მე პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს. ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცდასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდეს“.[3] ალექსანდრე ხახანაშვილმა, ჯერ კიდევ ზაქარია ჭიჭინაძის მონოგრაფიის გამოსვლამდე (1904წ), თავისი საგაზეთო წერილით 1900 წელს ქართველ საზოგადოებას გააცნო ევროპაში მომუშავე ქართველი მეცნიერის მოღვაწეობა და ღვაწლი სამშობლოს წინაშე: „მიხეილ თამარაშვილმა დაგვიმტკიცა რა შეუძლია ერთს ხელმოკლე ქონებრივად შევიწროებულს მოღვაწეს, როცა იგი მეცნიერულის აზრით არის გამსჭვალული. თამარაშვილის შრომას შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ისტორიისათვის... ქართველმა საზოგადოებამ უნდა იკისროს

ქონებრივი საშუალება ამ ძვირფასი შრომის აღსაბეჭდავად, რადგან თამარაშვილმა შესწირა სამშობლოს საქმეს არა თუ შრომა, არამედ ზნეობრივი და ქონებრივი ძალღონეც". ასთი შეფასების საშუალება მას მისცა მიხეილთან პირადმა ნაცნობობამ. იგი 1900 წელს სპეციალურად ჩავიდა რომში, რომ გაეცნო მიხეილიც და მისი დახმარებით მოეძია საჭირო ისტორიული მასალები. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიხეილი ივანე გვარამაძეს სწერდა, ალექსანდრე ხახანაშვილი რომში ჩავიდა იმისათვის, რომ შეკრიბოს დოკუმენტები, ვინაიდან სომხები ახლა რუსულ გაზეთებში გამოსულან ხახანაშვილის სტატიის წინააღმდეგო. ალექსანდრე ხახანაშვილს წერილი ქართველი კათოლიკეების შესახებ ჰქონდა დაწერილი. „ვიდრე ჩემთან მოვიდოდა, აქეთ იქეთ ეძებნა მაგრამ ვერაფერი ეშოვა. რა ნახა ჩემი დოკუმენტები დიდ აღტაცებაში მოვიდა. რაც უნდოდა ყველა წყაროები მივეცი... აქედან პარიზში წავიდა. იქიდან მობრუნდება რუსეთში თუ არა დაბეჭდამს თავის პასუხს", – სწერდა მიხეილ თამარაშვილი ივანე გერამაძეს.[4] ერთი წლის შემდეგ იგი ივანე გვარამაძეს კვლავ სწერდა, რომ ალექსანდრე ხახანაშვილმა, მისგან მიწოდებული მასალებით, დაამთავრა თავისი წერილის დაბეჭდა გაზეთ „მწყემსში". მიუთითებდა, რომ უკეთესი ფაქტები კიდევ ჰქონდა: „თუ სომხებს კიდევ აქვსთ რამე მის წინააღმდეგ ახლა გამოსცემენ. ამისათვის გთხოვთ რომ მანდაურ გაზეთებს, მეტადრე სომხებისას კარგად თვალყური ადევნოთ და თუ რამე დასწერეს მე მალე მაცნობოთ".[5]

მიხეილისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, განსაკუთრებით საყურადღებო იყო კოლეგების და მათ შორის ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ მისი შრომების შეფასება. ალ. ხახანაშვილი კი იყო აღფრთოვანებული მისი მოღვაწეობით, ნაშრომებით. ჯერ კიდევ წიგნად გამოცემამდე გაეცნო მის ნაშრომს „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის" – „მოულოდნელობით სავსე ისტორია" უწოდა და „შეუდარებელი მნიშვნელობის ძეგლად" მიიჩნეულდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას, ქართველ ისტორიკოსთა შორის, მიხეილი

მიაჩნდა ყველაზე დიდ ავტორიტეტად სასულიერო საკითხთა კვლევის საქმეში. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მოინდომა სახარებისა და სრულყოფილი ბიბლიის ქართულ ენაზე გამოცემა, რედაქტორობა მიხეილს შესთავაზა. მან კარგად იცოდა რომ ამ საქმეს მასზე უკეთ ვერავინ შეასრულებდა. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ იმ დროისათვის მიხეილ თამარაშვილი უკვე მუშაობდა თავის მომდევნო დიდტანიან ნაშრომზე – „ქართული ეკლესიის ისტორია“.

მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი თანამშრომლობდა სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანესთანაც. იგი რამდენჯერმე ესტუმრა სავანეს, როდესაც საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრების მოსანახულებლად მოგზაურობდა.

ალექსანდრე ხახანაშვილი ქართველ კათოლიკეთა დიდი ქომაგი იყო. ეს მრავალგზის დაამტკიცა. ამიტომაც იყო, რომ მისმა გარდაცვალებამ დაამწუხრა მთელ საქართველოსთან ერთად სავანეში მოღვაწენიც. „ჟურნალ-გაზეთებმა გვიან გვაცნობეს ფრიად სამწუხარო ამბავი ალექსანდრე ხახანაშვილის მოულოდნელი გარდაცვალებისა. ამ ძვირფასი და დაუღალავი მამულიშვილის დაკარგვამ უღრმესი მწუხარება გამოიწვია არა მარტო აქაურ ქართველ მოსწავლე ყმაწვილთა შორის, არამედ თვით მთელ სტამბოლის ქართველ საზოგადოებაში.

მთელი აქაური ქართველ კათოლიკეთა სახელით, განსვენებულის ჭირისუფლებს, წრფელის გულით მივუსამძიმრებ. სტამბოლი, ფერი-ქოი, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი“,[6] – წერდა შალვა ვარდიძე.

ამრიგად, ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობაში ერთგვარი ასახვა ჰპოვა მესხეთის თემამ და ქართველ კათოლიკეთა საკითხმა. არა ერთი სტატია მიუძღვნა. მათი ქომაგი და დამცველი იყო.



მოსე ჯანაშვილი

მესხეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მოსე ჯანაშვილს: ისტორიკოსს, ენათმეცნიერს, ეთნოგრაფს, პუბლიცისტს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს. იგი იყო ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელსაც ჰქონდა ნარკვევები საქართველოს კუთხეებზე და მათ შორის მესხეთზეც. ამ კუთხისადმი მისი დაინტერესება ძალზედ დიდი იყო, შესაბამისად უმაღლესი შეფასებაც მისცა: „მესხეთი არის აკვანი საქართველოს დიდებისა... არ შეიძლება დავიწყებული იქნეს აკვანი საქართველოს დიდებისა... მესხეთი ქართველებისათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“.[1]

მოსე ჯანაშვილი მეგობრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამედროვე ისტორიკოსთან – მიხეილ თამარაშვილთან. იგი იყო ერთ-ერთი კომპეტენტური შემფასებელი მიხეილის ნაშრომებისა. წლების განმავლობაში ევროპაში ცხოვრებამ მიხეილი იმაში დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს ფართო პროპაგანდა. ამიტომ, თავისი მესამე წიგნი „ქართული ეკლესიის ისტორია“ ფრანგულ ენაზე გამოსცა 1910 წელს. როგორც ჩანს, მიხეილ თამარაშვილის მორიგი შრომის ფრანგულ ენაზე გამოსვლამ როგორც ქართველი საზოგადოება, ისე უცხოელი მეცნიერები გააკვირვა და დააბნია. ამიტომაც იყო, რომ მას გარკვეული ახსნა-განმარტების გაკეთება დასჭირდა. მან, აზრი ნაშრომის ფრანგულ ენაზე გამოცემის აუცილებლობის შესახებ, უპირველესად გაუზიარა თავის თანამედროვე ისტორიკოსს მოსე ჯანაშვილს: „მეტად საჭიროდ დავინახე ამნაირი ისტორიის ფრანგულად გამოცემა, რადგან ევროპაში თითქმის სრულებით არ იციან საქართველოს ისტორია, და თუ იციან რამე ისიც არაჟულ-ყარეულად და შეცილებით თუ სომხებს და თუ რუსების შეცდომილი წერილების წყალობით“. მან სწორად მიიჩნია, რომ ეს ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს შესახებ ჯერ ევროპას უნდა გაეცნო. ქართულ ენაზე გამოცემის შემთხვევაში კი დიდი დრო დაიკარგებოდა სანამ მოხდებოდა მისი რომელიმე ევროპულ ენაზე თარგმნა. მიხეილის ჰხრიდან ეს სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი ქართველმა მკითხველმა მხოლოდ 1995 წელს მიიღო მშობლიურ ენაზე.

ქართველი ისტორიკოსებისათვის და მათ შორის მოსე ჯანაშვილისათვის მიხეილ თამარაშვილი იყო ერის ღირსეული შვილი და მაღალი დონის მეცნიერი. სწორედ მან მისცა მას, როგორც ისტორიკოსს და მის შრომებს განსაკუთრებული შეფასება. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში საფუძვლიანად მიმოიხილა მისი პირველი ნაშრომი: „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“, აღფრთოვანებულმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა: „წიგნს ქართველებისათვის

უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა, და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ქართლის ცხოვრება“ უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც“.[2] ამასთანავე, გამოხატა თავისი მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ავტორი საარქივო მასალას ყოველგვარი შემცირების გარეშე ცალკე დოკუმენტებად დაბეჭდავდა. რადგან ის დიდად წაადგებოდა ქართულ მეცნიერებას. მოგვიანებით შოთა ლომსაძე მიუთითებდა, რომ იმ პერიოდში მიხეილის მიზანი იყო ისეთი მასალის მოძიება და გამოცემა, რომელთაც მოსალოდნელი დაეის დროს სასამართლოზე წარადგენდნენ კათოლიკობის საკითხთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსე ჯანაშვილის მოსაზრება მიხეილ თამარაშვილისათვის მისაღები აღმოჩნდა. შოთა ლომსაძე მიუთითებდა, რომ იგი ბოლო დროს რომის არქივებში საქართველოს შესახებ მოძიებული მდიდარი დოკუმენტების ცალკე წიგნად გამოცემაზე ფიქრობდა.[3]

მიხეილ თამარაშვილმა თავისი მესამე წიგნის ფრანგულ ენაზე გამოცემით უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოს. ის იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც ევროპას საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორია მეცნიერულად გააცნო. ეს კი ძალზედ აუცილებელი იყო საერთოდ და მითუმეტეს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მებრძოლი საქართველოსათვის.



ნატო გაბუნია

XIX საუკუნის საქართველოში მძაფრი რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, როდესაც უმთავრესი საშრუნავი გახდა ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გადარჩენა, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად დიდი მისია დაეკისრა ქართულ თეატრს. სამცხე-ჯავახეთში თეატრის ისტორია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იმთავითვე თეატრის მისიად იქცა ამ კუთხის ქართველი მოსახლეობის კულტურული დაწინაურება და ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება. ქალაქ ახალციხეში თეატრის დაფუძნების ოფიცია-

ლურ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1874 წელი, როცა ოფიციალურად გაფორმდა მუდმივი თეატრალურ-დრამატული დასის ჩამოყალიბება. როცა ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში დაიდგა პირველი წარმოდგენა – ზურაბ ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“.[1]

ახალციხის თეატრალურ დასში მოღვაწე მსახიობებს შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამოღვაწეოდ ჩამოსული ინტელიგენცია, რომელიც ძირითად საქმიანობას უთავსებდა სასცენო მოღვაწეობას. მეოცე საუკუნის დასწყისის მდგომარეობით ახალციხის თეატრალური დასის მსახიობი ქალბატონები იყვნენ: ოლღა აბულაძე, ევგენია სავანელი, ანა მოლოზნი (მესხია), ნინო ლაზიევი (ლაზიშვილი), მარიამ გამრეკელი, ბარბარა ღოღობერიძე (გამრეკელი), ბარბარა ოქროპირიძე.[2] მოძიებული მასალებიდან ნათლედ ჩანს, რომ თეატრალური საქმისადმი დიდ ინტერესს და აქტიურობას იჩენდნენ როგორც ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ისე ადგილობრივი მცხოვრებნი. ამ ფაქტს გაზეთი „დროებაც“ აღნიშნავდა: „ახალციხეში პიესების როლების განაწილებაზე ერთი „ალიაქოთია“, ამიტომ კარგია სცენისმოყვარულთა სამუდამო დასი დაარსდეს“.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოს მესხეთში არა მარტო ახალციხეში არამედ ახალქალაქშიც აღორძინდა ქართული თეატრი. ქართულ პერიოდიკაში დაცული მდიდარი მასალა ერცელ ინფორმაციას შეიცავს თეატრის დაფუძნებლების რეპერტუარის, მსახიობთა შემადგენლობის და საერთოდ მისი ისტორიის შესახებ. როგორც ირკვევა ახალქალაქში ამ საქმის მოთავენი ყოფილან ბარბარე, ნინო და ლიზა თარხნიშვილები, რომელთაც დახმარებას უწევდნენ თვით თბილისის დრამატული დასის მსახიობები. მათ შორის იყო ნატო გაბუნია, რომელიც იმ დროის ყველაზე აღიარებული მსახიობი იყო. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში, როდესაც

საფუძველი ჩაეყარა ქართულ პროფესიულ თეატრს, ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ნატო გაბუნიამ. იგი ოცდაათი წლის განმავლობაში იდგა თეატრის სცენაზე.

მას XIX საუკუნის არტისტულ ლეგენდად მოიხსენიებენ. იგი იყო სახალხო მსახიობი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ძლერი ნებისყოფის ქალთა როლების შესრულებაში. თავისი ნიჭიერებით შეიყვარა ქართველმა ხალხმა. პირველი ქალი იყო, რომელმაც თარზე დაკვრით შეასრულა ქართული სიმღერები. მისთვის სპეციალურად დაწერეს პიესები: ილია ჭავჭავაძემ „მაჭანკალი“, აკაკი წერეთელმა „კინტო“, ალექსანდრე ცაგარელმა „ხანუმა“, დავით კლდიაშვილმა „დარისპანის გასაჭირი“ და ა.შ.

პროფესიული თეატრის პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თეატრების სპექტაკლებში და საქართველოს რეგიონებში მოქმედ დასებში. დიდია მისი ღვაწლის სენაკისა და ახალქალაქის თეატრალური დასების ცხოვრებაში. იმ პერიოდის ქართულმა პრესამ საინტერესო ინფორმაციები შემოინახა. 1888 წლის გაზეთი „თეატრი“ იტყობინებოდა, რომ ახალქალაქში წარმატებულად დაუდგამთ „ხანუმა“. „ხანუმას“ როლს თამაშობდა გაბუნია-ცაგარელისა, ტყუილ კონტრიანცისას ი. ცაგარელი, ტიმოთესას – ა. ნებიერიძე. გაბუნია-ცაგარელისას მიართვეს დიდი თაიგული და ბრილიანტის ბეჭედი. „აბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ქალაქს შეუძლიან თბილისის დრამატულ დასში დაიჭიროს არა უკანასკნელი ადგილი, თუ კი პირველ ხანებში მაინც ხელმძღვანელად ეყოლება ვინმე ამ საქმეში გამოცდილი პირი“.[4]

მოძიებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ნატო გაბუნია იმ პერიოდის თბილისის ქართული დასის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ხშირად თამაშობდა ახალქალაქის თეატრის სცენაზე. რის გამოც ჯავახეთის ქართველობა უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდა მის მიმართ. მ. გოგოლაშვილის – მესხეთის თეატრის ისტორიის მკვლევარის ცნობით, ნატო გაბუნია-ცაგარელს მონაწილეობა მიუღია

სპექტაკლში „ბაიყუშები“, მადლიერ მაყურებელს კი მისთვის მიურთმევია „ვეფხისტყაოსანი“ შემდეგი ადრესით: „დიდი ნიჭის პატრონი მხოლოდ მაშინ სდგას უმაღლეს წერტილზედ კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც დიდ ნიჭს მოსდევს დიდი გულკეთილობაც. ამ ორივე საუნჯით ასეა დაჯილდოებული ბუნებისაგან ნატალია მერაბის ასული გაბუნია ცაგარელისა, რომ ჩვენ ქართველ საზოგადოებისაგან არის ჩაწერილი იმ სასარგებლო წევრების სიაში, რომლის სახელითაც დღეს ასე ამაყობს ჩვენი ქართველობა. დღეს ჩვენი პატარა ახალქალაქის საზოგადოება მით არის ბედნიერი, რომ თავის თვალით ხედავს როგორც თქვენს დიდ ნიჭს, აგრეთვე თქვენ გულკეთილობასაც. ნატალია მერაბის ასულიო, ნიშნად პატივისცემისა მოურთმევია ჩვენს საზოგადოებას სახსოვრად როგორც საუკეთესო ჩვენი სცენის მოღვაწისათვის საუკეთესო ჩვენი მწერლის თხზულება.“[5] ნატო გაბუნიას ახალქალაქის თეატრის სცენაზე მოღვაწეობა, ჯავახეთში მისი დროდადრო ჩამობრძანება იყო მისი მხრიდან კეთილშობილობისა და მამულიშვილობის უზადო გამოელინება. ამ კუთხის მოსახლეობისათვის მისი სტუმრობა დიდი პატივიც იყო და იმდიც.

ახალციხესა და ახალქალაქში თეატრი იქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად, სადაც ღირსეული ადგილი ეჭირათ ადგილობრივებთან ერთად ჩამობრძანებულ ქალბატონებს. მათ თავიანთი უანგარო მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს მესხეთში თეატრის დაფუძნება-აღორძინების ეროვნულ საქმეში, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში. ამ წარმატებაში კი დიდი იყო მსახიობი ქალბატონების წვლილი.

* * *

XIX-XX საუკუნეთა მიჯნა ურთულესი პერიოდი იყო სამცხე-ჯავახეთისათვის – პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნულობის თვალსაზრისით. სარწმუნეობრივად სამ ნაწილად გახლეჩილი ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხე არსებობდა, ადგილობრივთა მიერ წარმოებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, საგანმანათლებლო მოღვაწეობამ და საერთოდ ქართველი ინტელიგენციის მხარდგომამ ამ მხარეს თავიდან აცილა გადაგვარება და დაიცვა ყოველივე ქართული.

მოძიებული მასალა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ქართველი ინტელიგენცია მხარში ედგა ადგილობრივ ინტელიგენციას. მათთან აკავშირებდათ საერთო ინტერესები, მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობა. კარგად გრძნობდნენ მათი საზიდი ტვირთის სიმძიმეს და შესაბამისად თანადგომის აუცილებლობას. განუსაზღვრელი იყო მათი წვლილი სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებაში. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალით დავინახეთ ბევრმა მათგანმა, წლების განმავლობაში, სამოღვაწეო ასპარეზად შეგნებულად აირჩია ეს კუთხე. მათ შორის აღსანიშნავია: ანა ღოღობერიძე მუსხელიშვილი, ივანე როსტომაშვილი, ილია ალხაზიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო შიუკაშვილი და სხვანი. ისინი სახელმწიფოსაჯარო სამსახურს უთავსებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, რითაც იხდიდნენ მამულიშვილურ ვალს. ზოგ მათგანს ამ კუთხეში არ მოუწია მოღვაწეობა, მაგრამ ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდა, საქველმოქმედო საქმიანობას უწევდა მხარის ქართველ მოსახლეობას, რასაც მრავალგზის გამოხატავდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის მიერ ქალაქ ახალციხეში საქველმოქმედო საზოგადოების დაფუძნება და ქალთა განათლების

საქმეში შეტანილი წვლილი. მის სკოლაში აღზრდილმა მესხმა ხელოვანმა ქალბატონებმა, თავიანთი ნამუშევრებით, სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, მსოფლიოს გააცნეს ქართული კულტურა. და, საერთოდ, დიდი წვლილი შეიტანეს საერთო ქართული კულტურის განვითარებაში, ასევე ადგილობრივი მესხი გოგონების განათლების საქმეში.

კელევამ გვიჩვენა, რომ ქართველ ინტელიგენციას კარგად მოეხსენებოდა ამ კუთხის წინაშე არსებული პრობლემები. ისინი ყველა ძალას მიმართავდნენ, რომ არ დაეკარგათ მესხეთის ქართველობა. მათი ყურადღება მრავალმხრივი იყო: სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ადგილობრივ ინტელიგენციასთან მიმოწერა, ამ კუთხის ისტორიული წარსულისა თუ დღევანდელობის შესწავლა-წარმოჩენა, თანამშრომლობა პრესაში, საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ ათობით სკოლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება, მესხ მოღვაწეთა შემოქმედების გამოცემა-გამომზეურება და ა.შ. მათ თავიანთი დამოკიდებულებით საქართველოსთან ახლად შემოერთებული კუთხის მოსახლეობას გაუწიეს დიდი მხარდგომა და მორალური თანადგომა, მშობლიური სიყვარული აგრძნობინეს და დაარწმუნეს იმაშიც, რომ უპირველესი იყო ეროვნება და შემდეგ სარწმუნოება. სარწმუნოებას არ უნდა გაეთიშა ქართველი ერი. სწორედ ამიტომ, ინტელიგენცია განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები გაკათოლიკებული და გამაჰმადიანებული ქართველების მიმართ.

მესხეთისადმი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულების საკითხის შესწავლამ ნათლად დაგვანახა ისიც, რომ მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მესხეთის ისტორია, მისი როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და წვლილი ქართული განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ამიტომაც იყო, რომ იმ პერიოდში მოღვაწე მეცნიერები

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ კუთხის მეცნიერულ შესწავლას და თავიანთი ექსპედიციებით, ნაშრომებითა და სამეცნიერო სტატიებით დიდი წვლილიც შეიტანეს ამ საქმეში. ამ მხრივ განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის, გიორგი ბოჭორიძის, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის), სერგი მაკალათიას და სხვათა დამსახურება.

აღნიშნულ პერიოდში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობა: მასწავლებლები, თვით სახელმწიფო მოხელეები და სასულიერო პირები. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფართოდ გავრცელდა განმანათლებლობა და მესხური განმანათლებლობის ორი კერა ჩამოყალიბდა. რამდენადაც მესხ განმანათლებელთა სამოღვაწეო ასპარეზი იყო სამცხე-ჯავახეთი და კონსტანტინოპოლი. ამ უკანასკნელს სათავეში ედგა პეტრე ხარისჭირაშვილი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მესხი განმანათლებლები უშუალოდ ივანე გვარამაძის, „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილი მოღვაწის, გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნოებრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დაწინაურება, განათლების გავრცელება, ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მესხური განმანათლებლობა, რომლის ჩამოყალიბებაც შიდა პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული, წინ უსწრებდა საერთო ქართულ განმანათლებლობას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში (1836-1846 წწ.) ჯერ სოფელ ხიზაბავრაში და შემდეგ ქალაქ ახალციხეში ფუნქციონირებდა კათოლიკე მღვდლის იოსებ ხუციშვილის მიერ დაფუძნებული სტამბა, რომლის უმთავრესი მისია იყო ხალხში განათლების შეტანა. ერთი ათეული წლის განმავლობაში არსებობის პერიოდში სტამბაში რამდენიმე ათეული წიგნი დაიბეჭდა, რომელიც მოსახლეობაში გაიბნა. იქ დაბეჭდილი წიგნებით ადგილობრივი

ქართველი მოსახლეობა წერა-კითხვას სწავლობდა და განათლებას იღებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სტამბა იმ პერიოდში ერთადერთი ქართული სტამბა იყო მთელს საქართველოში. საყურადღებოა ისიც, რომ იოსებ ხუციშვილმა საკუთარ სახლში ორი კერძო სკოლა გახსნა: ე.წ. „სავაჟებო“ და „საქალებო“. ეს მაშინ, როდესაც სამცხე-ჯავახეთში სკოლების რიცხვი ძალზედ უმნიშვნელო იყო.

საქველმოქმედო საზოგადოებებისა და განმანათლებლების ძალისხმევით XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში არა ერთი კულტურულ-საგანამათლებლო დაწესებულება დაფუძნდა, რომელთა ფუნქციონირებამ დიდად განაპირობა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნება, მათი გადაგვარების თავიდან აცილება. XX საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში, კი სწორედ იმ დაწესებულებების ბაზაზე აღმოცენდა შესაბამისი დაწესებულებები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი მოსახლეობის განათლებასა და კულტურულ დაწინაურებაში.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომი მკითხველს საშუალებას მისცემს ნათელი წარმოდგენა შეიქმნას XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელთა მესხეთთან თანამშრომლობაზე. ნაშრომი ასევე იძლევა, აღნიშნულ პერიოდში, სამცხე-ჯავახეთში განვითარებული მოვლენებისა და ადგილობრივი ინტელიგენციის მოღვაწეობის გააზრების საშუალებას, ნათელს ჰფენს ამ კუთხის ისტორიას.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ცნობილი ქართველი მამულიშვილების მოღვაწეობითა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, მიაწვდის მნიშვნელოვან და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მასალას.

Nato Kruashvili

Cooperation of Famous Public Figures with Meskheti (Edge of XIX – XX cc)

Summary

XIX c. was the most difficult period for Georgia in political, economic and national terms. Samtskhe – Javakheti was in the worst condition. This ancient part of Georgia after a long period of Turkish rule returned to its homeland which was under Russian self – government. The situation was complicated by the fact that over the centuries, as a result of historical events the population was divided into three parts in terms of religion: Orthodox, Georgian Catholics and Muslim Georgians. Therefore, the national consciousness of the local population was in danger. That is why it became the subject of care of the Georgian intelligentsia to maintain the national consciousness for the local inhabitants. Their care has been versatile. In particular, the work of representatives of the intelligentsia in this area over the years, frequent visits for years for various reasons, activities of charities, cooperation with local intelligentsia, coincidence of interests, arranging different types of expeditions, pedagogical activities, and so on. The materials found show that they had a great love for the indigenous region of Georgia. They considered it a respectful collaboration with the Meskhetian educators. The editors of Georgian magazines and newspapers endeavored to cooperate with them and present the history of the region, rules, customs, problems...

Ivane and Konstantine Gvaramadze, and Meskhetian educators in general, have been systematically collaborating with Georgian magazines and newspapers for years. Their various articles have been printed smoothly. The cooperation and the respect have not been one – sided. Ivane Gvaramadze dedicated the poem titled "Torture of Mikheil Gabron and one hundred and thirty Meskhetian nobles – the guards of the castle" to Sergi Meskhi – the Editor – in Chief of "the Droeba". He also dedicated one of his historical works to the famous historian Dimitri Bakradze. In 1908 Akaki received a so called "Meskhetian Folklore" from him for his

anniversary. Ivane Gvaramadze often hosted Georgian figures arrived in Samtskhe – Javakheti. At different times his guests were Zakaria Chichinadze, Akaki Tsereteli, Jacob Gogebashvili, Alexander Khakhanashvili, Ivane Rostomashvili, Alexander Froneli (Kipshidze), Ilia Alkhazishvili, Ekvtime Takaishvili, and so on. The Georgian intelligentsia highly appreciated the many sided work of the Meskhetian educators. Ivane Gvaramadze's attitude towards the Georgian intelligentsia can be clearly seen in one of his words about "Public Figures of the XIX c." He pointed out that XIX c. gave Georgia many talented figures.

Sasmtskhe – Javakheti History Museum's Manuscripts Fund preserves rich material, which reflects the attitude of Meskhetian educators, their cooperation with famous public figures. At the turn of the XIX – XX c.c. many Georgian scholars and figures became interested in the issue of Meskheti. Numerous archaeological, historical and ethnographic expeditions were organized under their leadership.In particular, we mean Ekvtime Takaishvili, Giorgi Bochoridze, Dimitri Bakradze, and others. The rich material retrieved and collected by them became an important source for a thorough study of the history of this region.

The Samtskhe – Javakheti History Museum's Manuscript Fund and Georgian Periodicals contain rich material that paints a clear picture of prominent public figures' attitudes towards Meskheti amd their cooperation with Meskhetians.

The found materials allowed us to present the cooperation of famous public figures: Ilia Chavchavadze, Jacob Gogebashvili, Akaki Tsereteli, Alexander Kipshidze (Froneli), Ana Ghoghoberidze, Niko Shiukashvili, Ekvtime Takaishvili, Dimitri Bakradze, Zakaria Chichinadze, Grigol Burchuladze, Ivane Kereselidze with this region. It should also be noted that they have done a great service to this area and its population through their many – sided work. With their help, the primary problem of the epoch - the preservation of national consciousness was solved. They made a great contribution to the establishment of cultural and educational institutions and, consequently, to the education and cultural advancement of the local population.

შესავალი

1. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ) №2829, გაზეთ „აეტონომიური საქართველოს“ რედაქციის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1906.

2. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №175, ივანე გვარამაძე, წამება მიხეილ გობრონისა, ხიზაბავრა, 1882.

3. გაზ. „წიგნის სამყარო“, №14, 1982.

4. გაზ. „დროება“, №219 – 1800.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2301, ვასილ გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1832, ვასილ გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №174, ქართული ლექსიკონი შედგენილი მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან, ქ. ახალციხე, 1893.

8. იქვე,

9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2691, პატრ ანდრია წინამძღვარის (სიმონათის) წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1895.

10. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4054, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.

11. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3042, ივანე გვარამაძე, სიტყვა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ.

12. გაზ. „საქართველო“, №218, 1917.

13. გოგოლაძე მ., ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, 2007.

ილია ჭავჭავაძე

1. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრ. ტ. IV, თბ., გვ. 11-12, 1955.

2. ასათიანი ლ., ქართული მწერლობა, თბ., გვ. 226, 1949.

3. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3977, ილია ჭავჭავაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3975, ივანე გვარამაძის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი.
5. გაზ. „ივერია“, №145, გვ. 1, 1903.
6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3042, ივ. გვარამაძის სიტყვა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ.
7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1831, ვასილ გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2283, ივანე გვარამაძის წერილი ლუარსაბ ბოცვაძისადმი.
9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4044, კონსტანტინე გვარამაძე, აკაკი წერეთლის ასი წლისთავის იუბილე.
10. გვარამაძე კ., სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა, ახალციხე, გვ. 2, 1907.
11. გვარამაძე კ., სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა, ახალციხე, გვ. 2, 1907.
12. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №927, გვ. 5.

იაკობი გოგებაშვილი

1. კოჟორიძე დ., „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, თბ. 1986.
2. გაზეთი „საქართველო“, №5, 1903.
3. გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი“, გვ. 4, 1868.
4. გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი,“ გვ. 4, 1868.
5. გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი,“ გვ. 4, 1868.
6. გაზ. „წითელი დროშა“, №9, 1961.
7. გოგებაშვილი ი., თხ. ტ I, 1952.
8. გაზ. „დროება, №20, 1872.
9. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. I, გვ. 20-21, 1952.
10. ნებიერიძე ა., „ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა“, გვ. 10, თბ. 1974.
11. გაზ. „ივერია“, №277, 1902.
12. გაზ. „წითელი დროშა“, №112, 1974.
13. გაზ. „დროება“ №15, 1880.

14. გაზ. „იერია“, №99-101, 1896.
15. ჟურნ. „მოამბე“ №9, 1896.
16. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №90, კ. გვარამაძე, კორესპოდენციები.
17. გაზ. ცნობის ფურცელი, №219, 1897, იგივე ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი №928.
18. ყრუაშვილი ნ., კონსტანტინე გვარამაძე, გვ. 72, 1999.
19. „სახალხო გაზეთი“, № 5, 1912.
20. „სახალხო გაზეთი“, № 5, 1912.

აკაკი წერეთელი

1. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4044, აკაკი წერეთლის შესახებ მოგონებანი მესხი კონსტანტინე გვარამაძისა, 1935, ქ. ახალციხე.
2. ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, (შემდეგში ი.მ.ფ.) საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი აკაკისადმი, 1880.
3. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2279, ივანე გვარამაძის ლექსი აკაკი წერეთლისადმი.
4. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი აკაკისადმი, 1908.
5. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი აკაკისადმი, 1899.
6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4044, კ. გვარამაძე, აკაკი წერეთლის ასი წლისთავის იუბილე.
7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4044, აკაკი წერეთლის შესახებ მოგონებანი მესხი კონსტანტინე გვარამაძისა, ქ. ახალციხე, 1935.
8. იგივე,
9. იგივე,
10. ს.ჯ.ი.მ. დამხმარე ფონდი, №116.
11. ჟურნ. „საბა“, გვ. 9, 2011.
12. ხელნაწერთა ინსტიტუტი მიხეილ თამარაშვილის არქივი (შემდეგში ხ.ი.მ.თ.ა.) საქმე 467, №407.
13. ხ.ი.მ.ა. საქმე 404.

14-15. გაზეთი „დროება“, №21, 1909, ქართული სამკითხველო სტამბოლში.

16. გაზეთი „დროება“, №101, 1909, აკაკის იუბილე სტამბოლში.

17. წერეთელი ე., „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი“, გაზეთი „კოლხიდა“, №156, 1911.

18. სტამბოლელი ქართველები, გაზ. დროება, №99, 1909.

19-20. სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, (შემდეგში ს.ქ.მ.ს.მ.) შიო ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი, 1911.

21. ს.ქ.მ.ს.მ. შიო ბათმანაშვილის წერილი რედაქტორისადმი, 1912.

22. გაზეთი „გამარჯვება“, ი. მაისურაძე, დომინიკე მუღაშაშვილი, №14, 1980.

ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე)

1. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 46, ილია მაისურაძე, ალ. ფრონელი.

2. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 46, ილია მაისურაძე, ალ. ფრონელი.

3. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ., №615, ილია მაისურაძე, ალ. ყიფშიძის დაბადებიდან ასი წლისთავი.

4. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. №435.

5. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 45, ილია მაისურაძე, ალ. ფრონელის დაბადებიდან ასი წლისთავი.

6. ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №5, 1975.

7. გაზეთი „ივერია“, №277, 1902.

8. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. №269.

9. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. №269, 1904.

10. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №172, 1905.

11. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. №517.

12. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 45, ილია მაისურაძე, ალ. ფრონელის დაბადებიდან ასი წლისთავი.

13. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ.6, №1601.

14. ფრონელი (ალ. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, გვ. 11, თედო სახოკია, 1991.

15. ფრონელი (ალ. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, გვ. 17-18, 1991.

16. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 45, ილია მაისურაძე, ალ. ფრონელის დაბადებიდან ასი წლისთავი.

17. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1943, ალექსანდრე ფრონელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

18. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №15, საქმე 47, ალ. ფრონელის დღიური, ლიტერატურული მატიანე №3-4, გვ. 265

ანა ღოღობერიძე

1. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. I, გვ. 20-21, 1952.

2. ფრონელი (ყიფშიძე), ალ. დიდებულუ მესხეთი, თბ. 1991.

3. კ. კეკელიძე, სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტე, № 425, 426,

4. მაისურაძე ი., ღოღობერიძე გ., ჟურ. „თეატრალური მოამბე“, №5, გვ. 54-55 1975.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4011, კ. გვარამაძე, მოკლე ისტორიული მიმოხილვა რაბათის დედათა სასწავლებლის არსებობისა და ა. ბ. ღოღობერიძე-მუსხელაშვილის ბიოგრაფია.

6. გაზ. „დროება“, №92, გვ. 3, 1909.

ექვთიმე თაყაიშვილი

1. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №2174.

2. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. საქღალდე №9. საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი, 1908.

3. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. საქღალდე №9. საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი, 1910.

4. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. საქღალდე №9. საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი, 1911.

5. აკად. ე. თაყაიშვილი, კრ. 1966, გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 28, 1966.

6. აკად. ე. თაყაიშვილი, კრ. 1966, გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 28, 1966.

7. ხელნაწერ. ინსტ. ე. თ. კოდი. 2034.

8. აკად. ე. თაყაიშვილი, კრ. 1966 მ. ჩიქოვანი, ექვთიმე თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება, გვ. 150-151.

9. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 192, 1989.

10. აკად. ე. თაყაიშვილი, კრ. 1966 მ. ჩიქოვანი, ექვთიმე თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება, გვ. 150-151

11. ევგენიო დალეჯიო დ'ალესიო, „ქართველები კონსტანტინეპოლში", 1921.

12. სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, მარკოზ ხითარიშვილის წერილი პიო ბალიძისადმი, 1914.

ივანე როსტომაშვილი

1. კოჟორიძე დ., განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 172, 1986.

2. ღოღობერიძე ბ., ივანე როსტომაშვილი, განმანათლებლობა საქართველოში.

3. მაისურაძე ი. ქართველი ენციკლოპედისტი, ივანე როსტომაშვილი, ს.ჯ.ი.ს.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, 1959.

4. მაისურაძე ი. ივანე როსტომაშვილი, ს.ჯ.ი.ს.მ. ი.მ.ფ. საქაღალდე №17, საქმე 56.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №1833, ივ გვარამაძის წერილი ივანე როსტომაშვილისადმი.

6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №1853, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №1840, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №1847, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №2045, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
10. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ №1841, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
11. გოგოლაძე მ., ილია ალხაზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 28, 2007.

დიდმიტრი ხახუტაშვილი

1. გაზ. „ივერია“, №189, 1903.
2. გაზ. ივერია, №189, 1903.
3. ლომსაძე შ., მესხები, გვ. 182, 1996.
4. გამრეკელი ვ., თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში, 1905.
5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4069.
6. „სახალხო გაზეთი“, №786, 1912.
7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1810/2, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების მასალები.
8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1810/18.
9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1810/11,12.
10. „სახალხო გაზეთი“, №633, 1916.
11. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2018, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1899.
12. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2053, დიმიტრი ხახუტაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1896.
13. ლომსაძე შ., მესხები, ზაქარია დიდიმამიშვილი, ახალციხის დღეები, გვ. 383-384, 1995.

ზაქარია ჭიჭინაძე

1. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1838, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1880.

2. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2026, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1880.

3. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2025, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1881.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2027, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1881.

5. ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ივანე გვარამაძე, „ვინმე მესხი", თბილისი, 1904.

6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2021, ზაქაია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1865, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1881.

8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2018, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1899.

9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2020, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

10. ლომსაძე შ., მესხები, გვ. 56, 1995.

11. ლომსაძე შ., მესხები, გვ. 152, 1995.

12. ზ. ჭიჭინაძე ზ., სამცხე-საათაბაგო, ქართველი კათოლიკენი სოფელ ხიზაბავრას, 1905.

13. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2018, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივ. გვარამაძისადმი, 1899.

ილია ალხაზიშვილი

1. გოგოლაძე მ. ილია ალხაზიშვილის ცხოერება და მოღვაწეობა, გვ. 7, 2007.

2. ალხაზიშვილი ი., წერილი გაზეთ დროებას, №25, გვ. 2, 1882.

3. ალხაზიშვილი ილია, გაზეთი „იერია", №78, გვ. 2, 1897.

4. ალხაზიშვილი ი., „წერილი ახალციხიდამ“,. გაზ. „ივერია“, № 84, გვ. 2, 1897.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2046, ილია ალხაზიშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1881.

6. ს.ჯ.ი.მ. ი. მ. ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ილია ალხაზიშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1881.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1079, 2, ვ. კოპტონაშვილი, ავტობიოგრაფია.

8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1079, 2, ვ. კოპტონაშვილი, ავტობიოგრაფია.

9. იქვე,

10. იქვე.

დიმიტრი ბაქრაძე

1. გაზ. დროება, №125, 1879.

2. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2024, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

3. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2026, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4652, დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4652, დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

6. ლომსაძე შ., მესხები, გვ. 55, 1995.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4651, დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1882.

8. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3167, ივანე გვარამაძის სახატავი ალბომი.

9. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4651, დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1882.

10. ს.ჯ.ი.მ. ი.მ. ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი დიმიტრი ბაქრაძისადმი, 1888.

11. ს.ჯ.ი.მ. ი.მ. ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე გვარამაძის წერილი დიმიტრი ბაქრაძისადმი, 1888.

12. ლომაძე შ., მესხები, გვ. 151-152, 1995.

13. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1822, ივანე გვარამაძის წერილი დიმიტრი ბაქრაძისადმი, 1887.

14. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1822, ივანე გვარამაძის წერილი დიმიტრი ბაქრაძისადმი, 1887.

15. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №184, ივანე გვარამაძე, ძველისძველი ისტორიული ცნობები მესხ ქართველთა ლინგვისტურად შედგენილი ივ. გვარამაძისაგან, ქ. ახალციხეს, 1887.

გრიგოლ ბურჭულაძე

1. ბურჭულაძე გრ., მ. მაჭავარიანი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები, კრ. III, 1968.

2. კოჟორიძე დ., განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 183, 1986.

3. გაზ. „ივერია", №84, 1897.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2050, გრიგოლ ბურჭულაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1899.

ნიკო შიუკაშვილი

1. კაკიაშვილი გრ., დრამატურგთა პორტრეტები, თბ., გვ. 61, 1961.

2. ი.მ.ფ. №583.

3. შუღლიშვილი დ. ნიკოლოზ შიუკაშვილი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწენი და სახალხო მასწავლებელები, კრ. III, 1968.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4510, ნიკო შიუკაშვილის წერილი კონსტანტინე გვარამაძისადმი, 1910.

სერგი მაკალათია

1. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 5, 1938.

2. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის საარქივი, საქმე 68, აქტი №1.

3. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის საარქივი, საქმე 68, აქტი №4.

4. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის საარქივი, საქმე 198, აქტი №3.

5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3992, კომისიის დასკვნა.

6. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის საარქივო, საქმე 190.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1451, ი. მაისურაძე, მასალები ქალაქ ახალციხის ძველი ნაწილის უბნების დაყოფის, 1937.

8. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის არქივი, საქმე №1, ფ. 37.

9. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის 60 წლისთავის საიუბილეო მასალები, 1998, ც. ლაფაჩის მოხსენება.

10. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3067, ი. მაისურაძე, მესხური სიტყვიერების მასალები, 1943.

გიორგი ბოჭორიძე

1. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 6, 1992.

2. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 250, 1992.

3. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 256, 1992.

ივანე კერესელიძე

1. ცაიშვილი ს., განმანათლებლობა საქართველოში, ივანე კერესელიძე, 2018.

2. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2059, ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

3. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2059, ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2060, ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

5. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. საქაღალდე №9, საქმე 24, ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

6. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. № 2061, ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

7. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4054, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.

8. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (4) ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

ალექსანდრე ხახანაშვილი

1. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3014, ივანე ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1900.
2. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3021, ივანე ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1901.
3. ჟურნ. „საბა“, მიხეილ თამარაშვილის მემკვიდრეობა, გვ. 10, 1911.
4. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1996, მიხეილ თამარაშვილის წერილი ივანე გერამაძისადმი, რომი, 1900.
5. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1998. მიხეილ თამარაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1901.
6. ვარდიძე შ., „სახალხო გაზეთი“, №688, 1912.

მოსე ჯანაშვილი

1. ჯანაშვილი მ. მესხეთი, გვ. 12, 1915.
2. ჯანაშვილი მ., ჟურნ. „საბა“, 2011.
3. ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, გვ. 62, 1984.

ნატო გაბუნია

1. კოჟორიძე დ., კულტურა და განათლება სამცხე-ჯავახეთში, გვ. 55, თბ., 1986.
2. მაისურაძე ი., გიორგი ღოღობერიძე, ჟურ. „თეატრალური მოამბე“, №5, 1975,
3. გაზ. „დროება“, №17, გვ. 9, 1910.
4. გაზ. „თეატრი“, №25, 1888.
5. გოგოლაშვილი მ., მესხეთის თეატრი, გვ. 9, თბ., 1976.

ფოტოდოკუმენტური მასალა



საქართველოს უგვირგვინო მეფეები




შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი



ახალციხის (რაბათის) ქალთა სკოლა



ახალციხის დრამატული დასი



ფონდი 1476 საქმე 3977

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე გვარამაძისადმი

ფილოლოგიის ფაკულტეტის

წერნის ცოდნის გამავრცელებელი

ძართველთა შორის

ქალაქების სანამებნიოლოგი

გამგეობა საზოგადოებისა.

ა.ნ. 30

ივანე გვარამაძე

ივანე გვარამაძის ხელნაწერი, ფონდში შესული 1930-იანი წლების ბოლოს. ფურცლის ზედა ნაწილში ფაკულტეტის ბეჭედი და ადრესატის მიმართვა.

ე.ა.№4654

ექვთიმე თაყაიშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი

№ 244

საქართველოს
საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოება

№ 508

24. დეკემბერს 1908 წ.
ქ. Тифлисъ

მოწყალეო ხელმწიფეო!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1908 წლის 18 ნოემბრის კრებამ თქვენ აგირჩიათ საზოგადოების ნამდვილ წევრად.

მაუწყებთ რა ამას, გაახლებთ საზოგადოების წესდებას და გთხოვთ: წერით, მასალის მოწოდებით, თუ ნივთიერის შემწეობით აღნიშნულ საზოგადოებას დახმარება გაუწიოთ.


მისს
მამა ილიანე გვარამაძეს.
в Ахалцыхъ

63. 5 დეკ. 1908 2174

საზოგადოების თავმჯდომარე ექთიმე თაყაიშვილი

მდივანი ქ. ყარალაშვილი

Адресъ отправки: Тифлисъ Дворянское Депутатское Собраніе Улица Бѣлинскаго №2 — Грузинскому Обществу исторіи и этнографіи —



1841

№222


№

25 თებერვალი
1922 წელი
ქ. ტფილისი.


63/41
1/18
2873
2053

№ 201

დიმიტრი ბაქრაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი




გიორგი ბურჭულაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი


№ 219

2050

სურათი მაკლათიას წერილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს

იონა მეუნარგიას წერილი ივანე გვარამაძისადმი



№218


17 ოქტომბერი 1918.

რაფიელ ერისთავის წერილი ივანე გვარამაძისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეკეკი
რუსთველიანის
მიძღვნა
ზეკითი
1908

იოსებ იმედაშვილის სამძიმრის წერილი კონსტანტინე გვარამაძის მეუღლისადმი

194



ივანე გვარამაძე -
„ვინმე მესხი“



კონსტანტინე გვარამაძე

შინაარსი

რედაქტორისაგან ---------- 5
წინათქმა ---------- 7
შესავალი ---------- 9

ილია ჭავჭავაძე ---------- 19
იაკობ გოგებაშვილი ---------- 27
აკაკი წერეთელი ---------- 39
ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) ---------- 55
ანა ღოღობერიძე - მუსხელიშვილი ---------- 65
ექვთიმე თაყაიშვილი ---------- 73
ივანე როსტომაშვილი ---------- 83
დიმიტრი ხახუტაშვილი ---------- 90
ზაქარია ჭიჭინაძე ---------- 101
ილია ალხაზიშვილი ---------- 109
დიმიტრი ბაქრაძე ---------- 121
გრიგოლ ბურჭულაძე ---------- 127
ნიკო შიუკაშვილი ---------- 131
სერგი მაკალათია ---------- 135
გიორგი ბოჭორიძე ---------- 140
ივანე კერესელიძე ---------- 144
ალექსანდრე ხახანაშვილი ---------- 148
მოსე ჯანაშვილი ---------- 152
ნატო გაბუნია ---------- 155

*** ---------- 159
რეზიუმე (თარგმანი მ. ხითარიშვილისა) ---------- 163
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 165
ფოტოდოკუმენტური მასალა ---------- 177

Nato Kruashvili
Cooperation of Famous Public Figures with Meskheti
(in Georgian Language)
Akhaltsikhe 2021

Нато Круашвили
Сотрудничество Известных Общественных Деятслей с Месхсти
(на Грузинском языке)
Ахалцихе 2021

ტირაჟი 300
ფასი სახელშეკრულებო

დამკაბადონებელი **ლია ზედგინიძე**

გამომცემლობა **„გეორგიკა“**